ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯობა საქართველო შენ!

# მარადონა თბილისში

გამოიცემა 1934 წლიდან

№249 (12624) 23 ოქტომბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთ

# BIENVENIDOS





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რეპორტაჟი თბილისის აეროპორტიდან »»» 2,16

CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა

ტექნიკური შედეგები »»» 15



## ქეცბაიამ სან სიროზე იომა

ქართული ფეხბურთი

# დიეგო საქართველოში

## მარადონა და მისი გუნდი თბილისშია, კანიჯა დღეს ჩამოფრინდება

დიდი დიეგო ჩამოდის, ფეხბურთის უგვირგვინო მეფე... უგვირგვინო მეფე კი არა ფეხბურთის ღმერთი... ვაიმე, მარადონას რომ დავინახავ ალბათ გული გამიჩერდება...

შვილო, მე მარადონას არ ველოდები, ჩემი შვილი ჩამოდის ამსტერდამის რეისით, მაგრამ ვიცი, რომ ყველაზე მაგარი ფეხბურთელი იყო. ახლანდელი ფოტო მაჩვენეთ, მაინტერესებს, როგორ გამოიყურება - ჭაღარათმიანმა მანდილოსანმა 11-12 წლის ბიჭს მიმართა, რომელსაც დიეგოს პოსტერი მოემარჯვებინა ფლომასტერთან ერთად და სხვა თანატოლებთან ერთად ავტოგრაფის მოლოდინში იყო.

აეროპორტის მეორე სართულის ვიტრინასთან უნიფორმაში გამოწყობილი 12 თანამშრომელი შეკრებილიყო. ეტყობოდათ, მარადონას ნახვის სურვილის გამო საქმე მიეტოვებინათ. მესამე სართულზე კი დაცვა შეკრებილიყო და ფეხბურთის ლეგენდას გაფაციცებით შეჰყურებდნენ... თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუშინ თბილისის აეროპორტში 21:45 წუთზე რამდენიმე წამით მაინც „ყველა და ყველაფერი გაჩერდა“. მარადონა, ცოცხალი ლეგენდა, თბილისში ჩამოფრინდა. ამის ბევრს გუშინაც არ სჯეროდა, უფრო სწორედ ვერ გაეთვითცნობიერებინა.

დიეგოს მოლოდინში აეროპორტში ვის არ ნახავდით - **გიორგი ნემსაძეს, არჩილ და რევაზ არველაძეებს, ნიკა ჩხეიძეს, ბიძინა ბარათაშვილს**... მათ ყველას დიეგო მარადონასა და არგენტინული ფეხბურთის სიყვარული, ზოგადად არგენტინელ ჯადოქართა წინა თაობის ნოსტალგია აერთიანებდათ.

...და აი ისიც! თვით დიდი დიეგო. ის გასასვლელს მიუახლოვდა, რეპორტიორებს, ქომაგებს, უბრალო ხალხს წამიერად თვალი გადაავლო, მარჯვენა ხელი დაუქნია და გეზი გასასვლელისკენ აიღო. დაცვამ სტუმარი საქართველოს ნაკრების ავტობუსამდე ისე მიაცილა, არა თუ კომენტარი არ გაუკეთებია, სიტყვაც კი არ დაუძრავს. მას სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასშიც“ ვერაფერი დავაცდენინეთ.

*„ვარსკვლავს 3-4 მეტრში უყურებ და ბოლომდე არ გაქვს გათავისებული, რომ ის შენს ქვეყანაში ჩამოვიდა. ლეგენდა, რომელიც მილიონობით ადამიანის კერპია. ის თბილისშია. დიეგო ცოცხლად არასდროს მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ 166 სმ. სიმაღლისაა. არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია, ასეთმა ტანმორჩილმა ამ დონის ფეხბურთი როგორ ითამაშა? ასეთი დაბალი და ასეთი მაგარი? კაცი მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა... ფენომენია, რა... წარმოუდგენელია... მარადონამ ჩემში ერთი ათად მოიმატა. ემოციებს თავს ვერ ვუყრი, ისეთი დაბნეული ვარ, წინადადების დალაგება მიჭირს. „დანდიში“ ჩემი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ მოიწევს თამაში. კლაუდიო კანიჯა ხვალ ჩამოფრინდება, ბეტო კარანსა აქაა და ვესაუბრე. ხვალ კლაუდიოსაც ვნახავ“*, - ემოციების ტყვეობიდან ვერ გამოდიოდა გიორგი ნემსაძე.

*„დიახ, ჩვენ თბილისში ვართ და უკვე აქ გავაგრძელებთ საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის მზადებას. მჯერა, რომ გულშემატკივარი ისიამოვნებს. მითხრეს, რომ ქართველებს ბევრი კარგი ფეხბურთელი გყავთ, მათ შორის თავდამსხმელები. მნიშვნელოვანია, შაბათს გოლი არ გავუშვათ“*, - გვითხრა **სერხიო გოიკოეჩეამ**, რომელმაც შემთხვევით ისარგებლა და სანამ მისი თანაგუნდელები ავტობუსში ბარგს ჩაალაგებდნენ, სიგარეტი მოწია. გოიკოეჩიას სიგარეტი არ გაგიკვირდეთ - მარადონა ავტობუსში მოთავსდა თუ არა, სიგარა ღრმა ნაფაზით გააბოლა.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** გვითხრა, რომ 23 ოქტომბერს, საღამოს, კანიჯა, შვილთან ერთად, კიევი-თბილისის ავიარეისით ჩამოფრინდება.

*„სასწაულია... ბოლომდე ჯერ კიდევ არ მაქვს გათავისებული. რამდენიმე დღის წინ შოთა კანიჯას ესაუბრა და მან უთხრა, მოვდივართო. იმ საღამოს ისე მომეძალა ემოციები, რომ ნორმალურად არ მძინებია. ამ დონის ვარსკვლავების თბილისში ჩამოსვლა მართლაც დიდი საჩუქარია ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო ნიკო პატარქალიშვილს. მან ასეულ ათასობით ქართველის ნატვრა აასრულა და მარადონა თბილისში ჩამოიყვანა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მარადონასთან შეხვედრა და ხელის ჩამორთმევა. შოთა შაბათს დილით ჩამოფრინდება, შვილთან, გიორგისთან ერთად. ქინქლაძის ჩამოსვლის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ცხადაძესა და ქეცბაიას თავიანთ კლუბებში თამაშები აქვთ და სამწუხაროდ, ჩამოსვლას ვერ ახერხებენ. მარადონას გუნდს ჩვენ უნდა დავუხვდეთ - მე, რეზო, ნემსაძე, ჯამარაული, შელია. ალბათ, უფროსებიც დაგვემატებიან“*, - გვითხრა არჩილ არველაძემ.

*„ჩვენ ჩამოვედით და გვინდა, რომ მოვიგოთ. კარგი შოუ იქნება. დიეგომაც თქვა, ვითამაშებო“*, - მოკლე, მაგრამ ყურადსაღები კომენტარი გააკეთა **მატიას ალმეიდამ**.

ნიკა ჩხეიძემ კერპი და კოლეგა პირისპირ ნახა: *„უბედნიერესი კაცი ვარ. მარადონა თბილისშია. მიჭირს ბოლომდე გათავისება... გახარებული ვარ, რადგან ჩემი ბავშვობის კერპი გოიკოეჩეა ჩამოვიდა. შევხვდი, გავიცანი. თბილად მომესალმა, ფოტოებიც გადავიღე“*.

- საქართველოში ჩემი მეგობარი გიორგი ნემსაძე ვნახე. „დანდიში“ ერთად ვიბრძოდით გამარჯვებებისთვის, შაბათს კი ერთმანეთის პირისპირ ვიქნებით. ჩვენ უნდა მოვიგოთ და „მეგობრობის თასი“ სამშობლოში წავიღოთ, აღნიშნა **ბეტო კარანსამ**.

- არა, ჩვენ მოვიგებთ, - არ დაანება იქვე მდგომმა ნემსაძემ.

- მაშინ ფრეზე შევთანხმდეთ, - დაჰყაბულდა სტუმარი.

- ესაა მეგობრობა და ჩვენც „მეგობრობის თასისთვის“ გავეჯიბრებით ერთმანეთს, - თქვა ბოლოს გიორგი ნემსაძემ.

დამხვდურთა შორის „ტელე იმედის“ თავკაცი ბიძინა ბარათაშვილიც იყო, რომელიც არგენტინული ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარია.

*„ნამდვილად არ მეგონა, თუ მარადონას თბილისში ვნახავდი. ეს ძალიან დიდი მოვლენაა. მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი თბილისშია. ამ რანგის ფეხბურთელი თბილისში აქამდე არ ყოფილა. მისი გუნდი ჩვენს ნაკრებს ეთამაშება და ვფიქრობ, დიდი სიამოვნება გველის. სხვათა შორის, ბედნიერი კაცი ვარ იმით, რომ მარადონას თამაში სტადიონზე მაქვს ნანახი. მოსკოვში, „ნაპოლისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩს დავესწარი. თუ არ ვცდები, 1991 წელს იყო. მოსკოვში დიდი თოვლი იყო. ჩავედი, რათა მარადონას თამაში ცოცხლად მენახა. დღეს მაქვს საშუალება, რომ თბილისში ვიხილო მარადონას, ალმეიდას, კარანსას, გოიკოეჩეას, კანიჯას და სხვების თამაში. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ამხელა საჩუქარი გაუკეთა ფეხბურთის გულშემატკივარს.*

*ჩვენ ამ დიდი ვიზიტის საინფორმაციო მხარდამჭერები ვართ. შაბათის მატჩსაც ვაჩვენებთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, პირდაპირი რეპორტაჟი იქნება თუ ჩანაწერი. ვნახოთ, რას იტყვიან პროექტის ორგანიზატორები. შესაძლოა, არჩიონ, რომ ჩანაწერი ვაჩვენოთ. შეხვედრას კი ჩვენი მაყურებელი ყველა შემთხვევაში ნახავს. შარშან "მარადონას შოუ", 13 გადაცემა ვაჩვენეთ, რომელშიც დიეგო წარმოდგენილი იყო, როგორც ფეხბურთელი, შოუმენი, ადამიანი“.*

თანამემამულეებს საქართველოს ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი** საქართველოში ვერ ნახავს. ის ესპანეთშია და მომდევნო კვირაში დაბრუნდება.

გუშინ სულ ეს იყო. თითქმის გადაწყვეტილია, რომ დღეს მარადონას პრესკონფერენცია გაიმართება. ხვალ არგენტინელები ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ. აი, დღეს ჩამოსული სტუმრების სრული სია **დიეგო მარადონა, სერხიო გოიკოეჩეა, ფერნანდო კასერესი, ლუის მედერო, დიეგო სონორა, ალეხანდრო მანკუსო, ექტორ ალმანდოსი, მატიას ალმეიდა, ალბერტო აკოსტა, ხუან ხოსე ბორელი, ლეონარდო რუისი, მარსელო გომესი, გაბრიელ ამატო, ალბერტო კარანსა, ხოსე ფლორესი.**

**დავით ცაბაძე**



ფეხბურთის ლეგენდად შერაცხულ დიეგო მარადონას წინააღმდეგ ქართველებიდან რამდენიმეს უთამაშია. მათ შორისაა ალექსანდრე ჩივაძეც. საბჭოური ნაკრების რჩეულმა „სამიანმა“ არგენტინაში ჩატარებული ამხანაგური მატჩის შემდეგ მარადონას მაისურა გაუცვალა. ამ რელიკვიის ნახვა დღეს „სპორტ-კაფეში“ შეგიძლიათ, რომელსაც არაოფიციალურად „ქართული სპორტის მუზეუმს“ ვუწოდებთ...

საინტერესოა, როგორ იხსენებს დიდი დიეგოს წინააღმდეგ თამაშს ჩვენი დიდი კაპიტანი. ამასთან, ბატონი ალექსანდრე ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაციცაა და ექტორ კუპერის საქმიანობაც შევაფასებინეთ...

...და კიდევ ერთი აღსანიშნავი მომენტი: ჩივაძემ დაგვიდასტურა, რომ ფეხბურთში ბრუნდება... ერთი სიტყვით, საინტერესო ინტერვიუ გამოვიდა.

ინტერვიუ ალექსანდრე ჩივაძესთან

# მარადონა? ეს მოვლენა იყო...

## მალე ფეხბურთში დავბრუნდები

- ბატონო ალექსანდრე, დიეგო მარადონას უკვე თბილისშია. ქართველებიდან ერთ-ერთი ხართ, ვისაც მის წინააღმდეგ უთამაშია, თანაც არა ერთხელ. როგორ გაიხსენებდით იმ მატჩებს?

- მარადონა მსოფლიო ფეხბურთში მოვლენა იყო. მის წინააღმდეგ თამაშის პატივი ორჯერ მქონდა, ორივეჯერ ამხანაგურ მატჩში და ორივე თამაში 1:1 დასრულდა. სხვათა შორის, ორივე მატჩში ჩვენი გუნდიდან გოლი ხორენ ოგანესიანმა გაიტანა. პირველად, 1980 წელს, მარ დელ პლატაზე ვეთამაშეთ. მაშინ კონსტანტინ ბესკოვი იყო საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი. ცენტრალური მცველი ვიყავი და რამდენიმე ეპიზოდში უშუალოდ დიეგოს წინააღმდეგაც მომიხდა ორთაბრძოლა, პერსონალურად კი თენგიზ სულაქველიძეს ჰყავდა ჩაბარებული. იმ შეხვედრაში ჩვენებიდან რამაზ შენგელიამ, ვიტალი დარასელიამ, დავით ყიფიანმა და ნოდარ ხიზანიშვილმაც ითამაშეს. მეორედ კი 1981 წელს ვეთამაშეთ, ამჯერად, უკვე ბუენოს აირესში, „რივერ პლეიტზე“. მაშინ საბჭოთა გუნდს უკვე ბესკოვი-ახალკაცი-ლობანოვსკის ტრიო ხელმძღვანელობდა.

**- მარადონას წინააღმდეგ არა მხოლოდ გითამაშიათ, მისთვის მაისურაც გაგიცვლიათ...**

- მატჩის შემდეგ მივედი, ხელი ჩამოვართვი, ერთმანეთს თბილად დავემშვიდობეთ და მაისურებიც გავცვალეთ. მეორე თამაშის მერე კი მაისურა არგენტინელთა მარცხენა მცველ ალბერტო ტარანტინის გავუცვალე. მარადონას მაისურა ახლა „სპორტ-კაფეშია“. ეს ჩემთვის რელიკვია, უძვირფასესი ნივთია.

**- იმ მატჩებში მარადონამ რითი დაგამახსოვრათ თავი?**

- ეს ის პერიოდი იყო, როცა არგენტინული ფეხბურთის ლეგენდა მარიო კემპესი კარიერას ასრულებდა და მის მემკვიდრედ სწორედ მარადონას მიიჩნევდნენ. დიეგო მისი მემკვიდრეც გახდა და მეტიც - გაცილებით მაღალ დონეზე ითამაშა და ტყუილად არ უწოდებენ ფეხბურთის უგვირგვინო მეფეს. მარადონა მხოლოდ დიდებული ფეხბურთელი კი არა, უზომო ნიჭის პატრონი იყო, ის მოვლენა იყო მსოფლიო ფეხბურთში... ყველა კომპონენტში გამორჩეული გახლდათ, ნაკლს ვერ უპოვნიდით...

**- ტრადიციული კითხვა თქვენც უნდა დაგისვათ - მარადონა თუ პელე?**

- ორივე ძალიან დიდი იყო. მათი თამაში გულშემატკივარს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა, ან თუნდაც მათ, ვინც ფეხბურთთან ახლოს არ იდგა...

**- პელესა და მარადონას შემდეგ მათსავით გამორჩეული არავინ ყოფილა?**

- ძალიან მომწონდა ზინედინ ზიდანი, მაგრამ მარადონასა და პელეს გვერდით მაინც ვერ დავაყენებ. მათი დარი მეგავარსკვლავები იშვიათად იბადებიან... სხვათა შორის, 25 ოქტომბერი ჩვენი ქვეყნისა და ქართული ფეხბურთისთვისაც ისტორიული დღეა. თბილისში მარადონას ჩამოსვლა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. მინდა, მადლობა გადავუხადო ამ იდეის ავტორებსა და მხარდამჭერებს. მჯერა, შაბათს ეროვნულ სტადიონზე სრული ანშლაგი იქნება. მსგავსი რამ საუკუნეში, ალბათ, ერთხელ ხდება. კიდევ ერთს ვიტყოდი: მარადონას მიმართვა წავიკითხე. ერთი რამ მომეწონა და მინდა, აღვნიშნო. დიეგო მარადონა ომისგან დაზარალებულებს თანაგრძნობას უცხადებს და მორალურად ამხნევებს. ეს უდავოდ დასაფასებელია.

**- ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და სანაკრებო თემაზეც გკითხავთ. ექტორ კუპერის გუნდის თქვენეული შეფასება საინტერესოა...**

- კუპერის მუშაობა ნამდვილად დასაფასებელია, კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ნაკრების უცხოელი მწვრთნელი საქართველოში ცხოვრობს და ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს ესწრება, თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. ჩვენმა ნაკრებმა ბულგარეთთან ჩინებული თამაში აჩვენა. ჩანდა გუნდის ტაქტიკა-სტრატეგია, მწვრთნელის ხელწერა და ჩანაფიქრი... სხვა თემაა საშემსრულებლო ოსტატობა... ასე სუსტად მოთამაშე ბულგარეთის ნაკრები არ მახსოვს. მაგრამ მეტოქემ რომ ვერ ითამაშა, ეს ჩვენი გუნდის დამსახურებაცაა და ეს რომ არ აღვნიშნო, არ შეიძლება.

**- მეტოქეს ვაჯობეთ, მაგრამ ვერ მოვიგეთ. მაინც რა დაგვაკლდა მოგებისთვის?**

- საშემსრულებლო ოსტატობა, საერთაშორისო, სანაკრებო გამოცდილება. ამდენი საგოლე მომენტის ვერგამოყენების მიზეზი სწორედ ესაა. ფეხბურთელებმა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს მწვრთნელის დავალება, მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს... უბრალოდ, გოლი ვერ გაიტანეს... მიზეზზე უკვე ვთქვი.

**- ბულგარეთს თქვენი ნაკრებიც ეთამაშა და თბილისში დაამარცხა კიდეც. თანაც, მაშინ უკეთესი გუნდი გყავდათ, უკეთესი შემსრულებლებიც... აღარაფერს ვამბობ ბულგარეთის გუნდზე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა...**

- კი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო გამოცდილება, მხოლოდ კახა ცხადაძესა და თემურ ქეცბაიას ჰქონდათ. არველაძეები, ქინქლაძე და სხვები მერე გახდნენ ლეგიონერები, ამის მერე მიიღეს საერთაშორისო წრთობა, რაც სანაკრებო დონეზე თამაშისთვის აუცილებელია. კუპერს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავს ნაკრებში, მაგრამ მათ სწორედ ეს საშემსრულებლო ოსტატობა, საერთაშორისო გამოცდილება აკლიათ. მაგრამ არა უშავს, ესეც მალე ექნებათ და შედეგიც მოვა. დასამალი არ არის, რომ ეროვნული ჩემპიონატი იმ დონის არ არის, აქედან აყვანილმა ფეხბურთელმა მაშინვე მაღალ დონეზე ითამაშოს. თუმცა კუპერის ამ ნაბიჯს ყველა შემთხვევაში მივესალმები.

**- ფეხბურთში მართლა ბრუნდებით?**

- დიახ, ასეა. უფეხბუროთოდ არ შემიძლია და მალე დავბრუნდები. ჯერ ვერ გეტყვით, რამდენ ხანში მოხდება ეს - რამდენიმე კვირაში თუ ორ, სამ თუ ოთხ თვეში... მაგრამ მოხდება.

**- მწვრთნელად გიხილავთ თუ სხვა ამპლუაში?**

- ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. მალე ნახავთ...

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo34@mail.ru

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დანაშაული და სასჯელი

# მესხეთს 2 ათასი ლარი აქმარეს

## ფურთხება, გინება და უხამსი ჟესტები დასჯადია!

21 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელმაც ბოლო ტურის მოვლენებზე იმსჯელა. მთავარი თემა - 19 ოქტომბერს, ბორჯომში, ახალციხის "მესხეთისა" და თბილისის "დინამოს" მატჩის დროს მომხდარი ამბები გახლდათ.

მსაჯების, დელეგატისა და მსაჯთა დამკვირვებლის მოხსენებების საფუძველზე, სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა, რომ "მესხეთის" პრეზიდენტი **გია მესხელი** მოედანზე შეიჭრა და თავისი კლუბის ფეხბურთელებს თამაშის მიტოვება მოსთხოვა. დისციპლინარების აზრით, სწორედ მესხელის საქციელმა გამოიწვია მსაჯებისა და დინამოელებისადმი გულშემატკივრების აგრესია.

*"აგრეთვე, გამოიწვია "დინამოს" ფეხბურთელების მისამართით ქვებისა და სხვადასხვა საგნის სროლა, ზოგიერთი გულშემატკივრის მცდელობა, შესულიყო მოედანზე"*, - ვკითხულობთ დადგენილებაში.

დებულების თანახმად, ახალციხის "მესხეთი" 2 000 ლარით დაჯარიმდა. კლუბს საკუთარ სტადიონზე თამაში ისედაც აკრძალული აქვს. ასე რომ, ზოგი ჭირი მარგებელია - "მესხეთი" ამჯერად იოლად "გამოძვრა". "დინამოსთვის" ახალციხეში რომ ემასპინძლა, "მესხეთს" საშინაო მატჩების ჩატარებას გარკვეული ვადით აუკრძალავდნენ.

ამას გარდა, განიხილეს "ვიტ ჯორჯიისა" და "ზესტაფონის" მატჩის დამთავრების შემდეგ მომხდარი ინციდენტი, რომელიც ყურადღების მიღმა დაჩა - "ზესტაფონის" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა **უჩა ლობჟანიძემ** მსაჯებს აგინა. ის ორი თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 300 ლარს გადაიხდის.

ლობჟანიძე ეროვნული ნაკრების ერთადერთი დასჯილი ფეხბურთელი არ გახლავთ. ბოლო ტურში, "ბორჯომის" კარში გატანილი გოლის შემდეგ, თბილისის "ლოკომოტივის" თავდამსხმელმა **რატი ალექსიძემ** გოლი ისეთი ჟესტით აღნიშნა, რომელიც, დისციპლინარების აზრით იყო - *"...უხამსი, რითიც, ფაქტობრივად, შეურაცხყოფა მიაყენა მაყურებლებს. ყოველივე ეს ათასობით ტელემაყურებელმა 20 ოქტომბერს, "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით, გადაცემა "გოლში" იხილა"*, - ესეც დადგენილებაში ამოვიკითხეთ.

ინციდენტის გარეშე არც პირველი ლიგის მატჩებს ჩაუვლია. 20 ოქტომბერს ზუგდიდის "ბაიამ" შინ "სამტრედიას" უმასპინძლა. შეხვედრის შემდეგ "სამტრედიის" მწვრთნელმა **ლევან ანჯაფარიძემ** მსაჯებს (არბიტრი **არსენ ნონიკაშვილი**) ახლობლები "მოუკითხა". დისციპლინარებმა მისი დასჯაც გადაწყვიტეს. ეს ყველაფერი ხდებოდა მოედანზე, სადაც სამტრედიელთა კიდევ ერთი ხელმძღვანელი, გუნდის უფროსი **დავით ბურკაძე** შეიჭრა და თემიდას არც მისგან დააკლდა "მოფერება". ამას ვინ ჩივის - მოხსენებით ბარათში დაფიქსირებულია, რომ ბურკაძე, თურმე, მსაჯების გალახვასაც ცდილობდა, მაგრამ ეს რომ არ გამოუვიდა, შეაფურთხა.

ლევან ანჯაფარიძე ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული. ამას გარდა, მას 150 ლარის გადახდაც მოუწევს. ვერდიქტში ვკითხულობთ: *"ბურკაძე გუნდის უფროსისთვის შეუფერებელი საქციელის გამო ადრეც იყო დადანაშაულებული. ის დისკვალიფიცირებულია 4 მატჩით და დაჯარიმებულია 250 ლარით, ხოლო პირობით დისკვალიფიცირებულია 2009 წლის 31 მაისამდე"*.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19. ამხანაგური მატჩი

# თითო გოლი დინამოსთან

**დინამო 2-საქართველო U19 1:1**

1:0 სიხარულიძე (37), 1:1 იჩქითი (60)

დინამო 2: ლოსაბერიძე, კეკელია, კაკუბავა, გეთიაშვილი, ოთარაშვილი, კოპაძე, ნემსაძე, ცერცვაძე, ჯოხაძე, ჭადაშვილი, სიხარულიძე.

*შეცვლაზე შევიდნენ: ნადირაძე, გედ. დარასელია, ბოლქვაძე, მამრაში, ლობჟანიძე, ლეკვთაძე, ჩიკვაიძე, ქამუშაძე.*

საქართველო U19: მაკარიძე, რამიშვილი, ფარტენაძე, ჩადუნელი, იოსელიანი, გიორ. დარასელია, კაჭახიძე, მამუჩიშვილი, ბეროშვილი, ვაშაკიძე, ზაქრაძე.

*შეცვლაზე შევიდნენ: მახარაძე, შალიკაშვილი, იჩქითი, თექთურმანიძე, კაჭკაჭიშვილი.*

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადებას განაგრძობს. აზერბაიჯანში გამართული ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ **ზაურ სვანაძის** გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე „დინამო 2"-ს გაეჯიბრა. მატჩი 1:1 დასრულდა. ანგარიში 37-ე წუთზე **ირაკლი სიხარულიძემ** (ვინც „დინამოს" მეორე გუნდს ამას წინათ „სიონთან" მატჩში მოაგებინა) გახსნა. 19-წლამდელებიდან კი საპასუხო ბურთი **ალექსანდრე იჩქითიმ** გაიტანა.

*„ახლა ქართულ გუნდებთან ვატარებთ ამხანაგურ მატჩებს და გვსურს, ფეხბურთელები, მთლიანად გუნდი კიდევ ერთხელ ვნახოთ საქმეში. ამასთან, ახალი მოთამაშეებიც გამოვცადეთ, მათ შორის, გიორგი დარასელიას ვაჟი, რომელიც მისსავე მოსახელეა და ისრაელში ასპარეზობს. ეს საკონტროლო მატჩები ბევრს გვიჩვენებს. შესარჩევ ეტაპამდე ერთი თვეა და დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ"* - გვითხრა სვანაძემ.

ჭაბუკთა ნაკრები მომდევნო ამხანაგურ მატჩს „ამერთან" (გლდანში), 24 ოქტომბერს გამართავს.

**დავით ცაბაძე**

სუპერთასი

# 3 დეკემბერს, ახალი თასით...

საქართველოს ეროვნული სუპერთასი 3 დეკემბერს გათამაშდება. მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაიგეგმა. ეს ამბავი პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** გვამცნო:

*"21 ოქტომბერს პროფესიული ლიგის გამგეობის სხდომა ჩატარდა, რომელზეც გადაწყდა, რომ სუპერთასი 3 დეკემბერს, "ლოკომოტივის" სტადიონზე გათამაშდება. წინასწარი კონსულტაციების შედეგად კლუბები სწორედ ამ ვარიანტზე შეთანხმდნენ. მატჩის თბილისში გამართვას ზესტაფონელებიც არ ეწინააღმდეგებიან. სიახლეა ის, რომ წლევანდელი გამარჯვებული ახალ სუპერთასს მიიღებს. სხვათა შორის, პროფლიგამ წელს ეროვნული თასიც გამოცვალა. ახალი თასის პრეზენტაცია მალე გაიმართება"*.

ბურჯალიანმა მატჩის დაწყების დრო ჯერ ვერ დაგვიკონკრეტა, რადგან ეს საკითხი ახლა დაზუსტების პროცესშია. ისევ გენმდივანს მოვუსმინოთ:

*"ჩვენი სურვილია, სუპერთასი საღამოს, ხელოვნური განათების ფონზე გათამაშდეს. ყოველ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ მეორე ტაიმისთვის მაინც იქნება ამგვარი გარემო. განათებულ სტადიონზე თამაში ფეხბურთელებსაც და მაყურებელსაც გაცილებით უკეთეს სათამაშო განწყობილებას უქმნის"*.

შეგახსენებთ, რომ სუპერთასს ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი თბილისის "დინამო" და თასის მფლობელი "ზესტაფონი" შეეცილებიან. წლევანდელი მატჩი, ისევ როგორც შარშან, "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას" პატრონაჟით გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

ჭაბუკთა ლიგა

**1993-1994 წწ.**

**21 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-სიონი | 5:2 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 3:1 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 0:1 |
| ზესტაფონი-მგლები | 0:0 |
| მესხეთი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| ამერი-დინამო | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 7 | 6 | 1 | 0 | 25-1 | 19 |
| 2. ამერი | 7 | 5 | 1 | 1 | 22-7 | 16 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 9-4 | 14 |
| 4. მგლები | 7 | 3 | 2 | 2 | 19-11 | 11 |
| 5. ლოკომოტივი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-7 | 11 |
| 6. სპარტაკი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-15 | 11 |
| 7. ბორჯომი | 7 | 2 | 3 | 2 | 3-9 | 9 |
| 8. ზესტაფონი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 9. გაგრა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 6 |
| 10. ოლიმპი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-15 | 4 |
| 11. მესხეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-27 | 4 |
| 12. სიონი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-14 | 2 |

**1995-1996 წწ**

**21 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-სიონი | 1:5 |
| ლოკომოტივი-გაგრა | 2:1 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 1:0 |
| ზესტაფონი-მგლები | 3:0 |
| მესხეთი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| ამერი-დინამო | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | 20-3 | 18 |
| 2. გაგრა | 7 | 5 | 1 | 1 | 19-5 | 16 |
| 3. ზესტაფონი | 7 | 4 | 1 | 2 | 18-9 | 13 |
| 4. მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 13-11 | 12 |
| 5. ოლიმპი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| 6. ამერი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 7. ბორჯომი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7 | 10 |
| 8. სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-15 | 8 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 7 | 2 | 2 | 3 | 10-13 | 8 |
| 10. დინამო | 7 | 1 | 4 | 2 | 4-8 | 7 |
| 11. სპარტაკი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-19 | 1 |
| 12. მესხეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 0-20 | 1 |

ლეგიონი

# იაშვილს მარცხი, ქორთუას გადათამაშება

გუშინ ბუნდესლიგაში IV ტურის გამოტოვებული მატჩი გაიმართა. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" სტუმრად აუტსაიდერ „აინტრახტს" ხვდებოდა. აქამდე, ფრანკფურტული კრებული ერთადერთი იყო მიმდინარე გათამაშებაში, მოგება რომ არ ჰქონდა. **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდმა პირველი გამარჯვება (2:1) სწორედ „კარლსრუესთან" მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი ბოლო 8 წუთში გავიდა. ჯერ სტუმრებმა გაიტანეს, რასაც მერე მასპინძელთა შტურმი და ორი გოლი მოჰყვა. ამ დროისთვის იაშვილი უკვე აღარ იყო მოედანზე. 57-ე წუთზე ის **ანდრეას გიორლიტცმა** შეცვალა. სამწუხაროდ, ჩვენებურს თავი არაფრით გამოუჩენია.

გუშინვე ლატვიის ჩემპიონატში ერთი მატჩი გაიმართა. ვირსლიგაში დარჩენისთვის იბრძვის „ბლაზმა", რომლის დაცვის ცენტრში **ირაკლი ქორთუა** თამაშობს. „ბლაზმა" ბოლოადგილოსან „ოლიმპსს" მასპინძლობდა და თუ მოიგებდა, გადასასვლელ მატჩში თამაშს დაიბევებდა. ასეც მოხდა - 1:0 დამთავრებულ შეხვედრაში ირაკლიმ 90 წუთი ითამაშა. „ბლაზმა" 21 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე „ოლიმპსი" მას ვეღარ დაეწევა. გადათამაშებაში „ბლაზმა" დაბალი ლიგის მეორეადგილოსანს შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჯაბა მუჯირი (მარჯვნივ) ირანიდან მოდის

ინტერვიუ ჯაბა მუჯირთან

# ადრე მაინც ეთქვათ, რომ საჭირო აღარ ვიყავი

## ჯაბამ ჯერ ირანში უნდა მოაგვაროს საქმე. ოლიმპი? შეიძლება...

**იყო დრო, როცა ირანში სამიოთხი ქართველი თამაშობდა, მაგრამ იქაურ ჩემპიონატს ახლა მხოლოდ ჯაბა მუჯირი შემორჩა. ის "სეპაჰანის" მაისურს ატარებდა და ირანის პირველობაზეც თვალსაჩინო ფეხბურთელი იყო, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელის შეცვლამ მისი კარიერა თავდაყირა დააყენა. მუჯირმა ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლა. მას აიმედებენ, რომ საქმე თითქმის მოგებული აქვს, უბრალოდ, ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი.**

**ჯაბა დროებით სამშობლოშია. ხსენებულ დავასა და მომავალთან დაკავშირებით მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ...**

**- "სეპაჰანში" წლების განმავლობაში თამაშობდი და ირანის ჩემპიონატშიც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყავი. რით ახსნი მათგან ასეთ საქციელს?**

- ვერაფრით ამიხსნია. ირანში ლეგიონერებზე ლიმიტი შეკვეცეს და სწორედ ამან ამირია კარიერა. "სეპაჰანთან" კონტრაქტი მაკავშირებდა. ერთ-ერთ ირანულ კლუბს სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ არ გამიშვეს, გვჭირდებიო. საზაფხულო შესვენებისას ჩვენს გუნდში მწვრთნელი შეიცვალა - ბრაზილიელი ჟოვან ვიეირას მაგივრად თურქული წარმოშობის გერმანელი დაინიშნა. ეს თურქი თუ გერმანელი აქამდე ყველგან მეორე მწვრთნელად მუშაობდა. "სეპაჰანი" რომ ჩაიბარა, მე არც ვუნახავარ, კლუბის ხელმძღვანელის პირით შემომითვალა - ჯაბა აღარ გვჭირდება და კარგი იქნება, თუ სხვა გუნდს იპოვის, რადგან ლეგიონერებზე ლიმიტი შემცირდაო და... არადა, ირანში ჩემპიონატი უკვე დაწყებულია. ცოტა ადრე მაინც ეთქვათ, რომ აღარ ვიყავი საჭირო. ახლა სად უნდა მოვნახო კლუბი? კლუბის პრეზიდენტს ვესაუბრე. შევატყვე, რომ არ უნდოდათ ამ საქმის გახმაურება და მითხრეს, მოვილაპარაკოთო.

**- მერე? ვერ მოილაპარაკეთ?**

- არარეალური წინადადება შემომთავაზეს: კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს, ორმხრივი შეთანხმებით ხელშეკრულება გავწყვიტოთ და კომპენსაციას გადაგიხდითო. მომდევნო ერთი წლის განმავლობაში რაც მეკუთვნოდა, იმის 20 პროცენტს მთავაზობდნენ. ნახევარი მომეცით და თანახმა ვარ-მეთქი, შევთავაზე. უარი თქვეს. ჰოდა, ისღა დამრჩენოდა, ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი შემეტანა.

**- ვერდიქტი როგორი იყო?**

- ფედერაციაში იმსჯელეს და მითხრეს: კიდევ ერთხელ შეხვდით ერთმანეთს და თუ ვერ შეთანხმდებით, მაშინ ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებასო. "სეპაჰანთან" თანხაზე ვერ მოვრიგდით, ხოლო იმ ჩინოსანმა, ვისაც ფეხბურთის ფედერაციაში ამგვარი საქმეების გარკვევა ევალება, მითხრა - ყველაფერი შენს წისქვილზე ასხამს წყალსო...

**- ...და ფედერაციას ეს ჯერ ოფიციალურად არ განუცხადებია?**

- ირანის ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის ცენტრალური მატჩის დროს მასობრივი ჩხუბი მოხდა, ხალხიც დაშავდა და ამის გამო, ჩემმა საკითხმა მეორე პლანზე გადაიწია. ამაზე მსჯელობას რომ მორჩებიან და გადაწყვეტილებას მიიღებენ, მერე მეც მომხედავენ და ვერდიქტსაც გამოიტანენ. წესით, ეს ამ თვეში თუ არა, ნოემბრის პირველ ნახევარში მაინც მოხდება.

**- მანამდე რას აპირებ?**

- ვიზას ვადა გაუვიდა და "სეპაჰანმა" აღარ გამიგრძელა. საქართველოში დავბრუნდი, ახალი ვიზა ავიღე და ორ დღეში ირანში გავემგზავრები. კიდევ ერთხელ ვნახავ ჩემს ადვოკატს და ფედერაციის წარმომადგენლებსაც შევხვდები. ამ საქმეში მართალი ვარ და მჯერა, გადაწყვეტილებაც საჩემო იქნება.

**- სარჩელით ფიფასაც ხომ მიმართე?**

- არა, ფიფაში სარჩელი ჯერ არ შემიტანია, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციაში თუ კიდევ გაწელეს ჩემი საკითხის განხილვა, მაშინ ფიფაშიც ვიჩივლებ.

**- თუ სხვა ირანულ გუნდშიც ვერ გადადიხარ, გამოდის, რომ ამ ქვეყანას ტოვებ...**

- თუ "სეპაჰანს" არ ვუნდივარ, არც მე შევეხვეწები. მეტი რა ვქნა? კონტრაქტში ერთი წელი კიდევ მაქვს დარჩენილი. რაც მეკუთვნის, იმის ნახევარი მომეცით და წავალ-მეთქი, მაგრამ ესეც არ უნდათ... მართალი გითხრათ, სხვა იქაურ გუნდში გადასვლაზე არც მიფიქრია, მით უმეტეს, ირანში ახლა სატრანსფერო პერიოდი დასრულებულია.

**- საქართველოში ხომ არ გააგრძელებ კარიერას? გავიგე, ჯაბა მუჯირი რუსთავის "ოლიმპის" მწვრთნელებს ესაუბრაო...**

- ახლა ფორმაში არ ვარ. მინდა, დეკემბრამდე ჩვეული კონდიციები აღვიდგინო. ხვიჩა ქასრაშვილს ვთხოვე, "ოლიმპში" ვივარჯიშებ-მეთქი. დადებითი პასუხი მივიღე. ახლა ქასრაშვილი აღარაა "ოლიმპის" მწვრთნელი, მაგრამ ამ კლუბში სხვა ხელმძღვანელებსაც ვიცნობ და დახმარებაზე უარს ნამდვილად არ მეტყვიან.

**- "ოლიმპის" განაცხადშიც ხომ არ გიხილავთ?**

- ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი...

**- კლუბებს ლეგიონერის დამატება სატრანსფერო პერიოდის დაწყებამდეც შეუძლიათ...**

- ეს მეც ვიცი, მაგრამ ჯერ ირანში უნდა ჩავიდე, ორ-სამ კვირაში დავბრუნდები და ფორმის აღდგენაზე ვიზრუნებ. თუ "ოლიმპს" ჩემი დახმარება დასჭირდება, ალბათ, მეტყვიან და... ვნახოთ. ახლა მთავარია, ირანში საქმე ჩემს სასარგებლოდ მოვაგვარო.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

# კვიპროსის მერე ნაკრებიდან წასვლას ვაპირებდი...

## ვირწმუნოთ ჩვენი ნაკრების და მსოფლიოზეც გავალთ



საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი მერვედ გახდა ლატვიის ჩემპიონი. რევაზ გაგუას მიერ აღზრდილი თაობის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი 27 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნორმალურ კლუბს დღემდე ვერ ეღირსა. რუსეთის პრემიერლიგელ იაროსლავლის "შინიკში" თამაში ზურასთვის სასიამოვნო მოგონება ვერ იქნება. მას რუსეთში არ გაუმართლა. გასავარდნად განწირული გუნდის მწვრთნელად დანიშნეს სერგეი იურანი, რომელიც წლების წინ მავან ქართველს შემოელახა და მთელი ჯავრი "შინიკის" ერთადერთ ჩვენებურზე იყარა. თუმცა მუშტი ზურასგანაც მიიღო. ამის მერე მენთეშაშვილი ლატვიაში დაბრუნდა - "სკონტოს" ნაცვლად, რომელშიც ლიდერი და კაპიტანი იყო, მის კონკურენტ "ვენტსპილსში" აღმოჩნდა.

ლატვიის ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე "ვენტსპილსმა" ჩემპიონობა შეინარჩუნა. მენთეშაშვილს მორიგ ლატვიურ ოქროზე, საქართველოს ნაკრებზე, კუპერსა და საკუთარ მომავალზე ვესაუბრეთ...

**- ზურაბ, გილოცავთ ლატვიის ჩემპიონობას!**

- დიდი მადლობა, ეს უკვე ტრადიციად მექცა. უკვე მერვე ოქრო მივილე - "სკონტოში" ექვსჯერ გავხდი ჩემპიონი, "ვენტსპილსში" ორჯერ.

**- შარშანდელი პირველობის შემდეგ ლატვიის საუკეთესო ნახევარმცველი გახდი. წელს რაიმე პრიზი არ გადმოგცეს?**

- ჯერ არანაირი პრიზი არ მოუციათ. მთავარია, ოქროს მედალი ავილე და ეს სათანადოდაც ალვნიშნეთ.

**- პირადად შენთვის 2007 წელი უფრო წარმატებული იყო?**

- რა თქმა უნდა. ჩემპიონობა და თასი მოვიპოვეთ, საუკეთესო ნახევარმცველიც გავხდი... წელს კიდევ ოქროს მედალი... თან სულ ძირითადში ვთამაშობდი, ლატვიური ფეხბურთის დონემ კი საკმაოდ აიწია, უკვე სოლიდური ჩემპიონატია.

**- ...მაგრამ უფრო ძლიერი ლიგის გუნდში როდის გადახვალ?**

- არ ვიცი. უკეთესი წინადადება რომ მიმელო, ლატვიაში დავრჩებოდი?

**- ეროვნული ნაკრების დღევანდელ შემადგენლობაში ლამის ყველაზე მეტი ითამაშე. სანაკრებო სტატისტიკაც არ გეხმარება?**

- სტატისტიკა კი, მაგრამ ამა თუ იმ კლუბში ჩემით ხომ არ მივალ?

**- ეროვნული ნაკრების თემა თითოეული ჩვენგანისთვის უფრო მნიშვნელოვანია. რა შეცვალა ექტორ კუპერმა?**

- დისციპლინა დაამყარა... საერთოდ, მკაცრი მწვრთნელია.

**- ესე იგი ნაკრებში დისციპლინა არ იყო? ამბობენ, თამაშის წინა ლამესაც ნორმალურად არ ეძინათ ფეხბურთელებსო...**

- არა, ეს ტყუილია. პირადად მე, გვიანობამდე კომპიუტერით ვერთობი, მაგრამ თამაშის წინა ლამეს ყველა ადრე ვიძინებთ.

**- კუპერმა კონკრეტულად რა შეცვალა?**

- როცა ადრე გადაბმულად ორი შეხვედრა გვქონდა, პირველი მატჩის შემდეგ მწვრთნელები შინ გვიშვებდნენ. კვიპროსის შემდეგ კი კუპერმა ბაზაზე ჩაგვკეტა, მეორე დილით გვავარჯიშა და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვიშვა სახლებში. კიდევ რა შეიცვალა? თავად გუნდში არსებული ატმოსფერო... კიდევ ძალიან ბევრი რამ, წვრილმანებიდან დაწყებული...

**- შეგიძლია თქვა, რომ ეროვნულ გუნდში ახლა მაინც არის საფეხბურთო გარემო?**

- დიახ, და ეს კუპერმა მოახერხა. ფეხბურთელებს ყველაზე მეტად გვსურს, რომ მხოლოდ თამაშსა და წარმატებაზე ვიფიქროთ, მაგრამ გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების მეტი თანადგომა გვჭირდება. აი, მაშინ კი გაცილებით კარგი ატმოსფერო იქნება. ძნელია მუდმივი წნეხის ქვეშ თამაში. ჩვენზე მეტად ვის უნდა გამარჯვება, მაგრამ არის კი ქვეყანა იმ დონეზე, რომ დიდ წარმატებებს მივაღწიოთ? ესეც ხომ გასათვალისწინებელია?!

**- მესმის, რომ მწვრთნელი გარდაცვლილივითაა, რომელზეც ან კარგს ამბობენ ან - არაფერს. მაგრამ მაინც გკითხავ: ყველაზე მეტად კუპერის რომელ თვისებას გამოარჩევდი?**

- ისეთი ხუმარაა, იშვიათად რომ ნახავთ. მკაცრია, მაგრამ იუმორში "ხუთიანი" უწერია.

**- ...და ამ ხუმრობა-ხუმრობაში კარგი გუნდის ჩამოყალიბების იმედი თუ გაგიჩნდა?**

- მიმაჩნია, რომ გუნდი უკვე ჩამოყალიბებულია. ერთი მოგება გვაკლია, რომ ეს ხალხმაც აღიაროს. სხვების რა გითხრათ და, მე ნამდვილად არ მგონია, რომ კვიპროსთან ცუდად ვითამაშეთ. კი ბატონო, საუკეთესო ფეხბურთი არ გვითამაშია, მაგრამ ეპიზოდებში გუნდმა ხასიათიც გამოაჩინა და ბრძოლის უნარიც. ისე, კვიპროსი ნამდვილად აღარ არის მაჩანჩალა, სერიოზული გუნდია... ბულგარეთთან კი, ჩემი აზრით, საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ... სხვათა შორის, არ დაგიმალავთ და, კვიპროსის შემდეგ ისეთი გულნატკენი ვიყავი, ნაკრებიდან წასვლას ვაპირებდი.

**- ასე ვინ გაწყენინა?**

- ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ვარ და ასეთ გადავლას ველარ გავუძელი. კვიპროსთან საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას თავი ვერ გაართვაო, გაზეთში დაწერეს. კი, მაგრამ რატომ არავის გახსენებია, რომ მე "საყრდენი" არ ვარ? "ვენტსპილსში" გამთამაშებლად მაყენებენ და ნაკრების მწვრთნელს ხომ არ ვეტყვი, "საყრდენობა" არ მინდა-მეთქი?! რასაც მავალებენ, ვცდილობ კარგად გავაკეთო. ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ - არა, მაგრამ უგულოდ თამაშს ნამდვილად ვერავინ დამაბრალებს.

**- უგულოდ თამაშს არავინ გაბრალებს, მაგრამ კრიტიკა ჩვეულებრივი ამბავია. ინგლისში კაპელოსა და მის ნაკრებს მიწასთან ასწორებენ, ჩვენ კი სულ ვაგებთ და კრიტიკა რა გასაკვირია? გადავხედოთ ბოლო შესარჩევების სტატისტიკას. ამდენს რომ წააგებს გუნდი, რა უნდა დავწეროთ? კარგია, ბიჭებო, ასე გააგრძელეთ-თქო?!**

- ჩემთვის კრიტიკა პრობლემა არ არის, ეს არც მიკვირს, მაგრამ ხალხისგან მეტი თანადგომა გვინდა. წაგების გამო რომ გაგვაკრიტიკებენ, ეს ყველამ იცის, მაგრამ გამარჯვებებსაც რომ ეჭვის თვალით უყურებენ ხოლმე?

**- მაგალითად?**

- მაგალითად, შოტლანდიასთან თამაშის მეორე დღეს ერთ-ერთ გაზეთში დაწერეს - ჩვენებმა იმიტომ მოიგეს, სტუმრებმა არ ითამაშესო. ვიწვალეთ, გავიმარჯვეთ, ხალხი გავახარეთ და ამას რომ დაგიწერენ, მითხარით, გული არ გვეტკინებოდა? ესეც არაფერი, რამენაირად ამ კრიტიკასაც ავიტანთ, მაგრამ ყველაზე მეტად ის მწყინს, რომ ქართველებს საკუთარი თავის არ გვჯერა. არადა, ჩვენ მთების გადატრიალება შეგვიძლია, ოღონდ, ერთმანეთისგან მეტი სითბო და სიყვარული გვჭირდება. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით - გულშემატკივრების 90 პროცენტს ხომ ეგონა, რომ ბულგარეთი გადაგვივლიდა?

**- ვითომ, ფეხბურთელებიც ასე არ ფიქრობდით?**

- არა, რატომ? ეჭვი არ მეპარება, რომ თუ ყველა გუნდთან ასე ვიომებთ და ქულას ქულაზე დავაგროვებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავალთ და ევროპისაზეც. ამისთვის კი, ჯერ საკუთარი ნაკრების უნდა დავიჯეროთ და ვიწამოთ.

**მერაბ მამულაშვილი**



**დიმიტრი ტატანაშვილი** თბილისის "ამერიდან" ჩეხურ "პლზენში" საამსეზონოდ გადავიდა. ჩეხებს ეს ტრანსფერი 300 000 ევრო დაუჯდათ და ცხადია, ტატანაშვილის დიდად ეიმედებათ. დიმიტრი მეგოლე ფორვარდია და ამის გარდა, ბურთის კარგად მიღება, შენარჩუნება და დრიბლინგიც შეუძლია. საქართველოს ჩემპიონატში ის ერთ-ერთი ყველაზე კლასიანი თავდამსხმელი იყო და კლაუს ტოპმიოლერის დროს ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა, აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) კი გოლითაც გამოირჩა.

ტატანაშვილის პლზენური კარიერა ჯერჯერობით "შლიგინით" ვერ მიდის. წლევანდელ გამბრინუსლიგაში (ჩეხეთის ჩემპიონატის მთავარი დივიზიონი) მან მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, თუმცა სეზონის უმეტესი ნაწილი წინ არის...

ბოლო მატჩებში ტატანაშვილს თავის გამოსაჩენად მცირე დროს აძლევენ. ჩეხეთში რომ დავურეკეთ, ჯერ ამის თაობაზე ვკითხეთ...

# ცოტა მოვუმატე

## ტატანაშვილი გოლსა და ზამთარს ელის

**- რაშია საქმე, რატომ ველარ ხვდები სასტარტოში?**

- ახლი მწვრთნელი გვყავს - პაველ ვრბა. გუნდში რამდენიმე თავდამსხმელი ვართ, თუმც ჩემი მთავარი კონკურენტი ერთია - ადამ ვარადი. ის და ვრბა ერთი ქალაქიდან არიან, ოსტრავიდან იცნობენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, ვრბა სწორედ მის თანაქალაქელ ფორვარდს "ქაჩავს". გამბრინუსლიგის ბოლო ტურში, "სპარტასთან" მატჩამდე, "ტეპლიცესთან" ამხანაგური შეხვედრა ვითამაშეთ. 1:1 იყო და თამაშის დასრულებამდე 20 წუთი რჩებოდა, შეცვლაზე რომ შევედი, ორი გოლი გავიტანე და 3:1 მოვიგეთ. ჩემმა მენეჯერმა მითხრა, ვრბა ძალიან კმაყოფილი დარჩა, ამ მატჩამდეც კარგი აზრის იყო შენზე, ვესაუბრე და "სპარტასტან" სასტარტოში თუ არ დაგაყენა, ბოლო ოცდაათ წუთს მაინც გათამაშებსო... მაგრამ ასე არ მოხდა - ბოლო ხუთი წუთი მათამაშა და კარში დარტყმაც მოვასწარი. წინა მწვრთნელი იაროსლავ შილჰავი უფრო მენდობოდა, არადა, ახლა უფრო კარგ ფორმაში ვარ, ვიდრე შილჰავის დროს ვიყავი.

**- გავიგეთ, რომ რამდენიმე დღით თბილისში იყავი ჩამოსული. რა იყო ამის მიზეზი?**

- სავიზო პრობლემები უნდა მომეგვარებინა. ამის გამო, ორი თამაში გამოვტოვე. მაშინ ჯერ კიდევ შილჰავი იყო ჩვენი მწვრთნელი.

**- საქართველოს ნაკრების ბოლო ორ შეხვედრას თუ უყურე? იმ შეკრებაზე შენ არ იყავი გამოძახებული...**

- ორივე თამაშს ინტერნეტით ვუყურე, თუმც კვიპროსთან მატჩი ხარვეზებით გადმოიცემოდა და მასზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. ბულგარეთთან კი ჩვენმა ნაკრებმა მართლაც ნორმალურად ითამაშა.

**- ნაკრების შტაბიდან არავის უთქვამს - კარგად მოემზადე, ეროვნული გუნდისთვის კვლავ საინტერესო ფეხბურთელად რჩებიო?**

- არავინ შემხმიანებია. უელსთან ამხანაგური მატჩისთვის გამომიძახეს, ბილეთიც ამილეს, მაგრამ ბრიტანეთში სავიზო პრობლემების გამო ვერ ჩავედი. მას მერე არავის მოვუკითხივარ.

**- ნაკრების წინა მწვრთნელები და საერთოდ, სპეციალისტები, დიმიტრი ტატანაშვილის უმთავრეს ნაკლად არასაკმარის ფიზიკურ მომზადებას მიიჩნევდნენ. გაქვს წინსვლა ამ მხრივ?**

- დღეს დილით მთელი გუნდი სატრენაჟორო დარბაზში ვიყავით და ორი საათი ვივარჯიშეთ, რაც საკმაოდ დიდი დატვირთვაა. საღამოს ჩვეულებრივი ვარჯიშიც გვაქვს. აქ ყველანაირი პირობაა სრულფასოვანი მომზადებისთვის. ვფიქრობ, ახლა უფრო ვარ ჯანზე, ვიდრე საქართველოში თამაშისას. მთავარია, აქაურობას უკვე შევეჩვიე, თანაგუნდელებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. საშუასეზონო მოსამზადებელ ეტაპზე კიდევ უფრო მოვლონიერდები და, ალბათ, მაშინ უკვე არანაირი პრობლემა არ მექნება ფიზიკურ მომზადებაში.

**- აგვისტოს მოვლენებზე რას გეუბნებოდნენ მანდ? ჩეხებმაც ხომ კარგად იციან, რა არის რუსული ინტერვენცია...**

- ყველანაირად ცდილობდნენ ჩემს გამხნევებას, რუსები ჩეხებსაც არ უყვართ და მათ მხარდაჭერას ვგრძნობდი.

**- ისევ ვრბასა და შენს ურთიერთობას დავუბრუნდეთ. როგორ ატყობ, რამ უნდა შეაცვლევინოს მას აზრი ტატანაშვილზე?**

- ზემოთაც გითხარით, რომ ათლეტიზმში ცოტა უკვე ამოვქაჩე. ახლა მთავარია, მცირე სათამაშო დრო მაქსიმალურად გამოვიყენო და გოლები შევაგდო. გამბრინუსლიგაში ჯერ მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე, რაც ძალიან ცოტაა.

**- ჩეხეთში ბევრად უფრო ძნელია თამაში, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში?**

- ცხადია, აქ უფრო ძნელია თამაში. საერთო დონეს რომ თავი დავანებოთ, ჩეხეთში მეტი ჯანი და გამძლეობაა საჭირო, სისწრაფეც სულ სხვაა... რასაც საქართველოში ერთ წამში აკეთებდი, წარმოიდგინეთ, აქ ეს უფრო სწრაფად უნდა გააკეთო. მოკლედ, მთავარი განსხვავება მაინც ფიზიკურ მომზადებაშია.

**- ესეც რომ არა, გუნდიდან გუნდში გადასვლისას აკლიმატიზაციისთვის მუდამ არცთუ ცოტა დრო გჭირდებოდა...**

- არც უმაგისობაა. ასე იყო მაშინაც, როცა "სპარტაკიდან" "ამერში" გადავედი.

**- მაინც, როგორ ფეხბურთს თამაშობენ ჩეხეთის ჩემპიონატში? არის მანდ რაღაც საერთო სტილი?**

- აქ თავდამსხმელს დაცვითი ფუნქციების შესრულებაც ევალებათ. ფაქტობრივად, თერთმეტი კაცით ვიცავთ ხოლმე თავს და ამიტომაც არის ფიზიკური მომზადება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. ყველა გუნდი უფრო დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე შემტევს. მათთან შედარებით, პლზენის "ვიქტორიას" უფრო მოიერიშე სტილი აქვს, მაგრამ ამას შედეგი ჯერ არ მოაქვს - თექვსმეტგუნდიან ლიგაში მე-12 ადგილზე ვართ, 10 თამაშიდან მხოლოდ 9 ქულა გვაქვს და ამიტომაც შეგვეცვალა მწვრთნელი. სეზონის წინ რომელიმე ევროსაგზურის მოპოვებას, მინიმუმ ხუთეულში მოხვედრას ვგეგმავდით...

**დავით თავართქილაძე**

# ასათიანი დინამოს 9 წუთშიც გამოადგა



**მალხაზ ასათიანმა** „პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩში მხოლოდ 9 წუთი ითამაშა (მსაჯის მიერ დამატებულ ორ წუთთან ერთად), მაგრამ იმდენად ეფექტურად, რომ „დინამომანიამ" მაღალი შეფასება, 6.5 ბალი დაუწერა. *„სულ 9 წუთი ითამაშა, მაგრამ გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იყო. დაცვაშიც საიმედოდ გაისარჯა და კონტრშეტევებიც წამოიწყო"* - ვკითხულობთ განმარტებაში.

მატჩის შემდეგ ასათიანი კმაყოფილი ჩანდა: *„ჯგუფურ ეტაპზე სამი თამაში დაგვრჩა. ყველა მატჩში მაქსიმალური შედეგისთვის უნდა ვითამაშოთ. პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა გვქონდა, ჩვენ ხომ საკუთარ მოედანზე კარგად მოთამაშე გუნდს ვხვდებოდით. ახლა „პორტუსთან" საშინაო მატჩზე უნდა ვიზრუნოთ, მანამდე კი ეროვნულ ჩემპიონატში უნდა მოვიგოთ. როცა* **იური სიომინს** *მოედანზე შევყავდი, მთხოვა, ბურთი „დამეჭირა" და ჩემი ზონა გადამეკეტა. მგონი, მწვრთნელის დავალება კარგად შევასრულე და იმედი გავუმართლე".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიწყებული სახელები

## აკაკი დევაძე

# ნიჭიერი და უცნაური...

**...უცნაურზე მეტი კარიერა ჰქონდა: საქართველოს ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა 19 წლისამ ითამაშა, უკანასკნელი სანაკრებო მატჩი კი 33 წლის ასაკში ჩაატარა! არანაკლებ უცნაური იყო ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრებში 14 წლის განმავლობაში... მხოლოდ 20 მატჩი ითამაშა! ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ნაკრების ზოგიერთი მწვრთნელი არ ენდობოდა; ხან, არასაფეხბურთო მიზეზით არ იძახებდნენ; ტრავმაც ბევრი ჰქონია; მაგრამ ერთ საკითხზე არავინ დაობდა - იმ პერიოდში ქართული ფეხბურთის ყველაზე ნიჭიერი მეკარე სწორედ ის, აკაკი დევაძე გახლდათ! ნაკრებში რაც ითამაშა, თითქმის ყველა დასამახსოვრებელი შეხვედრა იყო; არ დავმალავთ - გარკვეულ პერიოდში, შესაძლოა, თვითონაც რაღაც დააკლო საკუთარი ნიჭის უფრო შთამბეჭდავად წარმოჩენას...**

**...დევაძეს ისეთი სამეკარეო სტილი ჰქონდა, გულშემატკივარს რომ მოსწონს: ეფექტური ნახტომები, ჩინებული რეაქცია, თანაგუნდელების ხმამაღალი შეძახილებით შეგულიანება და ასე შემდეგ. ალარაფერს ვამბობთ იმ, მართლაც, აუარება მატჩზე (საქართველოს ჩემპიონატშიც თუ სხვაგანაც), პირადად რომ მოუგია! და მაინც: აშკარად უფრო მეტისთვის უნდა მიეღწია და, ახლა, წლების გადასახედიდან, ალბათ, თვითონაც ასე ფიქრობს...**

აკაკი დევაძეს, მართლაც, უცნაური კარიერა ჰქონდა: ქართველ მეკარეთაგან პირველი იყო, ვინც საზღვარგარეთ (თანაც, საკმაოდ წარმატებით) ითამაშა; ასევე ერთადერთია მეკარეებში, ქართველმა ჟურნალისტებმა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად რომ დავასახელეთ!

**...უცნაური კარიერა ჰქონდაო, ვამბობთ და ბევრი უცნაური გადაწყვეტილებაც მიუღია; ზოგი - გამართლებული, ზოგიც - საკამათო (დღეს ადვილია ძველ დროზე ლაპარაკი); მაგრამ, მაშინაც, როცა თამაშობდა და დღესაც, არავინ უარყოფს - იმ თაობაში აკაკი დევაძე ყველაზე ნიჭიერი ქართველი მეკარე იყო!**

**ჰო, კინალამ დაგვავიწყდა: დაბრუნებები უყვარდა; აი, რომ გვეგონა, მორჩა, კარიერა დაასრულაო, უცებ თამაში დაუწყია და მაშინვე მიუქცევია პრესისა და ქომაგთა ყურადღება. მერე, ისევ პაუზა (საფეხბურთოც თუ არასაფეხბურთო მიზეზით) და... ისევ დაბრუნება!**

**...ამას წინათ შევიტყვეთ, ისევ ფეხბურთში დაბრუნდაო, ოღონდ სხვა ამპლუაში. სხვა კი არა, მართლაც, საშვილიშვილო საქმეს მოსჭიდებია; თუმცა, ალბათ, ჯობს, რომ დანარჩენი აკაკი დევაძისგან შევიტყოთ...**

- დილომში, ოლიმპიური მომზადების ცენტრში მეკარეებს ვავარჯიშებ - სხვადასხვა ასაკის 15 ახალგაზრდა მყავს; იმავეს ვაკეთებ საფეხბურთო სკოლა "ოლიმპიკში", თანაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ჩემთვის მთავარია, რომ ალსაზრდელებიდან ორმა-სამმა დიდი ფეხბურთი ითამაშოს; აი, მაშინ კი ჩემზე ბედნიერი კაცი, მართლაც, არავინ იქნება.

**- ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ უკვე საკმაოდ დიდი ხანია, საქართველოში ნიჭიერი მეკარეების დეფიციტია. უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ნაკრების პრობლემებით დავიწყოთ.**

- რა თქმა უნდა, ბოლო წლებში ჩვენს ნაკრებში ამ პოზიციაზე ერთობ სერიოზული პრობლემები იყო. ჩემი აზრი ვინმეს თუ აინტერესებს, ვიტყვი, რომ დღესდღეობით საუკეთესო გიორგი ლომაიაა. ეგ კი არა, მანამდეც ამ აზრზე ვიყავი - გამოცდილებითაც და ფიზიკური მონაცემებითაც ყველა კონკურენტს სჯობდა.

**- როგორ ფიქრობთ, ზოგადად რატომ გაგრძელდა კრიზისი?**

- ჩვენთან, ერთეულ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში თუ მუშაობენ მეკარეთა მწვრთნელები. არადა, სპეციალიზებული სკოლებია საჭირო, სადაც დამწყებ მეკარეებს ასევე სპეციალური ვარჯიშები უნდა ჩაუტარდეთ. ჩემს დროს, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩებისთვის ვემზადებოდი, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ძირითადის მეკარე იყავი თუ დუბლების - სპეციალური ვარჯიშები გვქონდა. მახსოვს, "დინამოს" დუბლებში ყოფნის პერიოდში, ნოდარ აკობია ყოველდღე სიქას მაცლიდა, მაგრამ, კარგი ბიჭი იყავი და არ დაგეჯერებინა...

**- "დინამოს" ძირითადში ადგილი რატომ ვერ დაიმკვიდრეთ?**

- პირველ ჩემპიონატში ძირითადი მეკარე ზაურ ხაპოვი იყო და მინდა ვთქვა, რომ მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. არავის ეწყინოს, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი მეკარე სწორედ ხაპოვი იყო. მატჩის წინ იტყოდა: დღეს გოლს არ გავუშვებო და... ასეც ხდებოდა.

**- ხაპოვი პირველი ჩემპიონატის მერე "დინამოდან" წავიდა, მაგრამ თქვენ სხვა გუნდს მიაშურეთ.**

- ცხონებულმა დათო ყიფიანმა სამწლიან კონტრაქტზე მომაწერინა ხელი და მეც ძირითადისთვის ვემზადებოდი. თუმცა, ისე მოხდა, რომ გუნდში საქართველოს ნაკრების მეკარე ნიკუშა ჩხეიძე მოიყვანეს და მივხვდი, ხშირად თამაში არ მომიწევდა. კი, შემეძლო, დავრჩენილიყავი და კონკურენციისთვის მებრძოლა; ყიფიანიც მთხოვდა დარჩენას და მეუბნებოდა, რომ ორივე მეკარეს თავის გამოჩენის შანსი თანაბრად მიეცემოდა, მაგრამ წასვლა ვამჯობინე და ზესტაფონის "მარგვეთში" გადავედი. სხვათა შორის, არც მინანია - სწორედ იქიდან მიმიწვია გიგა ნორაკიძემ საქართველოს ნაკრებში.



2007 წლის 10 აგვისტო. ახალციხე. მესხეთი-მგლები. აკაკი დევაძის კარიერის უკანასკნელი მატჩი

**- მერე კი იყო საქართველოს ჩემპიონატებში თქვენი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სეზონი - თბილისის "შევარდენში"...**

- მურთაზ ხურცილავამ, მართლაც ჩინებული გუნდი ჩამოაყალიბა: გიორგი ნემსაძე, კახა გოგიჩაიშვილი, გია ჯიშკარიანი, დათო ყიზილაშვილი; მთელი ჩემპიონატი "დინამოს" ქულა-ქულა "მივდევდით" და საბოლოოდ მცირე უპირატესობით გვაჯობა. ასევე კარგი მოგონებები გამომყვა ფოთიდანაც - იქაც მშვენიერი გუნდი იყო.

**- ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ჩვენს ჩემპიონატში თავიდან დონეც მაღალი იყო და საინტერესო მატჩებიც.**

- პირველი და მეორე ჩემპიონატი, მართლაც, მაღალი დონის იყო - აი, სანამ აქედან ლეგიონერთა პირველი ტალღა არ წავიდა უცხოეთში; თუმცა, მერეც საინტერესო ჩემპიონატი გვქონდა: "დინამოს" გარდა, ძალიზე ძლიერი გუნდები ჰყავდათ ლანჩხუთს, ბათუმს, რუსთავს; ანდა, სოხუმის "ცხუმი", ხომ გახსოვთ? გრიგოლ ცაავა, მიშა ჯიშკარიანი, გოჩა გოგრიჭიანი, სოსო მალანია - რომელი ჩამოვთვალო, ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

**- ნაკრებში პირველად რომ გამოგიძახეს, სხვაობა დაინახეთ?**

- ლიტვასთან სადებიუტო მატჩი ბოლო წუთზე წავაგეთ; აი, მაშინ მივხვდი, თუ რამხელა სხვაობაა ჩვენს ჩემპიონატსა და საერთაშორისო დონეს შორის. რაც უნდა მონაცემები გქონოდა, უშრომელად ვერაფერს მიაღწევდი. თან, არ დაგავიწყდეთ და, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ საქართველოში მაშინ თითქმის ყველა გუნდში, მართლაც, ჩინებული მეკარეები იყვნენ: ნიკა ჩხეიძე, ასლან ბალაძე, ირაკლი ზოიძე, მამუკა გვასალია. კონკურენცია ნაკრებშიც სერიოზული იყო და 1994 წელს, სოფიაში ჩვენი უპირველესი გუნდის კარის დაცვა რომ მანდვეს, უბედნიერესი კაცი ვიყავი.

**- იმ შესარჩევ ციკლში, ფაქტობრივად, თქვენ იყავით ნაკრების ძირითადი მეკარე.**

- თუ არ ვცდები, ორი მატჩი გამოვტოვე - თბილისში ბულგარეთთან (ავად ვიყავი) და ბოლოს - მოლდოვასთან. თან, იმ დროს უკვე რუსეთში ვთამაშობდი; ეს კი, სულ სხვა დონე და ასპარეზი იყო. მახსოვს, პირველად მოსკოვის "სპარტაკთან" თამაში რომ გვქონდა, მაშინ მივხვდი, თუ როგორ ჩამოვრჩებოდით რუსებს.

**- ქართველი მეკარე-ლეგიონერი, მაშინაც და ახლაც, დიდი იშვიათობაა; რუსეთში თქვენს წარმატებულ თამაშს, ვაღიარებთ და, ბევრი არც მოელოდა.**

- არ გამჭირვებია ადაპტაცია - ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ადვილად ავუღე ალღო. კი, რა თქმა უნდა, ძნელია, როცა იურანის, ციმბალარისა თუ ონოპკოს წინააღმდეგ თამაშობ, მაგრამ თამაშები "წამივიდა" და ასე გრძელდებოდა რამდენიმე სეზონი.

**- გვახსოვს, თქვენს თამაშს ჩვენი რუსი კოლეგები რა ეპითეტებს უძღვნიდნენ.**

- რა თქმა უნდა, მსიამოვნებდა. ეგ კი არა, ცნობილ ტელეკომენტატორსა და წარსულში ასევე ცნობილ მეკარეს ვლადიმერ მასლაჩენკოს "სპორტ-ექსპრესში" ჩემზე უთქვამს: ასეთი რეაქციის მქონე და ასეთი მონდომებული მეკარე არ მინახავსო. არადა, გადმოცემით ვიცოდი, რომ ქართველ მეკარეებზე ყოველთვის ცუდი ტონით საუბრობდა.

**- იმ პერიოდში თქვენს კარიერაში უმნიშვნელოვანესი ინდივიდუალური პრიზიც მოიგეთ. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობას ელოდით?**

- როცა გიო ქინქლაძე და შოთა არველაძე "დაფრინავენ", როგორ უნდა მეფიქრა პირველობაზე? თუმცა, რახან ქართველმა ჟურნალისტებმა 1995 წელს არჩევანი ჩემზე შეაჩერეს, ესე იგი, "რაღაცას" წარმოვადგენდი. თუმცა, ისიც მახსოვს, რომ მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს მცირედით ვაჯობე. რომ გითხრათ, გამიხარდა-მეთქი, ის სიტყვები არ იქნება - "მეცხრე ცაზე" ვიყავი სიხარულით. რა ვიცი, იქნებ, ყოველივე ამან "დათვური სამსახურიც" გამიწია...

**- რას გულისხმობთ?**

- ძალზე ბევრ რამეს... ეს, ახლაა, როცა ფიქრობ და აანალიზებ წარსულს... ადვილი გასარჩევია, სად შევცდი და რაღაც დავაკელი; კი, შესაძლოა, იმ მომენტში ვფიქრობდი, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვავლენდი, მაგრამ... მეც ხომ ვიცი, რომ უფრო მეტი შემეძლო?!.

**- საქართველოს ნაკრებში ბევრი გამორჩეული მატჩი გქონიათ. თუმცა, ერთი გვინდა გაგახსენოთ - 1996 წლის 24 აპრილს, რუმინეთში 0:5 წაგებული შეხვედრა. ასეთი ანგარიშის მიუხედავად ჩვენი ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა ალექსანდრე ჩივაძემ ხმამაღლა განაცხადა - საქართველოს ნაკრებში საუკეთესო აკაკი დევაძე იყოო...**

- საშინელება იყო - ხუთი ბურთი ხომ გაგვიტანეს, ორი ამდენი კიდევ შეეძლოთ. ეჭვიანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ იმ მატჩში ყველაფერი "სუფთად" არ იყო; შესაძლოა, არც დაიჯეროთ, მაგრამ, მენდეთ, ასე იყო: მოედნის ერთი ნახევარი მშრალი იყო, ჩვენს საჯარიმოსთან კი, ტალახი და უბედურება! ჰოდა, როგორ გინდა, ჰაჯისა და ლეკეტუშს სდიო? მგონი, პირველ ოც წუთში უკვე 3:0 იყო და ჩვენებისთვისაც მატჩმა აზრი დაკარგა. მე კიდევ კარში ვიდექი და რაც შემეძლო, ბურთებს ვიგერიებდი...

**- და ამის მერე რატომ გაგიგრძელდათ სანაკრებო პაუზა?**

- ვლადიმერ გუცაევის მწვრთნელობის პერიოდს გულისხმობთ?

**- არა, მანამდე ხომ ორი წელიწადი იყო? თქვენ კი საქართველოს ნაკრებში არ გიძახებდნენ...**

- უკაცრავად, მაგრამ, ეს საგაზეთო თემა არ არის...

**- მაშინ, უფრო სასიამოვნო მოგონებაზე გადავიდეთ, როდესაც საქართველოს ნაკრებს რვაწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდით.**

- ისრაელში სამი სეზონი ვითამაშე, მერე თბილისში ვარჯიშზე (სლოვენიასთან რომ გამომიძახეს) ტრავმა მივიღე და ნაკრებში კი არა, საერთოდ კარიერა დავასრულე. ფაქტობრივად, სამი წელიწადი არ მქონდა ნავარჯიშები, როცა "ყაზბეგში" მეკარეების მწვრთნელად მიმიწვიეს. ერთხელაც, ორივე მეკარემ ტრავმა მიიღო და კარში ჩადგომამ მომიწია. რა თქმა უნდა, რანგით ბევრად დაბალი ლიგა იყო, მაგრამ ჩემთვის მაინც რაღაცას ნიშნავდა, რომ შვიდი მატჩი ნულზე ვითამაშე.

**- მერე უკვე უმაღლეს ლიგაშიც დაბრუნდით.**

- მეგობრები არ მომეშვნენ, მიდი, ძალები მოსინჯეო და მეც "სპარტაკში" მურთაზ ხურცილავასთან მივედი. არ სჯეროდა, ძველ დონეზე თამაშს თუ შევძლებდი, მაგრამ თავს ძალა დავატანე და... უცებ ალენ ჟირესმა ნაკრებშიც მიმიწვია! ზღაპარივით იყო: შეკრებაზე ორი ჭაღარა კაცი რომ ვიყავით ნაკრებში - მე და ჟირესი...

**- სამწუხაროდ, ზღაპარი დიდხანს არ გაგრძელებულა...**

- თურქეთთან მატჩში უმძიმესი ტრავმის მერე ერთი თვე საავადმყოფოში ვიწექი, კიდევ ორი თვე კი ვარჯიში მქონდა აკრძალული. საჭმელს ვერ ვჭამდი, ხელოვნურ კვებაზე ვიყავი და წონაში 16 კილოგრამიც დავიკელი. მოკლედ, ფეხბურთი წარსული უნდა გამხდარიყო.

**- და მაინც დაბრუნდით: თანაც, პირველ ლიგაში.**

- ზუგდიდის "მგლების" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია შემთხვევით შემხვდა და დახმარება მთხოვა. რაც შემეძლო, გავაკეთე და მიმაჩნია, რომ "მგლების" აღზევებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც იყო. სამწუხაროდ, უკვე უმაღლეს ლიგაში, წინა ჩემპიონატის პირველსავე ტურში, ახალციხეში, მძიმე ტრავმა მივიღე - იდაყვი მქონდა გაბზარული. ორი კვირა თაბაშირით ვიარე და აი, მაშინ კი საბოლოოდ გადავწყვიტე კარიერის დასრულება...

**გია ტუხაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. III ტური

# ბებერი ქალბატონის მარადიული წყევლა

## ლიონის გიჟურმა თამაშმა ლეკეტუშის კარიერა შეიწირა



### E ჯგუფი

**იუვენტუსი-რეალი 2:1**

წლებს წლები ემატება, მაგრამ ტურინი „რეალისთვის“ დაწყევლილ ქალაქად რჩება. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ფორმაში იმყოფება „იუვენტუსი“, „ბებერი ქალბატონი“ „რეალისთვის“ სწორედ რომ დაწყევლილ გუნდად რჩება. ესპანელი ჟურნალისტები იტალიელთა სტადიონს სამეფო კლუბის სასაფლაოს შემთხვევით არ უწოდებენ. პირენეულ გრანდს ტურინში „იუვეს“ წინააღმდეგ ექვსი შეხვედრა აქვს ჩატარებული და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. ისიც შორეულ 1962 წელს. დაგვეთანხმებით, მაშინ სულ სხვა დრო იყო. ჩვენ ახლა უფრო ახალგაზრდა „ბებერი ქალბატონისა“ და „რეალის“ ურთიერთობაზე“ ვსაუბრობთ. მადრიდელებმა ტურიშნი მეორე შეხვედრა 1987 წელს ჩაატარეს და დამარცხდნენ. ჩემპიონთა ლიგაში კი ტურინული წყევლა მთელი სიმძლავრით ამუშავდა. 1995-95 წლების სეზონში „იუვემ“ ესპანური გრანდი 2:0 დაამარცხა. სიტუაცია ახალ საუკუნეშიც არ შეცვლილა. ტურინელებმა მშობლიურ „დელე ალპიზე“ 2002-03 და 2003-04 წლების სეზონშიც გაიმარჯვეს. ამ წარუმატებელ, უფრო მეტიც ფატალურ სერიას სამეფო კლუბმა კიდევ ერთი ფიასკო შემატა. არადა, სტუმრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ავბედით ტრადიციას წერტილი დაესმებოდა... თუმცა „ბებერი ქალბატონის“ წყევლა ძალიან ძლიერი აღმოჩნდა.

ესპანელების მარცხს პირენეულ პრესაში რამდენიმე მიზეზით ხსნიან. პირველ რიგში ისინი მეტოქის დაუფასებლობაზე საუბრობენ. დაიწერა, რომ **ბერნდ შუსტერი** არხეინად ერთი მარტივი მიზეზის გამო იყო. მისი აზრით, „იუვე“ ის „იუვე“ აღარ იყო და „რეალს“ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ გერმანელი სპეციალისტი ფატალურად შეცდა. კიდევ ერთ მიზეზად, სტუმართა დაუდევრობას ასახელებენ. საქმე ის არის, რომ „რეალის“ ავტობუსი „დელე ალპიზე“ ერთსაათიანი დაგვიანებით მივიდა. „დიარიო მარკას“ თუ დავუჯერებთ, იტალიელებს ამაში არანაირი ბრალი არ მიუძღვით. როგორც ჩანს, სტუმრებმა რაღაც-რაღაცები ვერ გათვალეს და რიტმიდან ამოვარდნენ. პროფესიული ფეხბურთი მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. ეს არ არის ბავშვების ქუჩის ფეხბურთი. ყველაფერს თავისი წესი აქვს. თამაშის დღეს სტადიონზე მისვლა მთელი რიტუალია და როცა ერთი საათით აგვიანებ, ბუნებრივია, რიტმიდან ვარდები.

და მაინც, მიზეზებზე რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, მაინც მოგვიწევს იმის თქმა, რომ „იუვენტუსმა“ გამარჯვებისადმი გასაოცარი ლტოლვა გამოამჟღავნა. ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ სამეფო კლუბს მისი გადარჩენის შანსი არაერთხელ მიეცა, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ის შეხვედრა „იუვეს“ უნდა მოეგო. რატომ? თუნდაც **ალექს დელ პიეროს** გამო. იმედია, ეს არ იყო გედის სიმღერა და ალექსი მომავალში კიდევ არაერთხელ მოგვანიჭებს სიამოვნებას. ის რაც მან გააკეთა, სცილდება ჩვეულებრივი ჟურნალისტიკური ენით საუბრის ფარგლებს. დელ პიერო იმ დაუვიწყარი გოლისთვის მწერლებმა უნდა შეაფასონ. მწერლებმა, რომლებსაც უხილავ ზარდახშაში ყოველთვის მოეძებნებათ ასევე დაუვიწყარი სიტყვები და ეპითეტები. რადგან ამის უნარი ჩვეულებრივ ჟურნალისტს არ შესწევს, მარტივად მოგახსენებთ, რომ ალექსმა იმ ერთ კომბინაციაში, იმ ერთ გასაოცარ დარტყმაში მთელი მისი ცოდნა, გამოცდილება და რაც მთავარია გული ჩააქსოვა. დიდება ფეხბურთს ასეთი წამებისთვის.

შეხვედრის სხვა ეპიზოდებს რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ დიდი გუნდების თამაში ორ ნაწილად გაიყო. ალექსის გოლად და სხვა დანარჩენად. საინტერესო და კურიოზული იყო **გაბრიელ ჰაინცეს** ავტოგოლი, **რუუდ ვან ნისტელროის** გოლსაც შეხედავდა კაცი, მაგრამ ეს ყველაფერი შეხვედრის დასაწყისში გატანილ ბურთთან სახსენებელიც არ არის.

ვისაც ესპანური ფეხბურთი უყვარს, ეცოდინება, რომ ბერნდ შუსტერმა გასულ სეზონში **სერხიო რამოსის, ფაბიო კანავაროს, პეპესა** და ჰაინცეს ოთხეულს მსოფლიოში უძლიერესი დაცვა უწოდა. ეს კვარტეტი პირველად „კამპ ნოუზე“ შეიკრიბა, მაშინ „რეალმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და 1:0 გაიმარჯვა. ჩამოთვლილი ბიჭების ხელმეორედ ერთად გამოჩენას თითქმის ერთი წრე დასჭირდა. ტრავმების გამო შუსტერს საშუალება არ ეძლეოდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო დაცვით ხშირად დამტკბარიყო. ამ თეორიის მეორედ გამოცდა სანტანდერში „რასინგის“ წინააღმდეგ მოხდა. სამეფო კლუბმა ის თამაშიც მოიგო (2:0). მესამედ კი რამოსი, კანავარო, პეპე და ჰაინცე ნავარაში შეიკრიბნენ. მადრიდულმა გიგანტმა იმ დღესაც გაიმარჯვა (2:1). მეოთხე შეხვედრა კი წარუმატებელი აღმოჩნდა. როგორც ხედავთ, შუსტერისეულ მსოფლიოს საუკეთესო დაცვას „იუვენტუსმა“ ცუდი დღე აყარა.

**კლაუდიო რანიერი** გამარჯვებით რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დარჩა. აი, როგორ შეაფასა მატჩი აპენინელთა თავკაცმა: *„უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებაში დავამტკიცეთ, რომ „იუვენტუსი“ ერთსულოვანი და მტკიცედ შეკრული გუნდია. ამასთან, უნდა ვაღიარო, რომ სასწორზე ჩვენ სასარგებლოდ იღბლის ერთი წვეთი დაეწვეთა და გამარჯვებაში ხელი შეგვიწყო. „რეალმა“ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. ალბათ, მეტი თავდადება გამოვიჩინეთ. გულშემატკივრებისა და პრესის კრიტიკას მტკივნეულად აღვიქვამ. როცა ჩემს საწინააღმდეგო სტატიებს ვკითხულობ, სიკვდილის პირას მივდივარ. ასე რომ, ჩემმა ბიჭებმა ჩემი ოჯახი ტრაგედიისგან იხსნეს. რომ წაგვეგო, შეიძლება მომვკვდარიყავი.“*

ამ შეხვედრის მიმოხილვას ბერნდ შუსტერის სიტყვებით დავასრულებთ: *„ჩვენ ყველა კითხვას საჭირო დროს უნდა გავცეთ პასუხი. დღევანდელი ნაგებით ქვეყანა არ დაქცეულა. ძალიან უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. მთავარია, დროული რეაგირება მოვახდინოთ. ჩვენ „იუვენტუსს“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ნებისმიერ ფასად უნდა მოვუგოთ. აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, რომ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ და ფლეი ოფში სასწაულებს მოვახდენთ. მოკლედ, „რეალი“ ჯერ კიდევ წინ გელით.“*

**ზენიტი-ბატე 1:1**

ევროპულმა პრესამ **დიკ ადვოკაატის** შეცდომაზე საუბარი დაიწყო. ჰოლანდიელ სპეციალისტს **პუიგრენიესა** და **პოგრებნიაკის** შემადგენლობიდან ამოგდების გამო საყვედურობენ. თუმცა თავად ადვოკაატს ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ კომპეტენტური პასუხი აღმოაჩნდა, ჩემი შეგირდები დაღლილები იყვნენ და ძირითად შემადგენლობაში მათ თამაშს აზრი არ ჰქონდაო. ბატონმა დიკმა პოგრებნიაკი მხოლოდ 76-ე წუთზე შეუშვა მოედანზე. ობიექტურად რომ ვისაუბროთ, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, პუიგრენიე და პოგრებნიაკი მოედანზე რამდენ წუთს გაატარებდნენ. მთავარი ის არის, რომ ბატე-მ კიდევ ერთი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და სანკტ პეტერბურგიდან სრულიად დამსახურებული ქულა წაიღო. არ შეიძლება, ცოტა ხნის წინ ბელორუსების მიერ მოხდენილი სასწაული არ გავიხსენოთ. ბატე-მ თვით „იუვენტუსთან“ ფრედ 2:2 ითამაშა.

ამ შეხვედრაში „ზენიტს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა. შესაძლოა, რუსები გამარჯვებაში ზედმეტად იყვნენ დარწმუნებულნი ან ფეხბურთელებს სხვა პრობლემები ჰქონდათ, ან სულაც „გაზპრომს“ მოლაპარაკებებისთვის დრო დაენანა, თუმცა ფაქტი ის არის, რომ ადვოკაატის ბიჭები ძალიან მძიმედ თამაშობდნენ. ბატე კი მედგრად იბრძოდა და მოდაში შემოსულ „ზენიტს“ არაფერს უთმობდა. ბელორუსებს ბედმა ისევ არ გაუღიმა. მათ მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. მასპინძლები წაგებისგან **თექეს** გოლმა იხსნა. მან გრძელი პასი მიიღო, ბურთი კარგად გააჩერა და კარი ძლიერი დარტყმით დალაშქრა.

ადვოკაატი, ცხადია, ცუდ ხასიათზე იყო. მას გამარჯვება ძალიან უნდოდა, ამიტომ ორი ქულის დაკარგვამ გაწონასწორება უკიდურესად გაუფუჭა: *„გულდაწყვეტილი ვარ. უნდა მოგვეგო, ჩვენ ყველა პირობა გვქონდა იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში პირველი გამარჯვება მოგვეპოვებინა. ბატე-მ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მიმაჩნია, რომ შეხვედრა ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომების გამო ვერ მოვიგეთ. სამწუხაროა, რომ ორი ქულის დაკარგვით ფლეი ოფში მოხვედრის ოცნებას დარტყმა მიადგა.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 2. რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 3. ბატე | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 4. ზენიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

**5 ნოემბერი**

სელტიკი-მანჩესტერი
ოლბორგი-ვილიარეალი

### F ჯგუფი

**ვილიარეალი-ოლბორგი 6:3**

„ელ მადრიგალზე“ ისტორიული საღამო შედგა. ამ შეხვედრას მხოლოდ ფეხბურთს ვერ ვუწოდებთ, რადგან ეს სანახაობა სპექტაკლს უფრო ჰგავდა. შესაძლოა, გარკვეულწილად გროტესკული პერსონაჟების მიერ შესრულებულ წარმოდგენას, მაგრამ მაინც სპექტაკლს. ისტორიულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ „ვილიარეალმა“ მისი არსებობის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგაში ექვსი გოლი პირველად გაიტანა. მთლიანობაში ამ შეხვედრაში ცხრა გოლი გავიდა. ასეთი რამ „ელ მადრიგალს“ აქამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნანახი, როცა „ვილიარეალმა“ „რასინგი“ ანალოგიური ანგარიშით, 6:3 დაამარცხა. კიდევ ერთი ისტორიული მიღწევა, **ხოსება ლორენტეს** ჰეთ ტრიკია. ჩემპიონთა ლიგაში ასეთი შედეგი „ყვითელი სუბმარინის“ სხვა ფეხბურთელს არ ჰქონია. ლორენტე რიგით მეოთხე ესპანელი მოთამაშეა, რომელმაც ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში სამი გოლი გაიტანა. აქამდე **რაულმა, ხერარდმა** და **მორიენტესმა** გამოიჩინეს თავი.

უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ მისი ცალკეული მონაკვეთები აბსოლუტურად განსხვავებული სცენარით მიმდინარეობდა. იყო მონაკვეთები, როცა „ვილიარეალი“ ამაზრზენად გამოიყურებოდა, მაგრამ მომდევნო ეპიზოდებში **მანუელ პელეგრინის** ბიჭები ისეთ ცეცხლს ანთებდნენ, რომ თვალს ვერ მოწყვეტდი. სხვათა შორის, „დიარიო ასის“ კორესპონდენტი **ულისეს ფლორი** წინასწარმეტყველებდა, აი, ნახავთ, „ოლბორგი“ ჩვენს ბიჭებს სისხლს გაუშრობსო. სასაცილო იყო, ამ სტატიის ქვეშ გამოქვეყნებული გულშემატკივართა კომენტარები. ავტორს რას არეუბნებოდნენ, ფლორ, შენ ქალი ხარ, ფეხბურთი არ გესმის, სახლში წადი და პატარას ძუძუ მოაწოვეო. ძუძუმწოვარა და უცოდინარი ვინ აღმოჩნდა, თამაშმა დაგვანახა. სტუმრებმა პელეგრინის გუნდი სახიფათო კონტრიერიშებით გაანამეს, თუმცა ბოლოს მაინც კლასმა და გამოცდილებამ გაიმარჯვა. დიდი წვალების მიუხედავად, „ვილიარეალი“ მხოლოდ და მხლოდ ქებას იმსახურებს. რაც დრო გადის ეს გუნდი სულ უფრო და უფრო გვაოცებს, სტაბილურობით მას ბევრი გრანდიც კი ვერ შეედრება.

პელეგრინი მისი ბიჭების შემტევი პოტენციალით მოხიბლული დარჩა: *„რა თქმა უნდა, უსიამოვნოა, როცა სამ გოლს გაგიტანენ, თანაც საკუთარ სტადიონზე, მაგრამ ერთი გარემოება მახარებს. „ვილიარეალმა“ ურთულესი მდგომარეობიდან იპოვა გამოსავალი. შეტევაში შეუდარებელი ვიყავით. დამეთანხმებით, იოლი არ არის, როცა გოლს გიტანენ და თამაშის სცენარს თავზე განგრევენ. მიუხედავად ყველა სირთულისა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თავდასხმა გვყავს. ლორენტეს მიღწევით აღფრთოვანებული ვარ, თუმცა ხოსებამ თავადაც აღნიშნა, რომ მეგობრების დახმარების გარეშე ერთი გოლის გატანაც გაუჭირდებოდა.“*

**მანჩესტერი-სელტიკი 3:0**

„მანჩესტერისა“ და „სელტიკის“ წყვილში ფავორიტის დადგენას დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა. „ოლდ ტრეფორდზე“ „წითელი ეშმაკები“ ყოველთვის ფავორიტები არიან. მით უმეტეს, ახლა, როცა „სელტიკი“ ინგლისში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა.

სიმართლეს თვალი რომ გავუსწოროთ, ამ ჯგუფში ორი გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, კენჭისყრის დღესვე გაირკვა...

„სელტიკმა“ „იუნაიტედს“ მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გაუწია. არადა, შოტლანდიელებისთვის ამ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. **გორდონ სტრაჩანის** ბიჭების ოცნება ფლეიოფში გასვლაზე ქარს გაჰყვა. მათ განადგურებაში **დიმიტარ ბერბატოვმა** ლომის წილი შეიტანა. ბულგარელი ფორვარვარდი ძალიან აქტიურად თამაშობდა. მან მოედანზე ერთი საათი დაყო და ამ ერთი საათის განმავლობაში სტუმრები არაერთხელ შეანუ-

ხა. ბერბატოვის დუბლს **რუნიმ** ერთი გოლიც დაამატა და **ალექს ფერგიუსონს** მორიგი მშვიდი საღამო აჩუქა.

სერ ალექსმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დიდხანს ისაუბრა. ამიტომ თქვენ მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ: *„სასიამოვნო წუთების პრობლემებზე საუბრით გაფუჭება არ მიყვარს, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ გარკვეული თვალსაზრისით უკმაყოფილების გრძნობა დამრჩა. საბედნიეროდ, ეს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს ეხება. თქვენი ნებართვით, არ დავაკონკრეტებ, რას ვგულისხმობ, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ხარვეზების აღმოფხვრაზე ბიჭებთან ერთად ბაზაზე დაუღალავად ვიმუშავებ. მთლიანობაში კი რა თქმა უნდა, „იუნაიტედი“ ძალიან მომეწონა. გააზრებული და მრავალფეროვანი ფეხბურთი ვითამაშეთ“.*

გორდონ სტრაჩანისთვის გაუგებარი დარჩა, რა არ მოეწონა მის კოლეგას. „სელტიკის“ დამრიგებელმა „მანჩესტერის“ მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა: *„ჩემპიონთა ლიგაში არა ერთი დიდი გუნდის წინააღმდეგ გვითამაშია. მაგალითისთვის „მილანს“ და „ბარსელონას“ ვახსენებ, მაგრამ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ „მანჩესტერს“ ვერავინ შეედრება. ეს არის გენიალური მწვრთნელის გენიალური გუნდი. მაისამდე ძლიან დიდი დროა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „იუნაიტედი“ ჩემპიონთა თასს შეინარჩუნებს. 0:3 მძიმე ანგარიშია, თუმცა ვითვალისწინებ, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბის წინააღმდეგ ვითამაშეთ“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-0 | 7 |
| 2. ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 3. სელტიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 4. ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |

**5 ნოემბერი**

ფიორენტინა-ბაიერნი
ლიონი-სტიაუა

### G ჯგუფი

### ბაიერნი-ფიორენტინა 3:0

„ბაიერნისა“ და „ფიორენტინას“ დაპირისპირება საინტერესო ფაქტით დაიწყო. ფლორენციიდან ჩასული გულშემატკივრები **ლუკა ტონის** ისე შეხვდნენ, როგორც დაუძინებელ მტერს. ასეთი რადიკალიზმი ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რადგან მიუნხენურ და ფლორენციულ კლუბებს დიდი მტრობა არასოდეს ჰქონიათ. ასე იყო, თუ ისე, ბურთის ყოველი მიღებისას ტონის იტალიური გინება ესმოდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ბავარიული გრანდის ფორვარდს თავი არ დაუზოგავს. მართალია, ლუკას მისი ყოფილი გუნდისთვის თავად არ გაუტანია, მაგრამ ორ საგოლე იერიშში მაინც მიიღო მონაწილეობა. მისი დახმარების გარეშე **მიროსლავ კლოზეს** გოლის გატანა გაუჭირდებოდა. 25-ე წუთზე მან **ფრანკ რიბერის** თავით დაუგდო ბურთი. ფრანგმა გარემარბმა კი **შვაინშტაიგერი** მონახა. ბასტიანს საკმაო დრო ჰქონდა იმისთვის, რომ კარგად დაემიზნებინა და „ფიორეს“ კარი დაელაშქრა. იტალიელებს **რენზინგის** დამწუხრება პირველი ტაიმის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე შეეძლოთ, მაგრამ **ჯილბერტო ჯილარდინოს** მაკრატელამ მიზანს ვერ მიაღწია.

ტონიმ გასულ უქმეებზე ნეკნი იტკინა. გერმანელი ჟურნალისტები არ გამორიცხავდნენ, რომ მას საერთოდ არ ეთამაშა, ამიტომ შესვენებაზე კლინსმანის მიერ მისმა შეცვლამ არ უნდა გაგვაკვირვოს. მოკლედ, ტონიმ **ლუკას პოდოლსკის** დაუთმო ადგილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნი“ ისევ დიდი ძალებით უტევდა. **დემიკელისსა** და კლოზეს ანგარიშის გაზრდის 100-პროცენტიანი შანსი ჰქონდათ, მაგრამ **სებასტიან ფრეიმ** მათი დარტყმული ბურთები თავგანწირული ნახტომებით მოიგერია. სამაგიეროდ, ფრანგმა მეკარემ **ზე რობერტოს** ველარაფერი მოუხერხა და მიუნხენელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს.

**იურგენ კლინსმანმა** ამ გამარჯვებას უმნიშვნელოვანესი წარმატება უწოდა: *„მატჩის დებიუტშივე მივხვდი, რომ მოვიგებდით. ჩემმა ბიჭებმა სტუმრები პრესინგის წნეხში მოაქციეს. კომბინაციები კარგად გამოგვდიოდა. დავრწმუნდი, რომ ფიზიკურად მშვენივრად ვართ მომზადებული. პროგრესის გზა დავინახე და მჯერა, რომ ეს გზა უფრო გაფართოვდება.“*

**ჩეზარე პრანდელიმ** კი ირონიული გამოსვლით დაგვამახსოვრა თავი: *„რა უნდა ვთქვა? ჩემი ბავშვები მონოდების სიმაღლეზე არიან. ისინი ცხვირს არ აცემინებენ და სიცხეც არ აწუხებთ. მზრუნველი მამა ხომ ასე ლაპარაკობს? საშინელებაა, როცა 3:0 აგებ და საგოლე მომენტების შექმნა გიჭირს. „ბაიერნმა“ სივრცეები შეგვიზღუდა. მათ საჯარიმოში შეღწევას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. იქ შეღწევის შემდეგ კი ენერგია არ გვრჩებოდა იმისთვის, რომ კარში ზუსტად დაგვერტყა. ბუნებრივია, დღევანდელი საღამოთი იმედგაცრუებული ვარ.“*

### სტიაუა-ლიონი 3:5

ეს იყო გიჟური თამაში, რომელიც ათწლეულებში ერთხელ თუ გაიმართება. გიჟური იმდენად, რამდენადაც ლოგიკისგან ძალიან შორს იდგა. გარდამავალი უპირატესობით წარმართული დაპირისპირებები ხშირად გვინახავს, მაგრამ ამას ქაოსი უფრო ერქვა. ხან „სტიაუა“ ბრიყვობდა, ხან - „ლიონი“. რუმინელებმა იმაზე მეტი მოინდომეს, ვიდრე რეალურად შეეძლოთ. 3 გოლიც გაიტანეს, მაგრამ ამ სამ გოლს იმდენი ენერგია დაახარჯეს, რომ საკუთარ კარში 5 მიიღეს. შესაძლოა, „სტიაუას“ ფეხბურთელები ემოციას აჰყვნენ ან მწვრთნელმა დაუშვა ტაქტიკური შეცდომები. ყოველ შემთხვევაში, აშკარად გამოჩნდა, რომ მასპინძლებს 90 წუთისთვის ძალა არ ეყოთ. „ლიონი“ რისი „ლიონი“ იქნებოდა, რომ ამით არ ესარგებლა? გამოცდილმა ფრანგებმა ჯერ ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩეს. შემდეგ კიდევ გაათანაბრეს ანგარიში, ბოლოს კი მეოთხე და მეხუთე გოლები შეაგდეს. ამ სანახაობით გულდათუთქულმა **მარიუშ ლეკატუშმა** პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. ასე რომ, სევდიანი და გიჟური საღამოს შემდეგ, „სტიაუა“ მისმა ლეგენდარულმა შვილმა დატოვა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 8-6 | 5 |
| 3. ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 4. სტიაუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

**5 ნოემბერი**

დინამო-პორტუ
არსენალი-ფენერბაჰჩე

### H ჯგუფი

### ფენერბაჰჩე-არსენალი 2:5

თურქული კლუბის ხელმძღვანელობამ **ლუის არაგონესი** მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე სულ სხვა იმედით დანიშნა. ალბათ, გულუბრყვილო ფიქრებში იმედოვნებდნენ, რომ ასაკოვანი ესპანელი „ფენერბაჰჩეში“ ესპანეთის ნაკრების საჩემპიონო სულისკვეთებას მიიტანდა, მაგრამ ლუისის თურქული კარიერა სტამბოლის ოქროსავით სულაც არ ბრწყინავს. **არსენ ვენგერმა** მას დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. ევროპის ჩემპიონი მწვრთნელისთვის ასეთი დამამცირებელი მარცხი შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი. არსენალი ისე ლაღად თამაშობდა, მასპინძელი გეგონებოდა. თურქები კი ბევრს წვალობდნენ. მოედნის ცენტრში შეცდომებს უშვებდნენ და ამით მეტოქეს მომაკვდინებელი იერიშების ორგანიზების საშუალებას აძლევდნენ. თუ ამ შეხვედრას გულისყურით უყურეთ, დაგვეთანხმებით, რომ „არსენალს“ **თეო უოლკოტის** სახით უდიდესი ვარსკვლავი ეზრდება.

არაგონესს დანა პირს არ უხსნიდა. ესპანელმა სპეციალისტმა როგორც ყოველთვის უჟმურად ილაპარაკა: *„მოკლე პრესკონფერენციაზე დღევანდელი ფიასკოს ყველა მიზეზის დასახელება და გაანალიზება არ მოხერხდება. გამეხარდება, თუ დღევანდელი მარცხი ჩვეულებრივი საფეხბურთო უიღბლობად ჩაითვლება. მაგრამ სამწუხაროდ, ორ გუნდს შორის სათამაშო კლასის თვალსაზრისით უდიდესი განსხვავება დავინახე. ეს უფსკრული იყო. რას ვიზამთ, მსოფლიო დონის გუნდის ჩამოყალიბებას ტრადიცია და დრო სჭირდება.“*

### პორტუ-დინამო 0:1

კიევის „დინამომ“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. პირველ რიგში ეს სამი ქულა უკრაინელების პატივმოყვარეობას აკმაყოფილებს. **იური სიომინმა** არაჩვეულებრივი ტაქტიკა აირჩია და პორტუგალიურ გრანდთან ბიჭები ძალიან პრაგმატულად ათამაშა. ჩვეული მონდომებითა და ენერგიით სირბილმა მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა. აქვე ხაზი უნდა გაესვას **ალიევის** გასაოცარ გოლს. მან ულამაზესი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. სიომინმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სიხარული ვერ დამალა და საგანგებოდ აღნიშნა, რომ „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში დიდი ხნის განმავლობაში არ მოეგო. ბოლოს ისიც დასძინა, რომ კიეველებმა პორტუგალიაში მათი არსებობის განმავლობაში პირველად გაიმარჯვეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-3 | 7 |
| 2. დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. ფენერბაჰჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |

**5 ნოემბერი**

ბატე-ზენიტი
რეალი-იუვენტუსი

მიმოხილვა მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანს ბექჰემი მოუნდა

## გალიანი მოლაპარაკებებს ადასტურებს

რამდენიმე დღის წინ ევროპულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ იანვარში **დევიდ ბექჰემი** მილანში ჩავა და **კარლო ანჩელოტის** გუნდთან ერთად გააგრძელებს ვარჯიშს. საქმე ის არის, რომ ამერიკის ეროვნული ჩემპიონატი სულ მალე დასრულდება და გუნდები ნახევარწლიან არდადეგებზე წავლენ. ბექჰემი ინგლისის ეროვნული გუნდის წევრია და ბუნებრივია, ამხელა პაუზა მის სათამაშო კონდიციაზე უარყოფითად იმოქმედებს. გამომდინარე აქედან, ჟურნალისტები და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დევიდი ზამთარში ნახევარწლიან საარენდო ხელშეკრულებას გააფორმებს „მილანთან“ და სეზონის ბოლომდე ლომბარდიულ გრანდში ივარჯიშებს.

ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბექჰემს პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია, სამაგიეროდ **ადრიანო გალიანიმ** ისაუბრა პრესასთან და საკმაოდ საინტერესო კომენტარიც გააკეთა: *„დიახ, ჩვენ ვმუშაობთ დევიდის ამბავზე და იმედია, სასურველ შედეგს მივაღწევთ. ინგლისელი ზამთარში შემოგვიერთდება, ჩვენი სურვილია ნახევარწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გავაფორმოთ და ბექჰემმა „მილანის“ შემადგენლობაში სეზონის ბოლომდე ივარჯიშოს. თავად ფეხბურთელიც დაინტერესებულია ჩვენს კლუბში თამაშით. ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ფეხბურთელის აგენტთან. მალე, ალბათ, ბექჰემსაც შევხვდებით და ყველაფერს დეტალურად განვიხილავთ“.*

**ლაშა ნიკლაური**

გამოხმაურება

# მიუნხენური გაკვეთილი ვიოლას

თუ ტურინში „იუვეს“ თამაშით ყველა აღფრთოვანებულია, სრულიად სხვა სიტუაციაა ფლორენციაში. „ფიორენტინა“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მიუნხენს ესტუმრა და „ბაიერნთან“ 3:0-ზე განადგურდა. ფლორენციელებისგან უპირობო გამარჯვებას ნამდვილად არავინ ითხოვდა, მაგრამ ამ ანგარიშს და იტალიელთა ასეთ უსუსურ თამაშს ვერავინ წარმოიდგენდა. გერმანელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. ფლორენციელებს აპენინურ მედიაში თავის მართლება მოუხდათ, რამდენად კარგად გამოუვიდათ ეს, თავად განსაჯეთ.

ჯერ **ალბერტო ჯილარდინოს** მოვუსმინოთ, ვინც მიმდინარე სეზონს ჩინებულად ატარებს და ბუნებრივია, მიუნხენში მისგანაც მეტს მოელოდნენ: *„ვფიქრობ, რომ იღბალი მეტოქის მხარეს იყო, თუმცა ამით იმის თქმა არ მსურს, რომ „ბაიერნმა“ დაუმსახურებლად მოიგო. მიუნხენელებმა პირველ 20-30 წუთში ძალიან ძლიერად ითამაშეს და გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვეს. 2:0-ზე თამაში გაკეთებული იყო და ჩვენი მცდელობებიც ამაო გამოდგა. არადა, პირველ ნახევარში გვქონდა მომენტები და გატანაც გვმართებდა, ერთიც რომ შეგვეგდო, შესაძლოა შეხვედრა სულ სხვაგვარად წარმართულიყო. ამ მარცხისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, საჭიროა გავაანალიზოთ მომხდარი, გამოვიტანოთ დასკვნები და შემდეგ შეხვედრას უფრო მობილიზებულნი შევხვდეთ“.*

განბილებული იყო **ლუჩანო სპალეტიც**. „გაძეტა დელო სპორტს“ მან შემდეგი განუცხადა: *„შეცდომების გარეშე ფეხბურთი არ არსებობს და ჩვენც ამ შეცდომების მსხვერპლი გავხდით. თანაც, რიგ ეპიზოდებში არ გვიმართლებდა. რამდენჯერმე გატანილ გოლამდე მილიმეტრები დაგვაკლდა, მიუნხენელებმა კი მაღალი კლასი გამოავლინეს და ბოძებული შანსები გამოიყენეს. მომენტების რეალიზაციაზე უნდა ვიმუშაოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპულ გრანდებს კონკურენციას ვერ გავუწევთ“.*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექს დელ პიერომ მადრიდელებს ზღაპრული ბურთი გაუტანა

გამოხმაურება

# შემობრუნება, თუ მხოლოდ ერთი ფრაგმენტი?

## ტურინში მადრიდული გიგანტის ძლევას აფასებენ

ტურინში დიდი ზეიმია, „იუვენტუსმა“ მიმდინარე სეზონში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და მადრიდის „რეალი“ ბეჭებზე გააკრა. შეხსენება არ გჭირდებათ, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ესპანური გიგანტი 2:1-ზე დაამარცხა და რაც მთავარია თამაშითაც არაფერი დაუთმო. ზეიმი ალბათ უფრო პომპეზურიც იქნებოდა, რომ არა მატჩის წინ მომხდარი ტრაგიკული ამბავი. შვეიცარიიდან იტალიის მიმართულებით მიმავალი ავტობუსი ავარიაში მოჰყვა - ავტოკატასტროფამ „იუვეს“ ორი ტიფოზი შეიწირა, რომლებიც საყვარელი გუნდის თამაშის სანახავად მეზობელ ქვეყანაში მიემართებოდნენ. აღნიშნულმა ამბავმა კლუბის მესვეურებიც შეძრა, მათ უკვე გამოთქვეს მწუხარება მომხდარის გამო და გარდაცვლილების ოჯახებს მიუსამძიმრეს.

დავუბრუნდეთ ფეხბურთს და ტურინელთა ბრწყინვალე გამარჯვებას. საფეხბურთო ექსპერტები მატჩის წინ უპირატესობას „რეალს“ ანიჭებდნენ და ეს ბუნებრივიცაა. ესპანელები ქვეყნის ჩემპიონატში ბრწყინვალედ ასპარეზობენ, მაშინ როცა „იუვე“ კრიზისშია და სერია A-ს სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-12 პოზიციაზე იმყოფება. თანაც, **რანიერის** საკადრო პრობლემებიც უხვად ჰქონდა, განსაკუთრებით ნახევარდაცვის რგოლში, მარტო **მაურო კამორანეზის** და **კრისტიან ძანეტის** დასახელებაც კმარა. ერთი სიტყვით, „იუვეს“ გამარჯვებას არაფერი მოასწავებდა, მაგრამ ტურინელებმა მოიგეს და იტალიური პრესაც აალაპარაკეს. გუშინ, „გაძეტა დელო სპორტის“ უმთავრესი თემა სწორედ რანიერის გუნდის გამარჯვება გახლდათ, პირველ გვერდზე კი დიდი ასოებით ეწერა „FORZA JUVE“.

რის ხარჯზე იმარჯვა „ვეკია სენიორამ“, უპირველესად კონცენტრაციის და მონდომების ხარჯზე. ფეხბურთელები სათანადოდ განეწყვნენ ერთი კონკრეტული მატჩისთვის და მობილიზაციის ხარჯზე სანადელს მიაღწიეს. „იუვეს“ რომ ერთ თამაშში ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია ცხადზე ცხადია, რაც არ უნდა კრიზისულ და რთულ მდგომარეობაში უნდა იყოს ეს გუნდი. აქედან გამომდინარე, ჯერ ძალიან ადრეა საუბარი კრიზისის დაძლევაზე და აღმავლობის დაწყებაზე. „რეალთან“ გამარჯვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონატში სტაბილურობას დაიბრუნებს და დაგეგმილი ქულების დაგროვებას დაიწყებს. მეორე მხრივ, ესპანელებზე გამარჯვებამ ტურინელებს ნესით თავდაჯერებულობა უნდა შემატოს, რაც შესაძლოა, გახდეს კიდეც კრიზისიდან გამოსვლის რეალური საფუძველი.

დაძლევს თუ არა „იუვენტუსი“ რთულ პერიოდს, ამას დრო გვიჩვენებს, იქამდე კი „რეალთან“ გამარჯვებას დავუბრუნდეთ. იტალიელი ჟურნალისტების აზრით, სამი ქულა ტურინელებმა სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს. კლაუდიო რანიერიმ 4-4-2 სქემა აირჩია და შეტევაში **დელ პიერო-ამაურის** წყვილი გაამწესა. ორივე მათგანი შეუდარებელი იყო და მოედანზე ყოფნა 100%-ით გაამართლეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გატანილი გოლები სწორედ მათზე მოდის. ალექსმა დიდებული დარტყმით შეარხია მეტოქის კარის ბადე, ამაურიმ კი თავური დარტყმით იხეირა. თავდამსხმელთა თამაში სხვა მხრივაც გამოსარჩევია, არც ერთი მათგანი არ თაკილობდა უკან ჩასვლას და ნახევარმცველთა დახმარებას, ეგ კი არა, დელ პიერო რამდენჯერმე საკუთარ საჯარიმოში აღმოჩნდა და გუნდს მასირებული იერიშის მოგერიებაში დაეხმარა. ბევრი იმოძრავა ამაურიმაც, როგორც ჩანს, რანიერიმ მკაცრად მოსთხოვა კარვალიოს საჭირო მომენტში დაცვითი ფუნქციებიც შეესრულებინა.

ცალკე სალაპარაკო თემაა ნახევარდაცვის რგოლი. შუა ხაზში ტურინელებს მთელი სეზონია უჭირთ და მოედნის ცენტრში ასეთ გამართულ თამაშს მართლაც არავინ ელოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მატჩის ბოლო 20 წუთი სტუმართა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის, „იუვე“ მთლიანობაში ძალიან კარგი იყო და მოგებაც დაიმსახურა.

იტალიელები სტადიონზე არსებულ ატმოსფეროზე ამახვილებდნენ ყურადღებას და ტურინელ ტიფოზებს მომავალშიც ანალოგიური მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. სერია A-ს მატჩებზე „ოლიმპიკოზე“ ძალიან ცოტა მაყურებელი დადის და ეს, რა თქმა უნდა, გუნდის თამაშზე უარყოფითად აისახება. ტიფოზებს ემადლიერება კლაუდიო რანიერიც, მატჩის შემდეგ მან იტალიურ მედიას ვრცელი კომენტარი მისცა: *„ფეხბურთელებმა ხასიათი გამოავლინეს და დიდებული გამარჯვება გამოჭედეს. ძალიან კარგია, რომ სწრაფი გოლი გავიტანეთ და დავწინაურდით. ამან საშუალება მოგვცა კონტრიერიშებზე გვეთამაშა და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე მეტი კონცენტრაცია გაგვეკეთებინა. ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა, რომელსაც გულშემატკივრებს ვუძღვნი, მათ მთელი 90 წუთის განმავლობაში მხურვალედ დაგვიჭირეს მხარი და ეს სამი ქულა დაიმსახურეს კიდეც. ამ გამარჯვებით დავამტკიცეთ, რომ გუნდში სერიოზული კრიზისი არ ყოფილა, მხოლოდ მცირე ჩავარდნა გვქონდა, რომელიც დაძლეულია.*

*ძალიან მომწონს ამაური-დელ პიეროს შემტევი დუეტი. ერთმანეთს ავსებენ და კარგადაც უგებენ. ალექსი საერთოდ ცალკე სალაპარაკო თემაა, ბრწყინვალე გოლი გაიტანა და გამარჯვებას დაუდო სათავე. კარგად ითამაშეს სხვა ამპლუის ფეხბურთელებმა, თუნდაც პაველ ნედვედი ავილოთ, ვინც უდიდესი სამუშაო შეასრულა და მეტოქის ძლევაში ლომის წილი დაიდო“.*

მატჩის გმირი ალესანდრო დელ პიერო გახლავთ, „ბიანკონერის“ ლიდერი ბევრს მოძრაობდა, უჩვეულოდ შემართული იყო და სულ თუ არაფერი, დიდებული გოლი გაიტანა. ალექსმა მატჩის შემდეგ პრესასთანაც გაისაუბრა: *„ძალიან კარგად ვითამაშეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ. დღეს თითოეული ფეხბურთელი მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც გახდა კიდეც წარმატების საწინდარი. გოლი მართლაც კარგი გამომივიდა, დავინახე რომ მეკარე ვერ აკონტროლებდა სიტუაციას და კარში ბევრი ფიქრის გარეშე დავარტყი. ამაურისთან თამაში დიდი სიამოვნებაა, კარვალიო ბევრს მოძრაობს და ძალიან კარგად იხსნება. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ტიფოზებმა ისიამოვნეს, ვეცდებით, ისინი არც მომავალში გავანბილოთ“.*

„იუვენტუსს“ მორიგი გამოცდის ჩაბარება უახლოეს უქმეებზე მოუწევს, „ბებერ სენიორას“ „ტორინოსთან“ მოუწევს შერკინება. „იუვესთვის“ ტურინული დერბი იოლი არასდროს ყოფილა და საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა „რეალის“ ძლევით დაწყებული წარმატებული სვლა.

**ლაშა წიკლაური**

ჩემპიონთა ლიგის ალტერნატიული მიმოხილვა

# გოლუხვი სამშაბათი

## პავლეს ფაფარი, ძველებური ალექსი და ზაზას სინდრომი...



ოლბორგის მეკარე ქარიმ ზაზამ ესპანელებისაგან ექვსი გოლი მიიღო

8 თამაში, 36 გოლი, ანუ, 4.5 გოლი საშუალოდ ერთ მატჩში! ეს იყო ძალიან მაგარი სამშაბათი! მცველებს თავდამსხმელების შესაჩერებლად ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, რასაც სტატისტიკაც დაგვიმოწმებს: არც ერთი გაძევება, არც ერთი პენალტი. მეკარეებს კი ნამდვილად ცუდი დღე გაუთენდათ...

„მანჩესტერმა“ "სელტიკს" არაფერი გააბედინა, კედელთან მიაყუდა და გვარიანად ურტყა. ფაქტია, რომ **ბერბატოვისა** და **რუნის** დუეტი სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ბულგარელმა ჩემპიონთა ლიგაში მესამე და მეოთხე გოლები გაიტანა, რუნის კი ბოლო 7 ოფიციალურ შეხვედრაში 9 გოლი აქვს გატანილი. მცირე ნუგეში შოტლანდიურ გრანდს: ბულგარელი ორივე გოლის დროს თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

16-დან 7-მა მეკარემ 3 და მეტი გოლი გაუშვა. ამ შვიდიდან, ყველაზე უბედური „ოლბორგის“ კარის დარაჯი **ქარიმ ზაზაა**, რომელმაც „ვილიარეალისგან“ 6 (!) გოლი მიიღო. არადა, პირველი 27 წუთის განმავლობაში „ოლბორგი“ „ვილიარეალს“ სჯობდა და უგებდა კიდეც. 27-ე წუთზე კი ზაზას რბევა **ჯუზეპე როსიმ** დაიწყო და 83-ეზე **ლორენტემ** დაასრულა. ამ უკანასკნელმა, სხვათა შორის, ჰეთ-თრიკი შეასრულა.

როგორც ჩანს, ზაზას სინდრომი შეეყარათ სხვა კიპერებსაც. მაგალითად, „სტიაუას“ მეკარე **საპატას**, რომელმაც „ლიონისგან“ 5 გოლი გაუშვა. ფაქტია, რომ ბუქარესტელმა მცველებმა **ბენზემას** და კომპანიის ნინაშე დაიჩოქეს. ამ უკანასკნელმა დუბლი შეასრულა, მაგრამ მეორე გოლი განსაკუთრებით ეფექტური გამოუვიდა. ამასობაში, **ფრედმაც** დაამტკიცა, რომ სულაც არ არის ჩამოსაწერი: 67-ე წუთზე შეუშვეს, 69-ეზე გოლი გაიტანა.

ამავე ჯგუფში „ბაიერნმა“ „ფიორენტინას“ 3:0 მოუგო და ვინც თამაში არ ნახა, იფიქრებს, მიუნხენელებს უფრენიათო. მთლაც ასეც არ ყოფილა. ბავარიელები გულით თამაშობდნენ, ფლორენციელები კი სულელურად – მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. დარტყმები - 23:14 ფლორენციელთა სასარგებლოდ; კუთხურები - 10-4 ფლორენციელთა სასარგებლოდ; საგოლე შანსები - 8:7 ფლორენციელთა სასარგებლოდ. ტაბლოზე კი, საფინალო სასტვენის შემდეგ, 3:0 ენთო „ბაიერნის“ სასარგებლოდ. ასე რომ, მთლად ისეც არ ყოფილა საქმე.

„დრაგაოზე“ **ალექსანდერ ალიევმა** ერთი გაისროლა, მაგრამ ისეთი, რომ „პორტუსაც“ ეყო და კიევის „დინამოსაც“ – 32 მეტრიდან, დარტყმის სიჩქარე 107 კმ/სთ გახლათ. ალიევის გოლის შემდეგ, კიეველები დაცვაში ჩადგნენ და ბეტონად გადაიქცნენ. „პორტუმ“ კი არ იცოდა, რა მოეხერხებინა ამ ბეტონისთვის. „არსენალმა“ თურქეთში ქვა ქვაზე არ დატოვა და მეტსაც გეტყვით, „ფენერბაჰჩეს“ 2 გოლიდან ერთი თვითონ ლონდონელებმა უწყალობეს: **სილვესტრმა** საკუთარ კარში გაიტანა. ჰო, მართლა, მეხუთე გოლის ავტორმა **რამსეიმ** დღის სინათლე პირველად 1990 წელს იხილა, შობის დღესასწაულიდან ორი დღის შემდეგ და იმ დროს, როცა ის მისი სახლის მისაღებ ოთახში ნაძვის ხესაც კი ვერ ამჩნევდა, „ფენერის“ მწვრთნელ **ლუის არაგონესს** უკვე ნახევარი პრიმერა დივიზიონი ჰყავდა გაწვრთნილი. არაგონესის ჯილა **გუისამ**, როგორც ჩანს, მალიორკიდან ბოსფორისკენ მიმავალ გზაზე „საგოლე ალღო დაკარგა“. ფაქტია, რომ თურქეთის ჩემპიონატში მას მხოლოდ 2 გოლი აქვს და „არსენალთანაც“ არაერთი მომენტი გაატანა ქარს. და როცა გაიტანა, იმ დროს ანგარიში უკვე 4:1 იყო ლონდონელთა სასარგებლოდ.

„ზენიტმა“ გასულ სეზონში უეფას თასი მოიგო, თუ რაღაც ამდაგვარი, (ისე, „ბაიერნთან“ და „რეინჯერსთან“ თამაშების ჩაწყობისა და ყიდვის ამბები საეჭვოდ მიიჩქმალა), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსები ჩემპიონთა ლიგასაც დაიპყრობენ. არაფერიც, „ზენიტი“ სამი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზეა, შინ ბატე-საც კი ვერ მოუგო.

...რა სჭირდება გუნდს, რომელიც სერიოზულ კრიზისშია? რა თქმა უნდა, მადრიდის "რეალთან" მოგება, რაც ნებისმიერ კრიზისს და ტრაგედიას ზეიმად გადააქცევს. **ალესანდრო დელ პიეროს** გენიალურმა გოლმა და აღვირახსნილი **ამაურის** დროულმა თავურმა **პაველ ნედვედის** ეფექტური ჩაწოდების შემდეგ, „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** შვებით ამოასუნთქა. „რეალი“ ცუდად თამაშობდა და თითქოს ზემოდან უყურებდა მეტოქეს. **ბერნდ შუსტერის** ბიჭებმა მხოლოდ **არიენ რობენის** გამოჩენის შემდეგ შეძლეს ხეირიანი შეტევების განხორციელება და გოლის გატანაც, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შესანიშნავი იყო ალექსი და "იუვეს" ფანებს „პავლე“ ნედვედის „ლომის ფაფარიც“ ისევ ძველებურად ალაფრთოვანებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი გერმანიის ნაკრებში

# მიხაელ ბალაკი ბუნდესმწვრთნელის წინააღმდეგ

## კურანისა და ფრინგსის შემდეგ, ლიოვის რევოლუციას კაპიტანიც დაუპირისპირდა, ბუნდესგუნდში სერიოზულ სკანდალს ელოდებიან...



იოგი ლიოვს მიხაელ ბალაკმაც შეუტია

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ **კევინ კურანიმ** გერმანიის ნაკრები დატოვა. „შალკეს" თავდამსხმელი უკმაყოფილო გახლდათ იმის გამო, რომ ნაკრებში გამოიძახეს, მაგრამ განაცხადში არ შეიყვანეს და ტრიბუნაზე მიუჩინეს ადგილი. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კევინი (მისი თქმით) დაჩაგრეს და შესაბამისად, 26 წლის ფორვარდმა ბუნდესგუნდი მიატოვა. კურანი გერმანიის ნაკრების წამყვანი ფიგურა არ ყოფილა და ამიტომაც, არაა გასაკვირი, რომ მისი წასვლა ბევრმა ტრაგედიად არ აღიქვა.

მაგრამ შემდეგ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** კევინზე გაცილებით მძიმეწონიანი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, კერძოდ, **ტორსტენ ფრინგსი.** იოგიმ „ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო, რუსეთთან მხოლოდ 7 წუთი ათამაშა, ხოლო უელსთან მთელი შეხვედრა სკამზე გაატარებინა. ეს საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მწვრთნელზე ფრინგსიც გაბრაზებულიყო. როგორც იცით, ტორსტენმა განაცხადა, ნაკრებიდან წასვლაზე მეც სერიოზულად ვფიქრობო. აქ კი შეშფოთდა საფეხბურთო გერმანია და ჩვენც დავწერეთ, რომ ლიოვის ქმედებებს რევოლუციის სუნი აუვიდა. თანაც, ჰერ იოახიმმა განაცხადა, სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვეღარავის მივცემ, მათ შორის ვერც ფრინგსსო.

გუშინ გერმანიის ნაკრებში დაწყებული ქაოსი (დიახ, უკვე შეგვიძლია, ამ სიტუაციას ქაოსი ვუწოდოთ) მომდევნო ფაზაში შევიდა. ჯერ კურანი, მერე ფრინგსი, ახლა კი... თვით **მიხაელ ბალაკი,** რომელიც გუნდის კაპიტანია! „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბალაკმა ლიოვს შეუტია. შეუტია და მერე როგორ!

„ძალიან გაკვირვებული ვარ იმის გამო, რომ ოპერაციის შემდეგ ლიოვმა ერთხელაც არ დამირეკა და არ მომიკითხა. არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ადრე ყოველთვის მირეკავდა და მეკითხებოდა, - როგორ ხარო"?, - ასე იწყებს ბალაკი ბუნდესმწვრთნელის კრიტიკას, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. აქვე, სანამ მის სხვა განცხადებებს შემოგთავაზებდეთ, უპრიანია შეგახსენოთ, რომ ბალაკი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ძალიან სერიოზულად დაუპირისპირდა გერმანიის ნაკრების მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფს** და მას მერე ამ ორს შორის ნამდვილი კატა თაგვობანაა გაჩაღებული. ბირჰოფი და ბალაკი ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ. ბირჰოფი და ლიოვი კი ერთი გუნდია.

ხსენებულ ინტერვიუში მიხაელი ფრინგსსაც იცავს და კურანისაც: „შესაძლოა, ტორსტენი არ არის საუკეთესო ფორმაში, მაგრამ ის ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშობს და თავს არასდროს ზოგავს. საპირისპიროს ვერავინ დაამტკიცებს. ლიოვი ამბობს, რომ კონკურენციაა საჭირო და სიმართლე გითხრათ, გული ძალიან ცუდს მიგრძნობს. რატომღაც მგონია, რომ ტორსტენს ჰიტცლშპერგერთან და როლფესთან ბრძოლის მოგების შანსი არ აქვს. არა იმიტომ, რომ არ შეუძლია, არამედ იმის გამო, რომ არ მოაგებინებენ! ამასთან, ჩემი აზრი ის არის, რომ როცა მწვრთნელს ფეხბურთელი აღარ სჭირდება, ამის შესახებ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა უთხრას. პატივისცემა და ლოიალურობა ყველაზე მთავარია და მინიმუმია, რაც გამოცდილმა და დამსახურებულმა ფეხბურთელმა უნდა მოითხოვოს. იმედს ვიტოვებ, გარკვეულ ძალებს არ სურთ, რომ ფრინგსი იძულებული გახადონ, ნაკრებიდან წავიდეს. ასე რომ მოხდეს, ძალიან სამწუხარო იქნება. ფაქტია, ფრინგსი უკვე ფიქრობს, რომ ნაკრების მწვრთნელს ის აღარ სჭირდება."

გერმანიის ნაკრების კაპიტანს აბსოლუტურად ნორმალურ მოვლენად მიაჩნია ის, რომ მწვრთნელს კონკურენციის დამკვიდრება სურს. მაგრამ მიხაელს ეჭვი აქვს, რომ მწვრთნელის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები სულ სხვა მიზანს ემსახურება. ბალაკი ფრინგსის სიტუაციას **ოლივერ კანის** სიტუაციას ადარებს – როგორც გახსოვთ, 2006 წლის მუნდიალის წინ იმჟამინდელმა ბუნდესმწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** კანსა და **ლემანს** შორის დაამკვიდრა კონკურენცია. ეს ამბავი საბოლოოდ კანის „დემონტაჟით" დასრულდა.

ბალაკი: „მე მაშინაც დარწმუნებული გახლდით და დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ იენს ლემანს არ შეეძლო კანის დამარცხება. ანაც, გავიხსენოთ კრისტიან ვიორნსის შემთხვევა. ეს უკანასკნელი დორტმუნდის „ბორუსიაში" მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ ნაკრებიდან დაიფრინეს. სამაგიეროდ, დატოვეს კრისტოფ მეტცელდერი, რომელიც „დორტმუნდში" სკამზე იჯდა. მოკლედ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს და ძალიან მინდა, რომ ვცდებოდე!"

რაც ყველაზე საინტერესოა, მიხაელი გამოექომაგა კურანის! ბუნდესკაპიტანი: „ცხადია, სტადიონიდან გაქცევა კარგი საქციელი არ იყო, მაგრამ მე მესმის კევინის. ის ძალიან კარგად ხედავდა, რომ ჩაგრავდნენ – მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს და წლების განმავლობაში, ბუნდესლიგის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის ძირითადი შემადგენლობის განუყოფელი წევრია. კურანის არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ გოლების გატანა ეხერხება. ჩემი აზრით, ნაკრებსაც სწორედ ასეთი ფეხბურთელები სჭირდება. აბა, დაფიქრდით, რა მოუვა გერმანიის ნაკრებს, ამ კრიტერიუმებზე უარი რომ ვთქვათ და მხოლოდ ის ფეხბურთელები ვათამაშოთ, რომლებიც პირადად მოგვწონს?"

ბალაკი მთელ საფეხბურთო გერმანიას და პირველ რიგში ლიოვს აფრთხილებს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ძალიანაც ნუ ვენდობითო. „ფრთხილად უნდა ვიყოთ. გერმანიის ნაკრები კარგად თამაშობს და შედეგიც აქვს. გუნდი მომწიფებულია, არსებობს იერარქიაც. მე მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე და ვიცი, რომ ეს შესაძლებელია!" – ამბობს მიხაელი.

ცხადია, ბალაკის ამგვარ განცხადებებს მყისვე მოჰყვა რეაქციები. ყველაზე საინტერესო, ცხადია, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერის** კომენტარი უნდა იყოს, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „თუკი ვინმე ლიოვს არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მასზე უკეთ შეუძლია საქმის გაკეთება ან გარკვეული იდეები აქვს, პირველ რიგში, თვითონ ლიოვს უნდა მიმართოს და არა პრესას."

■ ■ ■

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი უაღრესად წარმატებულია, მაგრამ რაკი კაპიტანმაც მის წინააღმდეგ გაილაშქრა, ბუნდესგუნდში დენთის სუნი დატრიალდა. პირველი, ვინც ზემოთ ხსენებული ინტერვიუს შემდეგ ბალაკის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, **ფრანც ბეკენბაუერია.**

„ამდენი წუწუნის მოსმენა ყელში ამოვიდა. ეს ყველაფერი დაუჯერებელი და მიუღებელია. ფეხბურთელებმა ენა უნდა დაიმოკლონ, ფეხბურთი ითამაშონ და თავიანთი შესაძლებლობები მოედანზე დაამტკიცონ. გერმანიის ნაკრებში შექმნილი ვითარება ძალიან არ მომწონს. ყველა ფიქრობს, რომ რაღაცის თქმა შეუძლია. ჯერ კურანი აიჭრა, რომელიც შუა თამაშის დროს სადღაც გაქრა, მერე ფრინგსი, რომელიც მიიჩნევს, რომ აღარავის სჭირდება და ნაკრებიდან წასვლით იმუქრება, ახლა კი ბალაკმაც აიმაღლა ხმა, რომელიც გუნდის კაპიტანია. თუკი მიხაელი ფიქრობს, რომ პრობლემები არსებობს, ამ ყველაფერზე არა ჟურნალისტებთან, არამედ ნაკრების ხელმძღვანელებთან უნდა ილაპარაკოს," – განრისხებულია კაიზერი.

„ბალაკის კომენტარებით იმედგაცრუებული და ნაწყენი ვარ. მისი ასეთი განცხადებების შემდეგ ნაკრებში სიტუაცია აშკარად დაიძაბა და ამას უკვე ყველანი ვგრძნობთ. არადა, გუნდში ყველაფერი კარგადაა, ბუნდესგუნდს თვალსაჩინო შედეგები და სერიოზული პროგრესი აქვს. სწორედ ამიტომ, ვერ გამიგია, რატომ აკრიტიკებენ ფეხბურთელები პრესაში ლიოვს. ბუნდესმწვრთნელს შეუძლია აკეთოს ის, რაც უნდა, იოახიმ ლიოვი გერმანიის ნაკრებში ყველაზე დიდი ავტორიტეტია," – აცხადებს ცვანციგერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც ლიოვის ავტორიტეტს შეეხება, აუცილებლად დაისჯება, თუნდაც ეს მიხაელ ბალაკი იყოს.

კურანი გააგდეს და აღარ დააბრუნებენ. აშკარაა, რომ აღარც ფრინგსს აქვს ნაკრებში ადგილი გარანტირებული. რა ელის ბალაკს? ლიოვმა თქვა, მიხაელს აუცილებლად უნდა დაველაპარაკო, ოღონდ მანამდე კარგად უნდა მოვიფიქრო, რას ვეტყვიო. „ნებისმიერმა ფეხბურთელმა იცის ის წესები, რაც ნაკრებში მოქმედებს, პირველ რიგში კი - კანონი იმის შესახებ, რომ კრიტიკა საჯაროდ არ შეიძლება. ჩემს საქმეებში ვერავინ ჩაერევა, ეს ფაქტია. მიხაელს აუცილებლად დაველაპარაკები და თანაც, არა რამდენიმე დღის შემდეგ, არამედ რაც შეიძლება, მალე," - ამბობს ლიოვი.

ფაქტია, რომ ყველაფერი ძალიან მალე უნდა გაირკვეს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა

# კოსტაკურტას ტორინო შესთავაზეს?

## პრეზიდენტი კაირო დე ბიაზის გათავისუფლებას კატეგორიულად უარყოფს


ალესანდრო კოსტაკურტა

"მილანის" ლეგენდას **ალესანდრო კოსტაკურტას** "ტორინოში" ეპატიჟებიან. ამ ინფორმაციას "კორიერე დელა სერა" ავრცელებს. გასულ უქმეებზე "ბროწეულებმა" ზედიზედ მესამედ წააგეს. მთავარი მწვრთნელის, **ჯანი დე ბიაზის** პოზიციები საგრძნობლად შეირყა. მას დათხოვნა ემუქრება. როგორც ჩანს, ტურინელებს დე ბიაზის შემცვლელი ნაპოვნი ჰყავთ.

"ტორინოს" გასავარდნი ზონისაგან ერთი ქულა აშორებს. გუნდმა სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ ერთი თამაში მოიგო - პირველ ტურში, "ლეჩესთან". მომავალ უქმეებზე ის თანაქალაქელ "იუვენტუსს" ეთამაშება. ტურინული დერბი დე ბიაზისათვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. ბედის ირონიით, ამ თამაშს "იუვეს" თავკაც **კლაუდიო რანიერისთვისაც** ანალოგიური დატვირთვა აქვს.

"ტორინოს" პრეზიდენტ **ურბანო კაიროს** სინიორ ჯანისთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს. გასულ ზაფხულს მან მწვრთნელს კარისაკენ მიუთითა. ამა წლის თებერვალში, სინიორ კაირომ **ალბერტო ძაკერონი** დაითხოვა და მის ნაცვლად ისევ დე ბიაზის უხმო. პრეზიდენტი მორიგ გადაადგილებას ამზადებს, თუმცა საჯარო გამოსვლებისას დე ბიაზის მოსალოდნელ დათხოვნას კატეგორიულად უარყოფს.

რაც შეეხება კოსტაკურტას, მას დამოუკიდებლად არასოდეს უმუშავია. გასულ სეზონში ბილი **კარლო ანჩელოტის** ასისტენტი იყო. მას კოვერჩანოში გამოცდაც ჩააბარა და სამწვრთნელო ლიცენზია აიღო. ზაფხულის არდადეგებისას, კოსტაკურტას სერია B-ს "პიზა" შეეხმიანა. ალესანდრომ წინადადება თავაზიანად უარყო. მან „მილანში" დარჩენა გადაწყვიტა, რათა 4 წლის შვილ **აშილისათვის** მიეხედა. კოსტაკურტას მეუღლე **მარტინა კოლომბარი** თეატრის მსახიობია და წლის ბოლომდე მომქანცველი გასტროლები ელის.

**შალვა ბიბილაშვილი**

ნიუკასლი

# შირერი მზადაა

## სერ ბობი რობსონის აზრით, კრიზისში მყოფი გუნდისათვის შირერისა და კიგანის დუეტი იდეალური გამოსავალი იქნებოდა

**სერ ბობი რობსონი** „ნიუკასლის" ბოს **მაიკლ ეშლის** მოუწოდებს, მთავარ მწვრთნელად **ალან შირერი** დანიშნოს. აი, რა განუცხადა ვეტერანმა დამრიგებელმა გაზეთ „სანს": *"შირერი სულით ხორცამდე ნიუკასლელია. ის იცნობს გულშემატკივრებს, გუმანით ხვდება, რას ითხოვენ ფანები საყვარელი კლუბისაგან. დარწმუნებული ვარ, ალანი ექსტრაკლასის მწვრთნელი დადგება. მას საამისოდ ყველა წინა პირობა აქვს. ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორია გამოუცდელობა. იდეალური ვარიანტი იქნებოდა კიგანისა და შირერის დუეტის მოსვლა. ისინი საუცხოოდ შეეწყობოდნენ ერთმანეთს."*

შირერის პასუხმა არ დააყოვნა. ფეხბურთელმა იმავე „სანის" მიმომხილველს აუწყა, რომ მზადაა, „ნიუკასლის" შეთავაზება განიხილოს. ორშაბათს ალანი „ნიუკასლისა" და „მანჩესტერ სიტის" კალენდარულ შეხვედრას დაესწრო (2:2). ის ფანების კერპია. შირერი ჯორდების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. მართალია, მას უეფას სამწვრთნელო ლიცენზია ჯერ არ აქვს, მაგრამ უახლოეს მომავალში ამ საბუთის აღებასაც გეგმავს. მანამდე კი მას საფეხბურთო ასოციაციის სპეციალური ნებართვით შეუძლია იმუშაოს. ასეთი ნებართვით მოღვაწეობენ „მიდლსბროსა" და „ბლექბერნის" თავკაცები - **გარეთ საუთგეიტი** და **პოლინსი**. შირერის მსგავსად, არც ამ სპეციალისტებს გააჩნიათ უეფას ლიცენზია.

შირერმა შემთხვევით ისარგებლა და "ნიუკასლის" ხელმძღვანელობას **მაიკლ ოუენთან** ურთიერთობის გარკვევა ურჩია. ოუენს კონტრაქტი გაისად ზაფხულში ეწურება. ჯორდებს მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება ჯერ არ შეუთავაზებიათ. ოუენს „ნიუკასლიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. ზოგიერთი ბრიტანული სააგენტო მის „ლივერპულში" დაბრუნებასაც არ გამორიცხავს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

### ფაბრეგასი: დღეს არსენალი, ხვალ ბარსელონა

**ფრანსესკ ფაბრეგასი** "არსენალში" დარჩენას აპირებს, თუმცა სამომავლოდ "ბარსელონაშიც" სიამოვნებით დაბრუნდება. ფაბრეგასი კატალონიელია. ის "ბარსას" სკოლის აღზრდილია. გასულ ზაფხულს ინგლისური და ესპანური სააგენტოები მას შინ დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ. "ბარსელონას" მოლაპარაკებების დაწყება სურდა, მაგრამ ფეხბურთელმა "არსენალში" დარჩენა გადაწყვიტა. ის დარწმუნებულია, რომ სწორად მოიქცა: *"შინ დაბრუნება და "ბარსელონაში" თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნების ასრულება იქნებოდა. "ბარსა" ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. მისი ყურება ერთ რამედ ღირს. ამ გუნდში თამაში საამაყოა, მაგრამ მე დღეს "არსენალის" წევრი ვარ და აქაც შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ლონდონში კიდევ ბევრი ტიტულის მოგებას ვაპირებ."*

### არტეტა ინგლისის ნაკრებში?

26 წლის ევერტონელმა **მიკელ არტეტამ**, შეიძლება, ინგლისის ნაკრებში ითამაშოს. ის ამ უფლებას ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად, ერთი წლის შემდეგ მოიპოვებს, რადგან მას ქვეყანაში თამაშის ხუთწლიანი სტაჟი დაუგროვდება. ორი სეზონის განმავლობაში (2002-04) ის ""რეინჯერსის" ღირსებას იცავდა, ხოლო 2005 წლის იანვრიდან დღემდე "ევერტონში" თამაშობს. მას ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებში საკმაო რაოდენობის თამაში აქვს ჩატარებული. 21-წლამდელთა შორის არტეტამ შვიდ თამაშში ერთი გოლი გაიტანა. მას ესპანეთის ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია. მიკელი იმედს არ კარგავს, რომ ვისენტე დელ ბოსკე თავის გამოჩენის შანსს მისცემს. თუმცა თუკი მას ინგლისის ნაკრებში მიიწვევენ, არც ამ პატივზე იტყვის უარს. აქვე გეტყვით, რომ არტეტამ "ევერტონის" მაისურით პრემიერლიგაში 100-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, 15 გოლი გაიტანა და 30-მდე საგოლე პასი მიამატა აქტივს.

### რაიან გიგზი: თამაში ჯერ კიდევ მსიამოვნებს

„გარდიანმა" **რაიან გიგზს** ინტერვიუ ჩამოართვა. ჟურნალისტი დაინტერესდა, რა არის ფეხბურთელის მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლო. უელსელმა კომპლიმენტისთვის მადლობა გადაიხადა და მიუგო: *"მშვენივრად მესმის, რომ ფეხბურთისთვის ახალგაზრდა აღარ ვარ - თვე-ნახევარში 35 წლის გავხდები. არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე, კიდევ რამდენ ხანს ვითამაშებ - ერთი წელიწადი თუ ორი. ამიტომ ყოველი თამაშისაგან მაქსიმალური სიამოვნების მიღებას ვცდილობ. მეტიც, ჩემთვის მინდორზე გატარებული ყოველი წუთი განსაკუთრებულია. მეკითხებიან, ვამაყობ თუ არა, რომ მთელი კარიერა "იუნაიტედში" გავატარე? რა თქმა უნდა. ამას რა კითხვა უნდა?! ჩემ გარდა, მხოლოდ ორი ფეხბურთელი მახსენდება, რომელმაც მთელი კარიერა ერთ კლუბში გაატარა: რაული - მადრიდის "რეალში" და მალდინი - "მილანში". ცუდი კამპანიაა? თავს ბედის ნებიერად მივიჩნევ, რადგან ასეთი დონის გუნდში მოვხვდი. ცხოვრების ბოლომდე "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარი ვიქნები".*

### კუბა ენფილდ როუდზე

**რაფაელ ბენიტესი** დორტმუნდის "ბორუსიის" პოლონელი ნახევარმცველის, **იაკუბ (კუბა) ბლაშჩიკოვსკის** გადაბირებას ცდილობს. ესპანელს სეზონის ბოლომდე მოცდა არ სურს. ის მენეჯერებს სთხოვს, ტრანსფერი იანვარში გაჩარხონ. "ლივერპული" მზადაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაიხადოს. მერსისაიდელთა ინტერესს ვესტფალიელთა პრეზიდენტი **რაინჰარდ რაუბალიც** ადასტურებს, მაგრამ ამბობს, რომ მისი კლუბი ფეხბურთელის გაშვებას, მით უფრო ზამთრის ტრანსფერებისას, არ აპირებს. უფრო კატეგორიული იყო კლუბის სპორტული დირექტორი **ჰანს-იოახიმ ვატცკე:** *"კუბა არც რვა და არც თვრამეტ მილიონად არ გაიყიდება."* ინგლისელები 23 წლის პოლონელით ჯერ კიდევ ზაფხულში დაინტერესდნენ, მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არც მაშინ მოჰყოლია.

### პიცურკას საფრთხე ემუქრება

**რუმინეთის** პოლიციამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვიქტორ პიცურკა** დაჰკითხა. სამართალდამცავებს რამდენიმე საკითხის გარკვევა სურდათ. ცოტა ხნის წინ რუმინულ ფეხბურთში კორუფციული სკანდალი აგორდა. "სტიაუას" პრეზიდენტ **ჯიჯი ბეკალის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მას მატჩების ჩაწყობაში დასდეს ბრალი. გამოძიება ეჭვობს, რომ ბეკალიმ ერთ-ერთ რუმინულ კლუბს თამაშის დათმობის სანაცვლოდ 2.6 მილიონი ევრო გადაუხადა. იმხანად პიცურკა ბუქარესტული კლუბის დამრიგებელი იყო. პოლიციას აინტერესებს, ხომ არ დაუმალა მწვრთნელმა გამოძიებას რაიმე ინფორმაცია. თუ ინფორმაციის დამალვა დადასტურდება, ბატონ ვიქტორს ყალბი ჩვენების მიცემისთვის ციხეში მიაბრძანებენ.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

### ფენომენი კვლავ იტალიაში?

**გუშინ** იტალიურ პრესაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. როგორც იცით, **რონალდო** ტრავმისგან განიკურნა, ზედმეტი წონა დაიგდო და ახალი კლუბის ძიებაშია. ზაფხულში „მილანმა" ფეხბურთელთან ხელშეკრულების გახანგრძლივება არ ისურვა და ფენომენი უგუნდოდ დარჩა. თუმცა რონალდოს რომ ახალი ნავსაყუდელის მოძებნა არ გაუჭირდება, ესეც ფაქტია. უკანასკნელი ინფორმაციით, რონალდოთი უკვე დაინტერესდა სერია A-ს ორი გუნდი, „სამპდორია" და „სიენა". სავარაუდოდ, მათ რიცხვს სხვებიც შეუერთდებიან. ფეხბურთელს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, სად გააგრძელოს კარიერა. ამაზე მისი კომენტარიც მეტყველებს: *„შესაძლოა, ბრაზილიაში დავბრუნდე, შეიძლება, ევროპას მივაშურო. მინდა, 2010 წლის მუნდიალზე ვითამაშო. მიზნის მისაღწევად ყველაფერს ვიღონებ. ჩემი ახალი კლუბი ამბიციური უნდა იყოს, მაღალი მიზნებისთვის იბრძოდეს, სხვანაირად კარლოს დუნგას ყურადღების მიპყრობა გამიჭირდება".*

### ლიპი მესის ასახელებს

**როგორც** იცით, წლის ბოლოს გამოვლინდება ოქროს ბურთის ახალი მფლობელი. სპეციალისტები თავიანთ ფავორიტებს ასახელებენ. იტალიელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ ვის ანიჭებს უპირატესობას **მარჩელო ლიპი**. აი, რა განაცხადა "სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა: *„სამ ფეხბურთელს გამოვყოფდი - კრისტიანო რონალდოს, ფერნანდო ტორესსა და ლიონელ მესის. ჩემი აზრით, ოქროს ბურთს ერთ-ერთი მათგანი მოიპოვებს. ზლატან იბრაჰიმოვიჩი? დიდებული ფეხბურთელია, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, მაგრამ ამ ეტაპზე ის ჯილდოს არ იმსახურებს. ოქროს ბურთის მისაღებად სანაკრებო ან საკლუბო დონეზე საერთაშორისო ტურნირის მოგებაა საჭირო. რომელ ფეხბურთელს ვანიჭებ უპირატესობას? მესის. არგენტინელი თავდამსხმელი შეუდარებელია".*

### ტოტიმ, ლიდერებში დავბრუნდებით

„რომა" რომ კრიზისშია, ძველი ამბავია. დედაქალაქური კლუბი იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში „ინტერთან" შერცხვა და გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გააწბილა. აღნიშნულ პაექრობაში მონაწილეობა მიიღო **ფრანჩესკო ტოტიმ**, ვინც ტრავმის გამო კარგა ხანს იყო ჩამოშორებული მოედანს. კაპიტანმა ჟურნალისტებთან მარცხსა და სამომავლო გეგმებზე შემდეგი განაცხადა: *„ერთადერთი პოზიტივი გახლდათ ის, რომ თამაშისას ტკივილი არ მიგრძვნია. დანარჩენი, რაც კვირა საღამოს მოხდა, უნდა დავივიწყოთ და მომავალს ოპტიმიზმით შევხედოთ. საშინლად არ მომწონს ის ამბავი, რომ სატურნირო ცხრილში მე-14 პოზიციაზე ვართ. ფეხბურთელები* ***ლუჩანო სპალეტის*** *ბოლომდე ვუჭერთ მხარს, ჩვენი სურვილია, კრიზისიდან გამოსავალი ერთად ვიპოვოთ. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ჩვენს თამაშს ვიპოვით და ლიდერებს შორის დავბრუნდებით".*

**ლაშა ნიკლაური**


უტევს ტოტენჰემის თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა

ტოტენჰემი

# ვინ არის დამნაშავე?

## ჟინოლა მზადაა, ლონდონში დაბრუნდეს, ვენგერი მეტოქეს ერთად დგომისაკენ მოუწოდებს...

"ტოტენჰემის" ცენტრალური მცველი **მაიკლ დოსონი** მინიმუმ ოთხ შეხვედრას გამოტოვებს. "სტოკ სიტისთან" ბოლო ტურის შეხვედრაში (1:2) მან მასპინძელ **მამადი სიდიბესთან** ორთაბრძოლისას იუხეშა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. დოსონმა მინდვრიდან გასვლისას არბიტრ **ლი მეისონს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოგეხსენებათ, „მამლები" კრიზისში არიან. ნამყვანი მცველის დისკვალიფიკაცია ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს.

ლონდონელთა პრობლემებს "მამლების" ყოფილი ვარსკვლავი **დავიდ ჟინოლა** გამოეხმაურა. აი, რა განაცხადა მან ერთ-ერთი ლონდონური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში: *"რა თქმა უნდა, დამწუხრებული ვარ. ზოგი ბრალს გუნდის თავკაცს სდებს, მაგრამ არ მგონია, პრობლემა მხოლოდ რამოსში იყოს. "სევილიაში" ყოფნისას, სენიორ ხუანდემ საუცხოო შედეგებს მიაღწია. განა შეიძლება, რამდენიმე თვეში ყველაფერი თავდაყირა დადგეს? როგორც რიგითი გულშემატკივარი, სასიკეთო ცვლილებებს მეც ვემხრობი, მაგრამ რამოსის გაშვება რას შეცვლის? ცვლილებები, პირველ რიგში, საკლუბო პოლიტიკასა და კლუბის ხელმძღვანელობაშია შესატანი. თუ მთხოვენ, "უაით ჰართ ლეინზე" სიამოვნებით დავბრუნდები. ფეხბურთელებს მხარდაჭერა სჭირდებათ."*

"ტოტენჰემის" კრიზისზე კომენტარი გააკეთა "არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა**. მან დიდი ყურადღება დაუთმო "მამლების" სპორტულ დირექტორ **დემიენ კომოლის**, რომელიც მოსიე არსენის მეგობარია. „ტოტენჰემის" ფანები კომოლის "მეთოფეთა" აგენტს უწოდებენ, რადგან ერთი ხანობა, ის "არსენალის" სკაუტი გახლდათ. გულშემატკივართა ზეწოლას ემატება ყოველდღიური პუბლიკაციები პრესაში, სადაც კომოლი განტევების ვაცადაა გამოყვანილი. ამ უსამართლობამ ვენგერი ძალზე აღაშფოთა: *„ის "არსენალში" იმიტომ მოვიყვანე, რომ ნამდვილი პროფესიონალია. თუმცა ფეხბურთში ყოველთვის ასე ხდება - ვუშვებთ შეცდომებს და მერე ვეძებთ ვიღაცას, ვისზეც შეიძლება ბრალდების მთელი სიმძიმის გადატანა. საერთოდ, როცა გუნდში პრობლემები გროვდება, მათი გადაჭრა მხოლოდ ერთად დგომითაა შესაძლებელი. დემიენს საკმაოდ მტკიცე ნერვები აქვს, რათა ამ ვითარებას გაუძლოს..."*

ვენგერის აზრით, იმას, რაც დღეს „ტოტენჰემში" ხდება, ძნელია, ლოგიკური ახსნა მოუძებნო: *„ტოტენჰემი" კარგი გუნდია. იქ იმდენად კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, რომ დარწმუნებული ვარ, კრიზისს მალე დააღწევენ თავს. ცუდია, რომ როგორც კი ფეხი წაგიცდება, მაშინვე თავს გესხმიან. ამ დროს გამოსავალია ერთად დგომა. კომოლი, რამოსი, ლევი (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე) და ფეხბურთელები ერთმანეთს გვერდით უნდა დაუდგნენ. სულ ეს არის, რისი თქმაც "ტოტენჰემზე" მსურდა..."*

**შალვა ბიბილაშვილი**

ძიუდო

# ნდობის მანდატი მეხუთედ




გიორგი ჭანიშვილის ფოტო

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ძიუდოისტებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს: ოლიმპიური ჩემპიონის, **შოთა ხაბარელის** ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა გრანდებთან პაექრობაში ორჯერ (1986, 1988 წ.წ.) გუნდური მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო კონტინენტის პირველობაზე მესამედ დალაშქრა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური.

თვრამეტწლიანი ლოდინის შემდეგ შარშან რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიოს ჩემპიონატიდან **ირაკლი ცირეკიძემ** (90 კგ) ოქროს მედალი ჩამოიტანა. ქუთაისელი ფალავანი ბრაზილიაში გამარჯვებულთაგან ერთადერთი ძიუდოისტი აღმოჩნდა, რომელმაც პეკინის ოლიმპიადაზეც ყველას აჯობა. ევროპის ჩემპიონატებზე ზედიზედ სამი "ოქრო" დაიმსახურა **ზაზა კედელაშვილმა** (66 კგ), ხოლო ეროვნული ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი ბებერ კონტინენტზე მეორედ აღიარეს საუკეთესო მწვრთნელად. საგულისხმოა ისიც, რომ **მერაბ ლოსაურაშვილმა** და **ვლადიმერ ნუცუბიძემ** ექსტრაკლასის არბიტრის წოდება მოიპოვეს.

ყოველივე ეს გუშინ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ყრილობაზეც ითქვა, სადაც მოხსენებით ფედერაციის გენერალური მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი** გამოვიდა. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა თუ პირველობებზე ოთხი წლის განმავლობაში უამრავი მედალია მოხვეჭილი, მათ შორის - ოქროსი, რაც მწვრთნელთა და სპორტსმენთა თავდადებული გარჯის შედეგია. განსაკუთრებით აღინიშნა **გურამ მოდებაძის** ნაყოფიერი სამწვრთნელო საქმიანობა. საგულისხმოა, რომ საქართველოს დღევანდელი ნაკრები გუნდების შემადგენლობათა ნახევარზე მეტს სწორედ მისი შეგირდები შეადგენენ.

წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, დედაქალაქის სპორტის სამსახურისა და "ქართუ ჯგუფის" აქტიური მხარდაჭერა და მატერიალური დახმარება. როგორც სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებიდან ირკვევა, ოთხი წლის განმავლობაში ძიუდოზე 3.5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

**დილარ ხაბულიანმა**, რომელიც ყრილობის დელეგატებმა ზედიზედ მეხუთედ აირჩიეს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად ოთხწლიანი ვადით, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მას გვერდით ედგა 16 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო ოლიმპიურ ციკლში. მანვე შეკრებილთ აუწყა, რომ თბილისსა და მის შემოგარენში ძიუდოს 12 დარბაზი შენდება და თითოეულში ორი ან სამი ტატამი დაიგება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრი, რომელიც წლეულს ჩადგება მწყობრში. მის მშენებლობაზე 3 მილიონი ლარი დაიხარჯა და მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

ქართველ ძიუდოისტთა თავკაცმა არც საერთაშორისო და ევროპის ფედერაციები დაივიწყა, რომლებიც ჩვენს ფალავნებს დიდ დახმარებას უწევენ. ამას წინათ მათგან საჩუქრად ბავშვებისთვის 300 კიმონო მიიღეს, ამდენივეს კიდევ წლის ბოლომდე ელიან.

ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ აქედანვე აქტიურად ემზადებიან 2009 წლის იანვარში მსოფლიო თასის გათამაშებისა და ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც გაზაფხულზე თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

დელეგატებმა წესდებაში შესწორებები შეიტანეს, შემდეგ კი ფედერაცის პირველ ვიცე-პრეზიდენტად **დავით ბერძენიშვილი**, ვიცე-პრეზიდენტებად **- შოთა ჩოჩიშვილი, შენგელი ფიცხელაური** და **თემურ ხუბულური**, გენერალურ მდივნად - ანზორ მარტყოფლიშვილი, აღმასრულებელ დირექტორად კი **მამუკა ხაბარელი** აირჩიეს.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

# ეროვნული ნაკრები ოფიციალურად გვეყოლება

## წყალბურთელთა ოლიმპიური პერსპექტივა

**საკვირველია, მაგრამ ფაქტია - დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში, ჩვენი წყალბურთის ეროვნულ გუნდს ოფიციალურ სანაკრებო ტურნირებზე არასდროს უასპარეზია. მიზეზი, რაღა თქმა უნდა, საამისო ფინანსების არქონა იყო.**

**წლეულს ამ მხრივ ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. სპორტის დეპარტამენტმა წყალბურთს დაფინანსება გაუზარდა და ნაკრების მომზადებისთვის უკეთესი პირობები შეიქმნა. წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებზე მწვრთნელისა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ირაკლი კიკალიშვილისგან შეიტყობთ. სულ ცოტა ხნის წინ იგი თავად იყო ეროვნულ ნაკრების მთავარი მწვრთნელი და გუნდის შიდა სამზარეულოში კარგადაა ჩახედული.**

- დიდი ხანი არაა, რაც მთავარი მწვრთნელის თანამდებობა სოსო მაისურაძემ დატოვა. როგორც მისი ასისტენტი, ცოტა ხნით გუნდს მე ვავარჯიშებდი, მაგრამ მალე მთლიანად მსაჯობაზე გადავერთე. დღეისათვის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ჯუმბერ ნიკლაური ასრულებს. იგი ძალიან გამოცდილი სპეციალისტია, უმუშავია ძველ "დინამოში", ქუვეითში, მექსიკაში, არაბეთში... თუმცა მისივე სურვილია, რომ ნაკრებს ახალი თავკაცი მალე მოვუძებნოთ.

**- ვინ განიხილება ამ თანამდებობაზე?**

- რეზო ჩომახიძის საქართველოში დაბრუნება ძალიან გვინდა. ამისთვის თავად რეზოც მზადაა. ახლა მთავარია, საჭირო პირობები შევქმნათ, რისი განხორციელებაც უკვე რეალურია. მას მოთამაშე-მწვრთნელობას ვთავაზობთ. არც ისაა გამორიცხული, ნაკრები ქართული წყალბურთის ერთ-ერთ ლეგენდას, ვლადიმერ ისელიძეს ჩავაბაროთ.

**- როდის მოეფინება ამ საკითხს ნათელი?**

- ბევრი დრო აღარ გვაქვს დარჩენილი. ნოემბრის დასაწყისში წყალბურთის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია და როგორც კი ამ საკითხს გადავწყვეტთ, მწვრთნელის ამბავსაც მაშინვე მივხედავთ.

**- ნაკრების მზადების პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ერთი თვეა, გუნდი "ლაგუნა ვერეზე" ვარჯიშობს, მალე კი ალბათ ტექნიკური უნივერსიტეტის აუზზე გადავინაცვლებთ. იქ ყველაფერი კარგადაა მოწყობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, არასტანდარტული ზომისაა. ამჟამად ვაკვირდებით ნაკრების წევრებსა და კანდიდატებზე.

**- ნაკრებს პირველი შეჯიბრება როდის აქვს?**

- დეკემბერში უკრაინის ჩემპიონატი გვეწყება. როგორც იცით, ამ ტურნირში ასპარეზობის მრავალწლიანი გამოცდილება გვაქვს. უკრაინის ჩემპიონატი ევროპის B ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირნირისთვის მოსამზადებლად გამოგვადგება. ტურნირს მომავალი წლის ივლისში დავასრულებთ. პირველი შესარჩევი მატჩები აპრილშია. თუ იქ ვივარგეთ, მეორე რაუნდი აგვისტოში გვექნება. დარწმუნებული ვარ, აგვისტოს ტურნირი ჩვენ გარეშე არ ჩაივლის. მანამდე სავარაუდოდ, სლოვენიასა და თურქეთშიც ვიასპარეზებთ.

**- ორიოდე სიტყვით, საკვალიფიკაციო ეტაპის სისტემის შესახებაც გვითხარით...**

- აპრილში 6-გუნდიანი ჯგუფი გველის. სასურველია, იქ მესამე ადგილი მაინც დავიკავოთ, რათა მომდევნო ეტაპზე შედარებით სუსტ მეტოქეს შევხვდეთ. თუ აგვისტოშიც წარმატებით ვიასპარეზეთ, ფინალურ ეტაპზე სექტემბერში ვითამაშებთ. ჯერჯერობით, არც შესარჩევი და არც დასკვნითი ტურნირების ჩატარების ადგილი არ დადგენილა. აქვე გეტყვით, რომ ამ მატჩების თბილისში ჩატარებაზე საერთოდ არაა ლაპარაკი.

**- მომავალი მეტოქეები თუ გყავთ შესწავლილი?**

- შესანიშნავად ვიცნობთ მოლდოვისა და ბელარუსის ნაკრებებს, რომლებიც ჩვენთან ერთად გამოდიან უკრაინის ჩემპიონატში. ამ ორივე გუნდთან ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი გვაქვს.

**- ჩომახიძის გარდა, უცხოეთში მოთამაშე რომელიმე ქართველი წყალბურთელის დაბრუნება ხომ არ გაქვთ გეგმაში?**

- თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, აუცილებლად შემოგვიერთდებიან საფრანგეთში მოთამაშე ზვიად დავითიანი და საუდის არაბეთში მყოფი გალაქტიონ ლაითაძე. მათი დაბრუნება ნაკრებს ძალიან გააძლიერებს.

**- ლაპარაკობენ ქართველ წყალბურთელთა საოლიმპიადო პერსპექტივაზეც.**

- დიახ, არც ესაა უტოპია. მიზანმიმართული მუშაობისა და შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში, ნამდვილად შეგვწევს იმის ძალა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად ვიბრძოლოთ. დიდ მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტს დაფინანსების გაზრდისთვის. ამ ნდობის გასამართლებლად თითოეული ჩვენგანი თავდაუზოგავად იშრომებს.

ლევან ჯანეზაშვილი

სპორტის აკადემია 70

# კიდევ კარგი, იუბილე პანაშვიდად არ იქცა




კარლო თოფურიძის ფოტო

ჯერ კიდევ შარშან, აპრილში, სპორტის აკადემიაში, ამ სასწავლებლის დაარსებიდან 70 წლის იუბილე დიდი გულისყურით დაიგეგმა იმ იმედით, რომ 2008 წლის შემოდგომაზე მთელი ქვეყანა ღირსეულად აღნიშნავდა საამაყო ტრადიციების სასწავლებლის საიუბილეო თარიღს. რამდენიმე თვეში ეს სასწავლებელი საერთოდ გაუქმდა და როგორც სპორტული ცენტრი ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა. ამ ფაქტმა, ცხადია, ქართული სპორტისთვის თავგადაკლულ სხვადასხვა თაობის ადამიანთა გულისწყრომა გამოიწვია, მით უფრო დრომ დაამტკიცა, რომ არ გამართლდა დაპირება, თითქოს ეს ნაბიჯი სასწავლებლის სასიკეთოდ გადაიდგა.

და აი, ამასობაში საიუბილეო დრომაც უწია. ასეთი თარიღის მიჩუმათება უმადურება იქნებოდა და საინიციატივო ჯგუფმა, პირადი თაოსნობით, შეძლებისდაგვარად მოიხადა კიდეც ვალი იუბილარის წინაშე. ეს მოხდა გუშინ. აკადემიის კლუბში შეიკრიბა კურსდამთავრებულ ვეტერან სპორტსმენთა, მწვრთნელთა, სპორტში მოღვაწეთა თაობები. სიმბოლური იყო, რომ საიუბილეო სხდომას უძღვებოდა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი, ყოფილი აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ირაკლი დოლაბერიძე**. სასწავლებლის სასიქადულო 70-წლიანი ისტორია შეკრებილთა თვალწინ შთამბეჭდავად გააცოცხლა პროფესორმა **ჯემალ ძაგანიამ**, მშობლიურ სასწავლებელზე სიყვარულით ილაპარაკეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა **ლევან თედიაშვილმა** და **ლერი ხაბელოვმა**. გამაოგნებელი იყო აკადემიის იურისტის **იმედა ხუციშვილის** გამოსვლა, რომელმაც შეკრებილთ აუწყა, რომ არანაირი იურიდიული საბუთი არ მოიპოვება აკადემიის გაუქმებასთან დაკავშირებით და საქმე გვაქვს ზოგიერთი მაღალჩინოსნის თვითშემოქმედებასთან. საქმე სასამართლოშია შეტანილი განსახილველად.

სტუდენტთა სახელით, ახალგაზრდა პედაგოგი **მამუკა მაღლაკელიძე** გამოვიდა, რომელმაც სრულად ჩამოთვალა ის წვლილი, რაც აკადემიის სტუდენტებს შეუტანიათ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ზუსტად ამ დროს გაისმა სატელეფონო ზარის ხმა დარბაზში. ავსტრალიიდან შეგვეხმიანა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორ სანეევი**. ერთადერთი თხოვნა, რაც მან ყველას მისამართით გამოთქვა, სპორტის აკადემიის, მისი ტრადიციებისა და მემკვიდრეობის შენარჩუნება იყო. შემდეგ იგივე პოზიცია მეტ-ნაკლები ემოციურობით დააფიქსირეს პროფესორმა **შოთა ბუაძემ**, ასოცირებულმა პროფესორმა **ვასილ ბაკაშვილმა**, ოლიმპიური ჩემპიონის **რევაზ მინდორაშვილის** (აკადემიის სტუდენტი) აღმზრდელმა **მარლენ ოსიყმაშვილმა** (ძველი თაობის კურსდამთავრებული), ვეტ [illegible] წყალბურთელმა **ვლადიმერ გოიაშვილმა** და სხვ.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა აკადემიის ყოფილი სტუდენტი, პარლამენტარი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**. მის გამოსვლას ყველა განსაკუთრებული ინტერესით და, რა დასამალია, იმედით მოელოდა. "ყველაფერი კარგად იქნება. მიმდინარეობს პოზიციების შეჯერება და შეთანხმება. აკადემია უნდა აღდგეს. ამას მე გპირდებით", - თქვა გიორგი ასანიძემ და ამ დაპირებით კმაყოფილმა საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა აკადემიის გულშემატკივარი ხელისუფლების წარმომადგენელი.

ასე იმედიანად დამთავრდა საიუბილეო შეკრება, რომელმაც ისეთი შთაბეჭდილება დატოვა თავიდან, თითქოს ადამიანები პანაშვიდზე მივიდნენ, თუმცა, საბოლოოდ, იმედიანად კი დაშორდნენ ერთმანეთს.

იმედი არ მოგვშლოდეს!

თენგიზ თომაშვილი

ხელბურთი

# გამარჯვება უმეკაროდ

## შესაძლოა, დღეს ჩემპიონი გამოვლინდეს

1990-92 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატში "ფოთი" გალიდერდა, თუმცა "რუსთავი", რომელიც გუშინ ისვენებდა, პოტენციურ ლიდერად რჩება - მას ერთი თამაში თადარიგში აქვს.

გუშინდელმა მატჩებმა დაძაბულად ჩაიარა. ეს პირველ რიგში, უშუალო კონკურენტების, "ყვარელისა" და "სამტრედიის" დაპირისპირებაზე ითქმის. შეხვედრა ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და გამარჯვებულის ბედი უკანასკნელ წამს გადაწყდა, როცა კახელებმა 7-მეტრიანი გაიტანეს.

"ფოთმა" როგორც მოსალოდნელი იყო, "ქარიშხალას" სძლია, თუმცა ზღვისპირელთა გამარჯვება დასაფასებელი იმიტომაა, რომ მათ კარს მოედნის მოთამაშე იცავდა. საქმე ისაა, რომ "ფოთს" განაცხადში ერთადერთი მეკარე ჰყავს, რომელიც წინადღეს დაშავდა. აუტსაიდერთა ბრძოლაში "ქუთაისმა" შედარებით იოლად იძალა.

შეგახსენებთ, უსახსრობის გამო "ბათუმი" გათამაშებას გამოეთიშა.

ჩემპიონის ვინაობა კი შეიძლება, დღესვე გაირკვეს. ერთმანეთს ლიდერები ხვდებიან. უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას ჭაბუკთა ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს.

ლევან ჯანეზაშვილი

| | |
|---|---|
| ყვარელი-სამტრედია | 35:34 |
| ქარიშხალა-ფოთი | 31:37 |
| ქუთაისი-გორი | 38:31 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ფოთი | 4 | 1 | 0 | 9 |
| 2. რუსთავი | 4 | 0 | 0 | 8 |
| 3. სამტრედია | 3 | 0 | 2 | 6 |
| 4. ყვარელი | 2 | 2 | 1 | 6 |
| 6. ქუთაისი | 2 | 0 | 3 | 4 |
| 5. ქარიშხალა | 1 | 1 | 3 | 3 |
| 7. გორი | 0 | 0 | 5 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

**დღეს**

11:00 რუსთავი-ფოთი
12:30 სამტრედია-გორი
14:00 ქუთაისი-ყვარელი

**ხვალ**

11:00 ქუთაისი-ქარიშხალა
12:30 რუსთავი-სამტრედია
14:00 გორი-ფოთი

ველოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი (გზატკეცილი)

# ნაკრების ბირთვი უცვლელია


გიორგი ნადირაძე

თბილისმა საქართველოს პირველობას უმასპინძლა საგზატკეცილო ველოსპორტში, სადაც მონაწილეობდნენ სპორტსმენები თბილისიდან, ქუთაისიდან და აჭარიდან - საერთო ჯამში, 60 ველომრბოლი, მოზრდილებიც და იუნიორებიც. შეჯიბრება სამ სახეობაში ჩატარდა: პროლოგი მთაზე, ინდივიდუალური და ჯგუფური რბოლები.

დიდებში საკმაო უპირატესობით გაიმარჯვა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა **გიორგი ნადირაძემ**, რომელმაც სამი დისტანციიდან ორი მოიგო და ქვეყნის მორიგი ჩემპიონობა იზეიმა. მეორე ადგილი **კახაბერ ლოსაურაშვილმა** დაიკავა, მესამეზე **არჩილ მახარაშვილი** გავიდა. აღსანიშნავია, რომ გიორგი ნადირაძემ ტურნირი სამხედრო სავალდებულო სამსახურის პარალელურად მოიგო.

საინტერესო აღმოჩნდა ჯგუფური რბოლა თბილისი-ჟინვალი-ბაზალეთი. სტარტიდანვე ახალგაზრდები, თბილისელი **ჯულხა არაბული** და აჭარელი **ნოდარ კაცაძე** დაწინაურდნენ. მათ კვალდაკვალ მისდევდნენ საქართველოს ნაკრების დანარჩენი წევრები, **გიორგი ნადირაძე, კახაბერ ლოსაურაშვილი, არჩილ მახარაშვილი** და **არჩილ დოლიძე**.

ახალგაზრდა სპორტსმენებმა აღმართს და ტემპს ვერ გაუძლეს და ნაკრების წევრებს ჩამორჩნენ. თუმცა არაბულმა, კაცაძემ და დოლიძემ შესაბამისად მე-4, მე-5 და მე-6 ადგილების დაკავება შეძლეს და საქართველოს მთავარ ნაკრებში ადგილები დაიბევეს.

გამოსარჩევია ჭაბუკებში გამარჯვებული **გიორგი ნარეკლიშვილი**, რომელმაც სამივე დისტანცია მოიგო.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესარიონ ნადირაძე** სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგებით კმაყოფილი დარჩა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ქვარცხლბეკი**

**დიდები**

| პროლოგი 4 კმ. მთაზე | |
|---|---|
| 1. გიორგი ნადირაძე | 6.55 (თბ) |
| 2. კახაბერ ლოსაურაშვილი | 7.08 (თბ) |
| 3. არჩილ მახარაშვილი | 7.39 (თბ) |

| ინდივიდუალური რბოლა 20 კმ. | |
|---|---|
| 1. გიორგი ნადირაძე | 26.53 (თბ) |
| 2. კახაბერ ლოსაურაშვილი | 27.36 (თბ) |
| 3. არჩილ მახარაშვილი | 28.23 (თბ) |

| ჯგუფური რბოლა 80 კმ. |
|---|
| 1. კახაბერ ლოსაურაშვილი (თბ) |
| 2. გიორგი ნადირაძე (თბ) |
| 3. არჩილ მახარაშვილი (თბ) |

| სამი ეტაპის ჯამი | |
|---|---|
| 1. გიორგი ნადირაძე | 68 ქულა (თბ) |
| 2. კახაბერ ლოსაურაშვილი | 64 ქულა (თბ) |
| 3. არჩილ მახარაშვილი | 51 ქულა (თბ) |

**ჭაბუკები**

| პროლოგი 4 კმ. მთაზე | |
|---|---|
| 1. გიორგი ნარეკლიშვილი | 9.15 (თბ) |
| 2. ირაკლი ბაბლიძე | 9.32 (თბ) |
| 3. ირაკლი გოლიაძე | 10.13 (აჭარა) |

| ინდივიდუალური რბოლა 15 კმ. | |
|---|---|
| 1. გიორგი ნარეკლიშვილი | 23.18 |
| 2. ირაკლი ბაბლიძე | 24.42 |
| 3. ირაკლი გოლიაძე | 25.13 |

| ჯგუფური რბოლა 50 კმ |
|---|
| 1. გიორგი ნარეკლიშვილი |
| 2. ირაკლი ბაბლიძე |
| 3. ირაკლი გოლიაძე |

| სამი ეტაპის ჯამი | |
|---|---|
| 1. გიორგი ნარეკლიშვილი | 72 ქულა (თბ) |
| 2. ირაკლი ბაბლიძე | 60 ქულა (თბ) |
| 3. ირაკლი გოლიაძე | 51 ქულა (აჭარა) |

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ჯიკო და ბოლნისი წინ გაიჭრნენ

| ბოლნისი–ბათუმი | 3:1 |
|---|---|
| 23:25, 26:24, 26:24, 25:15 | |

| ჯიკო–ქუთაისი | 3:0 |
|---|---|
| 25:15, 25:10, 25:7 | |



გუშინ დიდ ჯიხაიშში ქალ ფრენბურთელთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა და ყველაფერი ლოგიკურად, მოულოდნელობების გარეშე განვითარდა. „ჯიკომ" მეორე შეხვედრაც იოლად მოიგო. „ბოლნისისა" და „ბათუმის" მატჩი კი უფრო თვალსასეირო გამოდგა და ქვემოქართლელების გამარჯვებით დასრულდა. მეორე ტურში დაისვენა „დუშეთმა", რომელიც კალენდრის მიხედვით „სამტრედიას" უნდა შეხვედროდა, თუმცა როგორც უკვე გაუწყეთ სამტრედიელებმა ჩემპიონატში მონაწილეობაზე ფინანსური პრობლემების გამო უარი თქვეს.

საერთოდაც, წლეულს, გუნდების რაოდენობა ხუთამდე შემცირდა. თუკი ადრე ჩემპიონატში თბილისის სამი გუნდი თამაშობდა, მიმდინარე პირველობაზე დედაქალაქელებს ერთი გუნდიც არა ჰყავთ, თბილისელი ფრენბურთელები კი „ჯიკოსა" და სხვა გუნდებში არიან გადანაწილებულნი. სამწუხაროდ, ამის გამო ჩემპიონატი ნაკლებად კონკურენტუნარიანია.

გუშინდელი დღის პირველი წყვილი „ბოლნისი"-„ბათუმი" იყო. თამაში ძალიან საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პირველ ტურში დასვენებულმა ბათუმელებმა მეტოქეს საწყის სეტში 25:23 აჯობეს, თუმცა საბოლოოდ შეხვედრა ბოლნისელებმა მოიგეს. განსაკუთრებით დაძაბული მეორე და მესამე სეტები იყო. თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა, ხან ერთი გუნდი გაიჭრებოდა წინ და ხან მეორე, თუმცა ბოლოს „ბოლნისს" უფრო გაუმართლა. **ნათია ბუალავასა** და **მარი ყორყოლიანს** დარტყმები კარგად წაუვიდათ და მათი საიმედო თამაშის წყალობით უაღრესად ემოციური ორი სეტი ბოლნისური გუნდი გამარჯვებით დასრულდა. ბოლო პერიოდში „ბათუმი" ფსიქოლოგიურად გატყდა და მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ველარ გაუწია-15:25. მიუხედავად მარცხისა, ბათუმელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, განსაკუთრებით კი მათგან **სოფიკო ჭეიშვილი** გამოირჩეოდა.

მეორე შეხვედრაში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ჯიკო" „ქუთაისს" დაუპირისპირდა. ქვეყნის საუკეთესო ფრენბურთელები სწორედ ჯიხაიშურ გუნდში არიან თავმოყრილი და თავიდანვე ცხადი იყო, რომ ქუთაისელები მათ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ამ მატჩში რიონისპირელთა დამრიგებელმა **ქეთევან ლებანიძემ** მთლიანად ახალბედები ათამაშა და „ჯიკომაც" შეხვედრა ერთი ამოსუნთქვით მოიგო.

მორიგი მატჩები აგრარული კოლეჯის დარბაზში ხვალ გაიმართება. ერთმანეთს „ბათუმი"-„დუშეთი" და „ჯიკო"-„ბოლნისი" შეხვდებიან. „ქუთაისი" კი ხვალ დაისვენებს.

**დავით კოხრეიძე**
დიდი ჯიხაიში-ქუთაისი

რაგბი

ლეგიონი

# ურუშაძე და კაჭარავა ბრინჯაოს დასჯერდნენ

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატი დასრულდა. სუპერლიგის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა, **დავით კაჭარავას და რატი ურუშაძის** კრასნოიარსკის "ენისეიმ" მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

პლეი ოფში, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში "ენისეიმ" თანაქალაქური, **დავით ელიზბარაშვილის, თემურ სოხაძისა და არჩილ კოპალეიშვილის** "კრასნი იარი" დაამარცხა ორი მატჩის ჯამში. პირველი შეხვედრა ენისეელებმა სარეკორდო ანგარიშით მოიგეს 62:13.

მეორე მატჩი, ადვილი შესაძლებელი იყო, თუ უფრო უარესი არა, იგივე სცენარით წარმართულიყო, ვინაიდან "კრასნი იარს" სამივე ქართველი მორაგბე აკლდა, რომელიც უდავოდ ამ გუნდის წამყვანი მოთამაშეა. "ენისეიმ ამ შეხვედრაშიც საკმაოდ იოლად, დიდი ანგარიშით 43:8 მოიგო. ორი ლელო საქართველოს ნაკრების შუამარბის დავით კაჭარავას ანგარიშზეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ჩიხლაძე ისევ წყვილთა ტიტულს უმიზნებს

ფრანგულ როდეზში „ფიუჩერსის" სერიის ტურნირში **ლადო ჩიხლაძე** პირველსავე წრეში დამარცხდა მე-7 ნომრად განთესილ **ჯეიმს უორდთან** (377) – 4:6, 4:6. სამაგიეროდ, ლადო ისევ წყვილთა თანრიგში ყოჩაღობს. გასულ კვირას მან და მაროკოელმა **რაბი ჩაკიმ** (573) ლა როშის ტურნირი მოიგეს, გუშინ როდეზში მეოთხედფინალში დაამარცხეს პირველ ნომრად განთესილი წყვილი, ბელგიელი **ჟერონ მასონი** (308) და რუსი **ნიკოლაი ნესტეროვი** – 6:3, 6:4. ნახევარფინალში ქართულ-მაროკოული დუეტი მე-3 ნომრად განთესილ ფრანგულს (**ინსაუსტი, პენო**) შეხვდება.

ესპანურ სანტ კუგატში (10 ათასი დოლარი) ტურნირი წარმატებით დაიწყო 16 წლის **ეკა გორგოძემ**, რომელმაც პირველ წრეში ბრიტანელ **ემილია ბანოს-გრეგორიანსს** მოუგო – 6:1, 6:2. მერვედფინალში ეკას მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი რუმინელი **დიანა ენაჩეა** (483). ჯერ არ უთამაშია ტურნირში მონაწილე მეორე ქართველს, **სოფიო ქვაცბაიას**, რომელიც მე-6 ნომრად განთესილ იტალიელ **ფედერიკა კუერსიას** (474) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლადო ჩიხლაძე

ჭადრაკი

# მსოფლიოსთვის შორეულ ვიეტნამში იბრძვიან

ვიეტნამის ქალაქ ვანგ ტაუში რამდენიმე დღის წინ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო რვიდან თვრამეტ წლამდე გოგონებსა და ვაჟებს შორის. ევროპელთათვის და ჩვენთვისაც ვიეტნამი მართლაც შორეულ ქვეყანაა, სადამდე ჩაღწევაც გვარიან ფინანსურ დანახარჯს მოითხოვს. გარდა ამისა, კლიმატური პირობებიც უჩვეულოა და ევროპელებს ხშირად სპეციალურ აცრას უტარებენ ხოლმე... როგორც წესი, ამგვარი პრევენცია ამართლებს, თუმცა უმცროსი ასაკის ქართველი მოჭადრაკეების მშობლების ერთმა ნაწილმა ვერ გარისკა შვილების ვიეტნამში გაშვება, თავად კი დიდი ხარჯის გამო ვერ დაემგზავრნენ. შედეგად, რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში მონაწილე არა გვყავს. მიუხედავად ამისა, თორმეტი წარმომადგენელი მაინც მოგვეძევება და ტრადიციულად ველით მათგან გამარჯვებებს და ტიტულებს. დღეისთვის სამი ტურია გასული და ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს, - რამდენიმე ქართველი ლიდერია, ერთი-ორი კი ლიდერობასთან ახლოსაა.

ჩემპიონატი თერთმეტ ტურად გაიმართება, შვეიცარიული სისტემით. მისაფიქრებლად დრო ფიდესეულია დაწესებული - საათ-ნახევარი მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. შესვენება მეექვსე ტურის შემდეგაა, 25 ოქტომბერს. გამარჯვებულები და პრიზიორები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან. არაოფიციალური გუნდური ჩათვლაც მოქმედებს. საქართველო სისტემატურად ფავორიტი იყო, მაგრამ რახან ამჯერად არასრული შემადგენლობითაა წარმოდგენილი, სამეულში შესვლა ნამდვილად გაჭირდება. ჩათვლის წესი ასეთია: ყოველ ასაკში, ყველა ქვეყნის სამი საუკეთესო მოჭადრაკის შედეგები ჯამდება. ჩვენ არც ერთ ასაკში არ გვყავს სამი მონაწილე, ორი კი მხოლოდ სამში მოგვეძევება - 14; 16 და 18 წლამდე გოგონებში, მასპინძლებს გუნდური შედეგით გამორჩეულთათვისაც პრიზები დაუწესებიათ და ამ ბონუსით პირველი სამეული ისარგებლებს.

ტურნირზე სამი ვაჟი დიდოსტატია, ოთხი - ქალი; თექვსმეტი საერთაშორისო წოდების მფლობელი, სამი ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატი, 84 - ფიდეს ოსტატი, რომელთაგან 43 გოგონაა.

ქართულ დელეგაციაში მხოლოდ დიდოსტატი არ ირიცხება. მთავარი წარმატებებია. ვნახოთ, ვის რა მონაგარი აქვს სამი ტურის შემდეგ. თორმეტ წლამდე ვაჟებში **გიგლა ბენიძე** ერთ ნახევარი ქულით ცხრილის მეორე ნახევარშია. თოთხმეტწლამდელებში **ნოდარ ლორთქიფანიძეს** უკეთესი მაჩვენებელი აქვს - 2 ქულა, თუმცა ლიდერებამდე შორია... თექვსმეტწლამდელებში დიდად გვეიმედება **ლევან ბრეგაძის** და ისიც ამართლებს ჯერჯერობით - 2,5-ით მეშვიდე - მეთორმეტე ადგილებს იყოფს. თვრამეტწლამდელებში **ლუკა პაიჭაძეა**, ორი ქულა აქვს ცხრილის შუაშია და, ალბათ, გამოასწორებს მდგომარეობას.

როგორც წესი, გოგონებში უკეთ გვაქვს ხოლმე საქმე და ამჯერადაც ასეა: ათწლამდელებში **ნინო ხომერიკს** ორი ქულა და კარგი პერსპექტივა აქვს. თორმეტწლამდელებში **ანა შამათავა** 2,5 ქულით ლიდერებს მოსვენებას უკარგავს. თოთხმეტწლიანებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **მერი არაბიძე** და **ნათია ჯალაბაძე** იბრძვიან. მერი საკადრისად, ჩემპიონურად მიიწევს წინ და ჯერ ნახევარი ქულაც არ დაუკარგავს; ჯალაბაძეს კი მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს დაკარგული, რაც ასევე კარგი შედეგია. ცოტა გული დაგვწყვიტა თექვსნეტწლამდელების სტარტმა - მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი **ქეთი წაწალაშვილი** 2,5 ქულით უდგას რამდენიმე სამქულიანს კვალში, რაც ცუდი არ არის, ხოლო მოქმედი ევროპის ჩემპიონი **ნაზი პაიკიძე** სულაც ორი ქულით ცხრილის შუაშია... ნაზის ორი ყაიმი მოუგროვდა და, იმედია, მძიმე სტარტის შემდეგ, როგორც სჩვევია, შესანიშნავ საფინიშო სპურტს მოწყობს...

**მარიმა დანელია** კვლავაც თვრამეტწლამდელებში თამაშობს, არადა, 15 წლის არის. მიუხედავად ამისა, 2,5 ქულა მოაგროვა და ლიდერთა გვერდითაა. ძალიან კარგი დასაწყისია. **მერი ყორყოლიანის** სამიდან სამი ქულა კიდევ მეტად გვიუმჯობესებს ხასიათს. მერი ნიჭიერი გოგოა, მაგრამ ევროპის ჩემპონატი ჩააგდო. ამჯერად მან არად ჩააგდო წარსული შეცდომები და მესამე ტურში სულაც ფავორიტი - ჩეხი დიდოსტატი **ეკატერინა ნემცოვა** დააშამათა შავი ფიგურებით.

**ზვიად შათირიშვილი**

### პარლამენტის სპორტის კომიტეტში

## თანამშრომლობა გაგრძელდება

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრობის საქმეთა კომიტეტში (თავმჯომარე **გიორგი ასანიძე**) გუშინ, ბავშვთა სპორტის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასკოლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრის ხელმძღუვანელთან **სიკო ჯანაშიასთან**. ინფორმაცია წარმოადგინა კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტმა **ვაჟა შუბლაძემ**. აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სასკოლო ფიზიკური აღზრდის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელ მუშაობასთან, აგრეთვე ბავშვთა სპორტთან დაკავშირებით თანამშრომლობა შემდეგშიც გაგრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურები

ინტერვიუ ელიზბარ უბილავასთან

# რატომ შეუყვარდა ლელო და ჭადრაკი

თბილისში, დოესისა და ნოსირის ქუჩების გადაკვეთასთან, ერთი ლამაზი ეზო-კარია, ხეხილის ბაღით, ადესის ხეივნითა და მოლით დამშვენებული. აქ, მამაპაპისეულ სახლში გაატარა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები ქართველი მწერლის - ელიზბარ უბილავას ვაჟმა - მამის სეხნიამ, ცნობილმა მოჭადრაკემ და მწვრთნელმა, რომელიც ოჯახთან ერთად კარგა ხანია, ესპანეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ამას წინათ ბატონი ელიზბარი დედის მოსანახულებლად ჩამოვიდა დედაქალაქში. ესპანეთს გამგზავრებამდე დრო ვიხელთე და ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრე.

დაიბადა 1950 წლის 27 აგვისტოს. ჭადრაკის თამაში 6 წლისას მამამ ასწავლა, მერე პავლე ხიზანიშვილი ავარჯიშებდა. 1968 წელს ოსტატობა მიენიჭა, ათი წლის შემდეგ საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა, 1988 წელს კი დიდოსტატობა დაიმსახურა. საქართველოს ჩემპიონატებში სამჯერ პირველი ადგილი დაიკავა (1970, 1974, 1986 წ.წ.), ორ-ორჯერ მეორე და მესამე ადგილებზე გავიდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ნანა იოსელიანსა და ნონა გაფრინდაშვილს წვრთნიდა, 1987 წელს ანატოლი კარპოვს უწევდა სეკუნდანტობას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მატჩში, ხოლო 1994-დან 2005 წლამდე ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდს ავარჯიშებდა.

**მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულსა და პრიზიორს ჰყავს მეუღლე - ნანა ჯიბლაძე, რომელიც მადრიდში ფიგურულ სრიალს ასწავლის; ქალიშვილი თამარი ალკალა-დე ჰენარეს უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის III კურსის სტუდენტია, ვაჟიშვილმა საბამ კი სკოლა დაამთავრა და ფეხბურთის მწვრთნელობას აპირებს.**

- ჭადრაკით ჩემი დაინტერესება მამის დამსახურებაა, - იხსენებს ბატონი ელიზბარი - ოთხ და-ძმას სწორედ მან გვასწავლა სვლები და პირველი კომბინაციები. ისე გამიტაცა, რომ 64-უჯრიანი დაფის მიღმაც ჭადრაკის ფიგურებით ვთამაშობდი. ოჯახურ ტურნირებში ყველას უფროსი ძმა გვჯაბნიდა. მშობლებს ჩემი მუსიკოსობა სურდათ და ოთხი წლინადი ვიოლინოს დაკვრას ვსწავლობდი. ჭადრაკში სერიოზული ვარჯიში მოგვიანებით დავიწყე.

ჩვენი კლუბის დირექტორმა ვიქტორ გოგლიძემ თბილისში სტუმრად მყოფ მიხაილ ბოტვინიკი მოიწვია ერთდროული თამაშის სეანსის გასამართავად. ჩემმა მწვრთნელმა პავლე ხიზანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონის წინააღმდეგ მეც მეთამაშა. სახელოვანი დიდოსტატი ერთდროულად 25 მეტოქეს უმკლავდებოდა. სამი პარტია ყაიმით დაამთავრა, ამდენივე - წააგო, დანარჩენებს კი სძლია. ბედნიერთა სამეულში მეც ვიყავი, მაგრამ შინ მისულს ყველაფერი ჩამშხამდა - სეანსი დიდხანს გაგრძელდა და სახლში გვიან დავბრუნდი. აბა, სად იყო მაშინ მობილურები?! მშობლებს უნერვიულიათ და, ცოცხალი რომ დამინახეს, ისეთი დღე დამაწიეს, ჩემს მტერს. ვინ დამიჯერა, რომ ვთქვი, ბოტვინიკს მოვუგე-მეთქი, არ გრცხვენია, ასეთ ტყუილს რომ იგონებო?! - გამკიცხეს. მეორე დღეს მამას გაზეთ "ლელოში" წაუკითხავს - 13 წლის ელიზბარ უბილავამ ბოტვინიკი დაამარცხაო. საღამოს დედას უჩვენა გაზეთი, მე კი მომიბოდიშა წინა დღის სიმკაცრისთვის. იქიდან მოყოლებული, "ლელოც" შემიყვარდა და ჭადრაკიც.

**- პირველ წარმატებას როდის მიაღწიეთ?**

- თხუთმეტი წლისამ საქართველოს ჩემპიონატში, სადაც რომან ჯინჯიხაშვილი, ალექსანდრე ბუსლაევი, თამაზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, თეიმურაზ ლომაია და სხვა ცნობილი ქართველი ოსტატები მონაწილეობდნენ, 11,5 ქულით V-VI ადგილები გავიყავი. იმავე წელს საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს სკანდინაველებთან ამხანაგური საერთაშორისო მატჩის გასამართავად. მახსოვს, მაშინ ჩემთან ერთად სტოკჰოლმში თამაშობდნენ ბორის გულკო, ანატოლი კარპოვი, რაფაელ ვაჰანიანი, თამაზ გიორგაძე და სხვები. როგორც ყველაზე უმცროსებს, მე და კარპოვს ერთ ოთახში გვეძინა. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ მეტოქე დიდი ანგარიშით დავამარცხეთ.

**- საქართველოს ჩემპიონობა პირველად მხოლოდ ოცი წლისამ მოიპოვეთ...**

- მას შემდეგ, რაც უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე, უფრო სწავლისკენ გადავიხარე. განსაკუთრებით ფილოსოფიამ და ისტორიამ გამიტაცა, ჭადრაკისთვის ნაკლები დრო მრჩებოდა. ასპირანტურაშიც კი ვსწავლობდი ფილოსოფიის განხრით. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ შესანიშნავი პიროვნება და დიდი მეცნიერი გურამ თევზაძე. ეტყობა, სისხლში იმდენად მქონდა გამჯდარი ჭადრაკის სიყვარული, საბოლოოდ ბრძენთა თამაშს მაინც ვერ შეველიე. რაც შეეხება ჩემს ჩემპიონობას, 1970 წელს საქართველოს პირველობას ფოთმა უმასპინძლა. უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მონაწილეთა შორის გახლდათ ლატვიიდან მოწვეული მიხაილ ტალი, რომელიც მაშინ საქართველოში აპირებდა საცხოვრებლად გადმოსვლას. 14 შესაძლებლიდან 11 ქულით პირველი ადგილი სწორედ მან დაიკავა, მაგრამ რადგანაც უკონკურსოდ გამოდიოდა, ჩემპიონობა მე, ბუხუტი გურგენიძეს და რომან ჯინჯიხაშვილს გვარგუნეს, რომლებიც რიგელ დიდოსტატს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამოვრჩით.

**- ზემოთ კარპოვი ახსენეთ. მახსოვს, 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩისას მას სეკუნდანტობას უწევდით.**

- მწვრთნელობა ადრეულ ასაკში დავიწყე. ჯერ ნანა იოსელიანს ვავარჯიშებდი. იმ წლებში იგი ორჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა გოგონებში, 1977 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე კი ნანა ალექსანდრიასთან ერთად მეორე-მესამე ადგილები გაიყო. ოქროს მედალი მაშინ მაია ჩიბურდანიძეს ხვდა. მერე რვა წელინადი ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილთან ვითანამშრომლე, 1986-1988 წლებში კარპოვმა მიმიწვია მწვრთნელად. 1987 წელს სევილიაში კასპაროვთან მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩზე ვახლდი. ბოლო პარტიის წინ 12:11 იყო ექსჩემპიონის სასარგებლოდ, კარპოვს ტიტულის დასაბრუნებლად ყაიმიც ჰყოფნიდა, მაგრამ ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლო და დამარცხდა, რითაც კასპაროვმა ჩემპიონობა შეინარჩუნა. ალალი იყო მასზე, რადგან მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში იგი მოვლენა გახლდათ და ასეთად დარჩება.

**- მისმა პოლიტიკაში გადაბარგებამ არ გაგაკვირვათ?**

- ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ამერიკასა თუ ევროპაში, როგორც დროს მოიხელთებდა, მიტინგებზე გარბოდა. ეტყობა, მისი მეამბოხე სული ჭადრაკის ჩარჩოებში ვერ ჩაეტია. კასპაროვის პოლიტიკაში გადანაცვლება მოჭადრაკეებისთვის დიდი დანაკლისია, რადგან ამ სფეროში კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო; არა მგონია, მსგავს მწვერვალებს პოლიტიკაშიც მიაღწიოს.



ვლადიმირ კრამნიკი, ელიზბარ უბილავა და ვიშვანათან ანანდი

**- მოდით, ისევ თქვენს კარიერას დავუბრუნდეთ: ესპანეთში როგორ აღმოჩნდით?**

- ეტყობა, სევილიაში კარპოვ-კასპაროვის მატჩისას მაკვირდებოდნენ მასპინძლები, რადგან ამ ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ მწვრთნელად მიმიწვიეს. ტურნირებშიც ვიღებდი მონაწილეობას. ფაქტობრივად, წელიწადში 6-7 თვეს იქ ვატარებდი. მალე "ჭადრაკის საერთაშორისო ჟურნალში" დირექტორის მოადგილედაც დამნიშნეს. გამოცემამ მხოლოდ 5 წელიწადს იარსება, რადგან მისი საქმიანობა შეზღუდული იყო. მოგეხსენებათ, ესპანეთში ჭადრაკი ისეთი პოპულარული არ არის, როგორიც ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი ან სპორტის სხვა სახეობები. ბრძენთა თამაშისადმი დაინტერესებას უფრო სასკოლო ასაკში იჩენენ. იშვიათად, რომ ვინმემ ჭადრაკი პროფესიად გაიხადოს.

**- ვიშვანათან ანანდმა როგორ "გიპოვათ"?**

- 1993 წელს ოჯახის წევრებთან ერთად ესპანეთში გადავედი საცხოვრებლად. მაშინ ჟურნალ "გამბიტში" დირექტორის მოადგილე ვიყავი. 1994 წელს ერთ-ერთ ტურნირზე ანანდი გავიცანი ახლოს. ჩემ შესახებ ბევრი რამ იცოდა და თანამშრომლობა შემომთავაზა. ცხადია, დავთანხმდი. მადრიდიდან 50 კილომეტრით დაშორებულ სოფელ კოლადო მედიანოში დავბინავდით. ინტენსიურად ვმუშაობდით და შედეგმაც არ დააყოვნა: ვიშიმ ბევრი ტურნირი მოიგო, 1995 წელს ნიუ-იორკში მსოფლიოს პირველობის გადამწყვეტი მატჩი წააგო კასპაროვთან, თუმცა ფინალში გასვლაც ხომ უდიდესი მიღწევა იყო. 1997 წელს ჰოლანდიაში ნოკაუტ-სისტემით გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი ეტაპი გაიარა წარმატებით. ერთდღიანი პაუზის შემდეგ დასვენებულ კარპოვს შეახვედრეს, რაც, ფიდეს მხრიდან, დიდი უსამართლობა იყო. ამის მიუხედავად, ლოზანაში ძირითადმა პარტიებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 3:3. ტაიბრეიკებში ინდოელს ძალა არ ეყო და დამარცხდა.

ვიში ძლიერი ნებისყოფის ადამიანია. მსოფლიოში საუკეთესოს სახელის მოსაპოვებლად მეორე ცდაზე ხელმოცარვამაც ვერ გაუნელა ჭადრაკისადმი სიყვარული. 1999 წელს ჩინეთში მსოფლიო თასი დაისაკუთრა, 2000 წელს კი მიზანსაც მიაღწია: ინდოეთში წინასწარი შეხვედრებისას ყველას აჯობა, თეირანში კი ფინალური პაექრობა ალექსეი შიროვს დიდი უპირატესობით მოუგო და ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**- ანანდს ვლადიმირ კრამნიკთან ამჟამინდელ შეხვედრაზე რას ფიქრობთ?**

- მე და ვიშიმ მხოლოდ 2005 წლამდე ვითანამშრომლეთ. ბოლო სამი წელიწადია, მის ორთაბრძოლებს შორიდან ვადევნებ თვალს. ამის მიუხედავად, უპირატესობას მაინც ინდოელს ვანიჭებ. კრამნიკი დებიუტებშია ძლიერი, ანანდი კი შეუდარებელია მიტელშპილში. მან რუსი მეტოქის სადებიუტო მომზადების ნეიტრალიზება თუ შეძლო, როგორც ეს მესამე პარტიაში შესანიშნავად მოახერხა, მაშინ მატჩსაც მოიგებს. პირველ სამ პარტიაში გამოჩნდა, რომ ანანდს სადებიუტო სიახლეებიც მრავლად მოუმზადებია. უწინ d4 არ გამოსდიოდა, ამიტომ ამ დასაწყისს ერიდებოდა. ახლა კი მეორე პარტიაში გამოიყენა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საგულისხმოა ისიც, რომ დღევანდელი კრამნიკი ის აღარ არის, რომელმაც კასპაროვი დაამარცხა. როგორც ვატყობ, ანანდს უკეთესი რეზერვები აქვს და კრამნიკი მისთვის დაუძლეველი ბარიერი არ უნდა აღმოჩნდა. თანაც რუსმა დიდოსტატმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როცა პრესაში ვიშის მიმართ გამაღიზიანებელი გამოთქმები გამოიყენა. ასეთი რამ ინდოელის მხოლოდ მობილიზებას იწვევს და, შესაძლოა, იმ სიტყვების პატრონს ეს ძვირად დაუჯდეს.

**- შეგირდს რატომ დაშორდით?**

- სახელოვან დიდოსტატთან პერსონალურ მუშაობას დიდ დროს ვანდომებდი, ოჯახს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი, არადა, შვილები წამოეზარდნენ. თანაც, ვიშისთან ერთად ყველა მწვერვალს მივაღწიე, ახლა ისევ ახალგაზრდებთან მინდა გამოვცადო ჩემი შესაძლებლობები. ინდოეთის ნაკრების მეორე და მესამე ნომრებს - შაში კირანსა და ჰარი კრიშნას ვავარჯიშებ, ასევე, მათ 15 წლის თანამემამულეს, დიდოსტატ ნეგს. თბილისში ჩამოსვლამდე ინდოეთის ქალთა გუნდს ვამზადებდი დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადისთვის. შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე ჩავალთ გერმანიაში და ბოლო საწვრთნელ შეკრებას იქ გავივლით. ვფიქრობ, რომ ინდოელ გოგონებს ქართველებთან, ჩინელებთან და რუსებთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

**- ჟურნალისტურ მოღვაწეობას შეეშვით?**

- ბარსელონაში გამომავალ ჟურნალ "მეფის პაიკში" ვთანამშრომლობ, თუმცა კატალონიაში ჩასასვლელად სულ ნაკლები დრო მრჩება.

**- ანა მათნაძეს იცნობთ?**

- როგორ არა, შესანიშნავი მოჭადრაკე და პიროვნებაა. რამდენიმე ტურნირზე შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ. ვიცი, რომ ახალგაზრდა, პერსპექტიულ ქართველ მოჭადრაკეებს ეხმარება. კატალონიაში დიდი ავტორიტეტი აქვს. ამას წინათ, იქაური ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ერთ-ერთ ტურნირზე ქართველი ოსტატის მიწვევა ვთხოვე. ანა მათნაძეს დავეკითხები და პასუხს მერე შეგატყობინებო, მითხრა. ძალიან მესიამოვნა, რომ შორეულ კატალონიაში ჩემს თანამემამულეს ასე აფასებენ.

**- საქართველოში დაბრუნებაზე თუ გიფიქრიათ?**

- „უცხოობაში რაა სიამე", ადამიანი სამშობლოში ბევრად უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ ობიექტური მიზეზები გიბიძგებს, დროებით დატოვო მამული. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ეჩვევი საზღვარგარეთ ცხოვრებას, საქმე გიტაცებს, იძენ მეგობრებს, მაგრამ საბოლოოდ სისხლის ყივილსა და გენეტიკას მაინც ვერაფერი შეცვლის. ჩემი შვილებიც ჩამოდიან თბილისში პაპისეული სახლ-კარის, ახლობლების მოსანახულებლად. უფრო გოგონა აქტიურობს, რადგან ის უფროსია. ალბათ, დადგება დრო და ჩვენს ბუდეს დავუბრუნდებით, ახლა კი საქმე და ოჯახი ისევ ესპანეთში მიხმობს...

სამი დღის წინ ელიზბარ უბილავა დედასთან ერთად მადრიდს გაფრინდა - შვილიშვილებს ბებია მონატრებიათ!

ვაჟა დანელია

კალათბურთი

# მანუმ ქიმიკოსები დაიბრიყვა

უკრაინის ჩემპიონატში მესამე მატჩი გამართა **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა". დედაქალაქელებმა იუჟნის "ხიმიკი" მიიღეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს - 90:62.



ქართველმა კალათბურთელმა 18 წუთი ითამაშა და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს: 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, კიდევ 2 საჯარიმო მიამატა და 8 ქულას მოუყარა თავი. გუნდისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მანუს 3 შედეგიანი გადაცემა და 4 ჩაჭრაა.

სამი ტურის შემდეგ "კიევი" სატურნირო ცხრილს უდანაკარგოდ ლიდერობს.

ვაჟა სიმონიშვილი



რაგბი

ახალი ამბები

# სიპრიანი ნაკრებში დაბრუნდა

20 წლის **დენი სიპრიანი** ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ტრავმირებული **ჯონი უილკინსონის** ნაცვლად გამოიძახეს. როგორც ცნობილია, ინგლისური რაგბის ამომავალმა ვარსკვლავმა ახლახან მოირჩინა ტრავმა და მოედანს დაუბრუნდა.

*„უკანასკნელ მატჩებში დენიმ დაამტკიცა, რომ ტრავმის შემდეგ ბოლომდე აღიდგინა ოპტიმალური ფორმა და შესაბამისად, უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია. ნაკრებში დიდი კონკურენციის მიუხედავად, მე მას ეროვნულ გუნდში დამკვიდრების შანსი მივეცი. სიპრიანი წყნარი ოკეანის კუნძულების წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს,* - განაცხადა ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა**.



ინგლისელ მორაგბეებს ნოემბერში ოთხი ამხანაგური მატჩი ელის. პირველი (8 ნოემბერს) სწორედ წყნარი ოკეანის კუნძულების ნაკრებთან იქნება. 15 ნოემბერს დაგეგმილია ავსტრალიასთან შეხვედრა, 22 ნოემბერს - სამხრეთ აფრიკასთან და 29 ნოემბერს - ახალ ზელანდიასთან. ოთხივე მატჩს თვიქნემი უმასპინძლებს.

■ ■ ■

25-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ**. მან თავისი შეგირდები ოკლენდში, ევროპული ტურნესთვის მოსამზადებლად შეკრიბა.

ზელანდიის ნაკრებში ვერ ვხედავთ ორი კლუბის - „კენტერბერისა" და „ველინგტონის" მორაგბეებს. საქმე ისაა, რომ ეს გუნდები შაბათს, ახალი ზელანდიის თასის ფინალში ითამაშებენ. „ოლ ბლექსის" სრული შემადგენლობა ასევე შაბათს დასახელდება.

ნოემბერში ზელანდია ამხანაგური მატჩების სერიას გამართავს. პირველი შეხვედრა 1 ნოემბერს, ჰონგკონგში ავსტრალიის წინააღმდეგ არის დაგეგმილი.

სხვადასხვა

კრივი

## მეივეზერი დაბრუნებას აპირებს

მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივე **ფლოიდ მეივეზერს**, შესაძლოა, პროფესიულ კრივში დაბრუნებისკენ უბიძგოს.

მეივეზერმა რინგი 2008 წლის ივნისში დატოვა. ბოლო თვეების განმავლობაში ამერიკელმა მოკრივემ არაერთი ფინანსური კრახი განიცადა. მაგალითად, ნევადაში ფლოიდის უძრავი ქონება 30 პროცენტით გაიაფდა. სექტემბერში მეივეზერის სახლიდან საიუველირო ნაკეთობები მოიპარეს, რომელთა საერთო ღირებულება 7 მილიონ დოლარს შეადგენდა. ეს დანაშაული დღემდე არ არის გახსნილი.

სწორედ ამის გამო ფიქრობს მეივეზერი სპორტში დაბრუნებას. უკვე სახელდება მისი სავარაუდო მეტოქეები. ესენი არიან: **ოსკარ დე ლა ჰოია, მენი პაკიაო** ან **რიკი ჰატონი**.

ჰოკეი

## ტორონტოს ორი კლუბი ეყოლება?

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, NHL-ის ხელმძღვანელობა ტორონტოში კიდევ ერთი კლუბის შექმნის შესაძლებლობას განიხილავს. ამ იდეას ლიგის რამდენიმე გუნდის გენერალური მენეჯერი უჭერს მხარს და სავსებით შესაძლებელია, რომ კლუბების ხელმძღვანელთა უახლოეს შეხვედრაზე ეს საკითხიც დადგეს დღის წესრიგში.

*„რატომ არ უნდა შეიქმნას კიდევ ერთი კლუბი კანადის ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქში, სადაც მსოფლიოში ჰოკეის საუკეთესო ბაზარი არსებობს?!"*, - ამბობს ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი კლუბის გენერალური მენეჯერი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

თუმცა კლუბების ხელმძღვანელთა უმეტესი ნაწილი ახალი კლუბების შექმნის იდეას იმ ქალაქებში უჭერს მხარს, სადაც ადრე NHL-ის კლუბი არასოდეს ჰყოლიათ.

კალათბურთი

## ბინუმი 17 მილიონს ითხოვს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** კვლავინდებურად ვერ ახერხებს კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის თაობაზე საერთო ენის გამონახვას.

გაზეთ „ლოს ანჯელეს თაიმსის" ცნობით, კალათბურთელის აგენტი **დევიდ ლი** თავისი კლიენტისთვის ხუთწლიან კონტრაქტს ითხოვს, რომლის მიხედვითაც ბინუმმა წელიწადში 17 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

ასეთ პირობებში, კონსენსუსის მიღწევა მართლაც გაჭირდება, რადგან კლუბი ხუთწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ 50 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებს.

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ბოსტონი 3:2 (ბ)**

**0:1, 1:1, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ვიდემანი-1, 0:2 კესელი-6 (ლუჩიჩი-2, პ. ბერჟერონი-5), 1:2 მაკარტური-3 (რივე-3, აფინოგენოვი-4), 2:2 სტეფორდი-1 (დ. რუა-3, შპაჩეკი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** სტეფორდი (ბაფალო), კრეისი (ბოსტონი), ვანეკი (ბაფალო).

**კალგარი-ვაშინგტონი 2:1**

**0:1, 2:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ფიოდოროვი-1 (შულტცი-3, ოვეჩკინი-2), 1:1 იგინლა-2, 2:1 ლომბარდი-1 (ბოიდი-1, მოსი-1).

**კოლამბუსი-ვანკუვერი 4:2**

**2:1, 1:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 ჩიმერა-3 (ბრასარი-3, ვორაჩეკი-2), 2:0 ჰუსელიუსი-3 (ნეში-1, ვორაჩეკი-3), 2:1 უელვუდი-1 (კესლერი-4, რეიმონდი-3), 3:1 დორსეტი-1 (მალორტა-1, კომოდორი-3), 3:2 ბიეკსა-1 (უელვუდი-1), 4:2 ნეში-5.

**ტამპა ბეი-ატლანტა 3:2 (ო)**

**1:0, 1:0, 0:2, 1:0**

**გოლები:** 1:0 რეკი-2 (ვრბატა-1, ნისკალა-2), 2:0 პროსპალი-2 (ლუნდინი-1, სენტ ლუისი-3), 2:1 კ. არმსტრონგი-2 (ტ. უაიტი-5), 2:2 ტ. უაიტი-2 (შნაიდერი-2, ჰეინსი-4), 3:2 ლეკავალიე-3 (სენტ ლუისი-4, რეინჯერი-1).

**ტორონტო-ანაჰაიმი 2:3 (ბ)**

**0:2. 1:0, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბოშემენი-3 (კუნიტცი-1, პერი-2), 0:2 პაროსი-2 (მეი-3, სატერბი-2), 1:2 ანტროპოვი-2 (პონიკაროვსკი-2, კუბინა-1), 2:2 ანტროპოვი-3 (პონიკაროვსკი-3, ვან რინი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** სელიანე (ანაჰაიმი), პერი (ანაჰაიმი).

ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის

# ანანდი ჩემპიონია?

ინდოელმა დიდოსტატმა **ვიშვანათან ანანდმა** მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩში მესამე პარტია მოიგო. თეთრებით მოთამაშე აზიელმა 47-ე სვლაზე დაამარცხა რუსი **ვლადიმირ კრამნიკი**.

თეთრი ფიგურებით ორი პარტიის წაგების შემდეგ, კრამნიკის შანსები მინიმუმამდე დავიდა და რუს მოჭადრაკეს ყოველ პარტიაში მხოლოდ მოგებაზე უნდა ეფიქრა. თუმცა თეთრი ფიგურები ანანდს ჰქონდა, ხოლო კლასიკურ ჭადრაკში კრამნიკს ინდოელისთვის შავებით არასოდეს მოუგია. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა.

მეოთხე სვლამდე მეორე პარტიის დასაწყისი განმეორდა. მაგრამ შემდეგ, ანანდმა თამაშის გამწვავებისგან თავი შეიკავა. ამის ნაცვლად კიდევ უფრო გაამყარა თავისი პოზიცია და კრამნიკს თამაშის გართულების საშუალება არ მისცა.

რუსმა წინა პარტიებისგან მიღებული გაკვეთილი გაითვალისწინა და დროის დაზოგვის მიზნით, მაქსიმალურად სწრაფად თამაში გადაწყვიტა. ანანდი კი ჩვეულებრივზე ნელა მოქმედებდა.

21-ე სვლისთვის დიდოსტატებს დაახლოებით თანაბარი დრო - 50 წუთი რჩებოდათ. ამ მომენტისთვის დაფაზე თეთრების აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა და კრამნიკს არა მოგებაზე, არამედ პარტიის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა.

მაგრამ რუსი პოზიციის გამოსწორებას ვერ ახერხებდა და 37-ე სვლისთვის ცხადი გახდა, რომ ენდშპილი შავებისთვის ნაგებული იყო. ამ სიტუაციაში კრამნიკის გადარჩენა მხოლოდ სასწაულს თუ შეეძლო.

მაგრამ რუსმა გაითვალისწინა მატჩში თავისი რთული მდგომარეობა და ნაადრევად დანებება არ მოინდომა. კრამნიკმა მეტოქის უხეში შეცდომის იმედად პარტიის გაგრძელება გადაწყვიტა. მაგრამ ანანდი საჩუქრის გაკეთების ხასიათზე არ ყოფილა და 47-ე სვლაზე შავებს დანებებამ მოუწიათ.

მაშ ასე, ბონში მიმდინარე მატჩის ნახევარი დისტანცია გავლილია. ექვსი პარტიის შემდეგ ანგარიშია - 4.5:1.5 ანანდის სასარგებლოდ. თეორიულად კრამნიკს კიდევ რჩება მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ პრაქტიკულად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ბედი გადაწყვეტილია.

გუშინ, მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს კი მეშვიდე პარტიაა დანიშნული, რომელშიც თეთრი ფიგურებით კვლავ ანანდი ითამაშებს.

ფორმულა 1

# მოილაპარაკეს, მაგრამ არ ამხელენ



შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისა და ფორმულა 1-ის გუნდების ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა, სადაც მომავალ სეზონში „სამეფო რბოლებში" ხარჯების შემცირების კარდინალურ ღონისძიებებზე იყო მსჯელობა.

ერთ-ერთ წინა ნომერში ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელის **ბერნი ექლსტოუნის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ბრიტანელი ჩინოვნიკი მოსალოდნელ რევოლუციურ ცვლილებებზე ლაპარაკობდა. ჟენევის შეხვედრის შემდეგ კი ჟურნალისტები განბილებულნი დარჩნენ, რადგან მათ მოლაპარაკებების დეტალები დაუმალეს და რამდენიმე შედარებით უმნიშვნელო გადაწყვეტილების შესახებ ამცნეს.

ჯერჯერობით ის ვიცით, რომ მომავალი სეზონიდან ერთმა ძრავამ არა ორ, არამედ სამ რბოლას უნდა გაუძლოს; კერძო გუნდებს სეზონში 25 ძრავასთვის 10 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ (ეს საშუალედო გადაწყვეტილებაა, რადგან 2010 წლიდან ფედერაცია ამ თანხის 5 მილიონამდე შემცირებას აპირებს).

ეს არის და ეს. სხვა გადაწყვეტილებებზე არაფერია ნათქვამი. ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ „ჟენევაში შემდგარი შეხვედრის წყალობით, 2009 და 2010 წლების სეზონისთვის ხარჯების შესამჩნევი შემცირება მიღწეულია". ჩინოვნიკებმა დეტალების გამხელისგან თავი შეიკავეს. სხვათა შორის, დაგეგმილი ღონისძიებები მომავალი სეზონისთვის გუნდების ბიუჯეტთა კარდინალურად შეკვეცას არ ითვალისწინებს - აქ საჯინიბოებს როგორლაც დამოუკიდებლად მოუწევთ ქამრების შემოჭერა (თუ ამის აუცილებლობა დადგება დღის წესრიგში).

პრესას გაურკვევლობაში ყოფნა არ მოსწონს. მაგალითად, ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა, თუ როგორ გადაწყდა სტანდარტული ძრავების შემოღების საკითხი. ერთი ვარიანტით, ყველა ბოლიდი ერთნაირი ძრავათი იქნება აღჭურვილი. მაგრამ არსებობს მეორე ვარიანტი - ავტომწარმოებლები გააგრძელებენ ძრავების ინდივიდუალურად წარმოებას, ოღონდ ფედერაცია მკაცრად გააკონტროლებს მათი სიმძლავრეების თანაფარდობასა და ღირებულებას (ლაპარაკია ზემოთ ნახსენებ ხუთ მილიონზე). უცნობია, ამ ორი ვარიანტიდან რომელს მიენიჭა უპირატესობა.

არსებობს კიდევ მრავალი გაურკვეველი საკითხი. ამიტომაც დაველოდოთ მორიგ შეხვედრას და იქნებ ამის შემდეგ შევიტყოთ საბოლოო გადაწყვეტილება. ფორმულა 1-ის ისტორია დღეს იქმნება...

ჩოგბურთი

# ანა WTA-ის წინააღმდეგ



მომავალი სეზონიდან ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის კალენდარში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. ამის შესახებ არაერთხელ ვწერდით. აღმოჩნდა, რომ ამ სიახლით ბევრი წამყვანი ჩოგბურთელია უკმაყოფილო, მათ შორის საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი **ანა ივანოვიჩი**.

*„მოვიდა დრო, გავერთიანდეთ და საკუთარი აზრი გამოვხატოთ WTA-ის გადაწყვეტილების გამო. კალენდარში ცვლილებები სეზონის შუაში განახორციელეს, როცა „დიდი სლემის" ტურნირებში ვმონაწილეობით. ამ დროს, ჩოგბურთელთა უმრავლესობას მომავალი სეზონის კალენდარზე ფიქრისთვის დრო არ აქვს ხოლმე.*

*როგორც ჩანს, ბევრმა ჩვენგანმა ღრმა ანალიზი არ გაუკეთა მოსალოდნელ ცვლილებებს და ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვა. ჩოგბურთელები თანაბარ სიტუაციაში ვართ და უმჯობესი იქნება, თუ ბრძოლისთვის გავერთიანდებით.*

*ჩემი აზრით, უფრო მეტი ტურნირის ჩატარება მოგვიწევს და ამ მხრივ გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. არჩევანის საშუალება არ გვექნება და სავარაუდოდ, იმაზე მეტჯერ გავალთ კორტზე, ვიდრე ეს წინა სეზონებში ხდებოდა.*

*რა თქმა უნდა, ტურნირებზე გარანტირებული იქნება წამყვანი ჩოგბურთელების გამოსვლა და ეს ქალთა ჩოგბურთზე დადებითად იმოქმედებს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რა მდგომარეობაში იქნებიან თავად მოთამაშეები"*, - აცხადებს სერბი ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ მომავალი წლიდან ჩოგბურთელებმა „დიდი სლემის" ოთხივე ჩემპიონატში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამას ემატება უმაღლესი კატეგორიის ოთხი ტურნირი და კიდევ „პრემიერის" სერიის ექვსი შეჯიბრი. ამ 14 ტურნირში მონაწილეობა ნებისმიერი მოთამაშისთვის სავალდებულოა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## A ჯგუფი

### ბორდო-კლუჟი 1:0

**ბორდო:** რამე, პლანუსი, ჟურიეტი, დიავარა, შალმე, ფერნანდო, ა. დიარა, ობერტანი (61. გუფრანი), გურკუფი, ბელიონი (61. ვენდელი), შამახი.

**კლუჟი:** სტანჩიოუ, ტონი, გალიასი, კადუ, ალვარო პერეირა, პერალტა, მურეშანი, დუბარბიერი (75. დიდი), ტრიკა, კულიო, ი. კონე.

**გოლი:** 1:0 კადუ (54-საკ. კარში)

**გაძევება:** ტრიკა (90. კლუჟი)

**მსაჯი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

**მაყურებელი:** 30 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: კლუჟი

პირველი ჯარიმა: კლუჟი

პირველი კუთხური: ბორდო

პირველი გაფრთხილება: კლუჟი

| | | |
|---|---|---|
| 19(7) | დარტყმა | 9(1) |
| 14 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 2 | თამაშგარე | 5 |
| 3 | გაფრთხილება | 6 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

### ჩელსი-რომა 1:0

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ტერი, რიკარდო კარვალიო, ბრიჯი, ობი მიკელი, დეკუ, ლემპარდი, კალუ (77. დი სანტო), მალუდა (46. ბელეტი), ანელკა (90. პაულო ფერეირა).

**რომა:** დონი, სისინიო, პანუჩი, მექსე, რიისე (83. ტონეტო), დე როსი, ბრიგი, აკვილანი (61. პეროტა), ტადეი (82. მენესი), ვუჩინიჩი, ტოტი.

**გოლი:** 1:0 ტერი (77)

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**მაყურებელი:** 41 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რომა

პირველი ჯარიმა: ჩელსი

პირველი კუთხური: რომა

პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 15(6) | დარტყმა | 7(0) |
| 19 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 5 | თამაშგარე | 1 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 4. ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |

## B ჯგუფი

### ინტერი-ანორთოსისი 1:0

**ინტერი:** ტოლდო, მაიკონი, კივუ, კორდობა, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, მუნტარი, კამბიასო (83. ბურდისო), ადრიანო (82. კრუსი), მანსინი (63. კუარეშმა), იბრაჰიმოვიჩი.

**ანორთოსისი:** ბეკაი, ოკოკოლიჩი, გ. კონსტანტინუ, კაცავაკისი, ლეივაკაბესი, დელასი, დობრაშინოვიჩი (88. ფრუსოსი), ბარდონი (75. ნიტაიშვილი), სავიო, ლაბანი, სოსინი (46. ჰავარი).

**გოლი:** 1:0 ადრიანო (44)

**მსაჯი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

**მაყურებელი:** 27 247

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ინტერი

პირველი ჯარიმა: ინტერი

პირველი კუთხური: ინტერი

პირველი გაფრთხილება: ანორთოსისი

| | | |
|---|---|---|
| 20(4) | დარტყმა | 8(1) |
| 21 | ჯარიმა | 15 |
| 13 | კუთხური | 2 |
| 3 | თამაშგარე | 8 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 59% | ბურთის ფლობა | 41% |

### პანათინაიკოსი-ვერდერი 2:2

**პანათინაიკოსი:** ცორვასიჩი, მ. ნილსონი, ვინტრა, სარიეგი, სპიროპულოსი (46. ივანშიტცი), სიმაო, ჟილბერტო სილვა, გარბიელი, სალპინგიდისი, კარაგუნისი (72. კლეიტონი), მანციოსი (82. რუკავინა).

**ვერდერი:** ფანდერი, პრიოდლი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი (80. ბიონიში), ბაუმანი, ფრინგსი, ოზილი, დიეგო, უგო ალმეიდა (90+4. სანოგო), პისარო (27. როზენბერგი).

**გოლები:** 0:1 მერტეზაკერი (29), 1:1 მანციოსი (36), 2:1 მანციოსი (68), 2:2 უგო ალმეიდა (83)

**მსაჯი:** მაიკლ რაილი (ინგლისი)

**მაყურებელი:** 58 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ვერდერი

პირველი ჯარიმა: პანათინაიკოსი

პირველი კუთხური: პანათინაიკოსი

პირველი გაფრთხილება: ვერდერი

| | | |
|---|---|---|
| 18(7) | დარტყმა | 14(8) |
| 22 | ჯარიმა | 18 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 4 | თამაშგარე | 4 |
| 5 | გაფრთხილება | 2 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. ანორთოსისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. ვერდერი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 4. პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

## C ჯგუფი

### შახტარი-სპორტინგი 0:1

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რატი, ჰუბშმანი (83. გაი), დუ-ლიაი, ჟადსონი (72. ვილიანი), ფერნანდინიო, მარსელო მორენო (72. გლადკი), ბრანდაო.

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, აბელი, ანდერსონ პოლგა, ტონელი, მიგელ ველოზო, ჟოაო მუტინიო, როშემბაკი, იზმაილოვი (74. გრიმი), რომანიოლი (68. პერეირინია), დერლეი (88. ელდერ პოშტიგა), ლიედსონი.

**გოლი:** 0:1 ლიედსონი (76)

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**მაყურებელი:** 25 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სპორტინგი

პირველი ჯარიმა: სპორტინგი

პირველი კუთხური: სპორტინგი

პირველი გაფრთხილება: შახტარი

| | | |
|---|---|---|
| 12(5) | დარტყმა | 6(2) |
| 14 | ჯარიმა | 27 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 4 | თამაშგარე | 0 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |



ადრიანოს გოლი კვიპროსელთა კარში

### ბაზელი-ბარსელონა 0:5

**ბაზელი:** კოსტანსო, ზანი, აბრაჰამი, მარკე, საფარი, რუბიო (46. შტოკერი), ერგიჩი, ჰუგელი, ჩიპერფილდი (55. გიასულა), დერდიოკი, შტრელერი (71. ედუარდო).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანი ალვეში, მარკესი (53. კასერესი), პუიოლი, სილვინიო, ტურე (67. ვიქტორ სანჩესი), ჩავი (57. ანრი), ბუსკეტსი, გლები, მესი, კრკიჩი.

**გოლები:** 0:1 მესი (2), 0:2 ბუსკეტსი (15), 0:3 კრკიჩი (22), 0:4 კრკიჩი (46), 0:5 ჩავი (48)

**მსაჯი:** ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია)

**მაყურებელი:** 35 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა

პირველი ჯარიმა: ბარსელონა

პირველი კუთხური: ბაზელი

პირველი გაფრთხილება: ბაზელი

| | | |
|---|---|---|
| 9(3) | დარტყმა | 20(13) |
| 12 | ჯარიმა | 12 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 3 | თამაშგარე | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 0 |
| 32% | ბურთის ფლობა | 68% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 2. სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. შახტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. ბაზელი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

## D ჯგუფი

### ატლეტიკო-ლივერპული 1:1

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, ალვარო დომინგესი, ანტონიო ლოპესი, კამაჩო (72. რაულ გარსია), მანიშე, ლუის გარსია (46. აგუერო), სიმაო, ფორლანი, სინამა-პონგოლე (75. მიგელი).

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, დოსენა, მასკერანო, ჩაბი ალონსო (75. ლუკასი), რიერა, ბენაიუნი, ჯერარდი (61. ბაბელი), კინი (53. კუიტი).

**გოლები:** 0:1 კინი (14), 1:1 სიმაო (83)

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**მაყურებელი:** 50 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ატლეტიკო

პირველი ჯარიმა: ლივერპული

პირველი კუთხური: ლივერპული

პირველი გაფრთხილება: ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 9(6) | დარტყმა | 9(5) |
| 13 | ჯარიმა | 21 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 5 | თამაშგარე | 6 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

### ეინდჰოვენი-მარსელი 2:0

**ეინდჰოვენი:** ისაქსონი, სალსიდო, მარსელისი, ბრეშე, როდრიგესი, ვუიტენსი (78. დჟუდჩაკი), სიმონსი, მენდესი, ბაკალი (76. კულინა), აფელეი (89. ადო), კოვენმანსი.

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჰილტონი, ზუბარი, ტაივო, ბენ. შეირუ (82. ზენდენი), კანა, ბენ არფა (73. ვალბუენა), ზიანი (62. კობრე), ბ. კონე, ნიანგი.

**გოლები:** 1:0 კოვერმანსი (72), 2:0 კოვერმანსი (85)

**მსაჯი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

**მაყურებელი:** 30 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მარსელი

პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი

პირველი კუთხური: მარსელი

პირველი გაფრთხილება: ეინდჰოვენი

| | | |
|---|---|---|
| 12(6) | დარტყმა | 11(4) |
| 14 | ჯარიმა | 6 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 2 | თამაშგარე | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 0 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3. ეინდჰოვენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. მარსელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერფილდი-ალდერშოტი | 5:1 |
| **გერმანია** | |
| აინტრახტი-კარლსრუე | 2:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრემადი-ფრემი | 2:2 |
| აკადემისკი-ლუნგბიუ | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიონეფოსი-ალტა | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| მალმიო-აიკ | 1:0 |
| ნორჩოპინგი-ლიუნგსკილე | 1:1 |
| **ფინეთის თასი** | |
| ჰონკა-ტამპერე | 0:0, დ.დ. 2:0 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| არტმედია-დ. სტრედა | 0:0 |
| **სლოვენიის თასი** | |
| პრიმორიე-ინტერბლოკი | 2:3 |
| კოპერი-ნაფტა | 1:1, პენ.4:3 |
| გორიცა-ლივარი | 6:0 |
| მარიბორი-რუდარი | 2:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| შიოფოკი-ფეჰერვარი II | 4:1 |
| რეაკ-კეჩმეკეტი | 1:1, დ.დ. 2:2 |
| ლომბარდ პაპა-კბსც | 1:1 |
| დიორი-ჰალადაში | 4:0 |
| უიპეშტი-ბოჩი | 7:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა. კაცები** | |
| პანათინაიკოსი-ჟალგირისი | 78:51 |
| ცსკა-მილანი | 90:64 |
| უნიკახა-ლე მანი | 84:79 |
| მონტეპასკი-პროკომი | 80:71 |
| **ევროჩელენჯერი** | |
| აელ-დონეცკი | 79:55 |
| **ევროლიგა. ქალები** | |
| ვისლა-ბურჟი | 66:78 |
| კოშიცე-ფენერბაჩე | 76:68 |
| პრალა-ვალენსია | 87:72 |
| ვილნიუსი-სპარტაკი (ვ) | 72:64 |
| შიბენიკი-ვალანსი | 79:70 |
| ბეშქთაში-პეჩი | 84:82 (ო) |
| ტტტ-ცსკა | 48:89 |
| **გერმანია** | |
| პადერბორნი-დიუსელდორფი | 91:74 |
| **საფრანგეთი** | |
| ჰავრი-ორლეანი | 68:86 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-დინამო (რ) | 2:3 |
| სიბირი-მეტალურგი (ნ) | 3:0 |
| ბარისი-დინამო (მ) | 4:4 |
| ლადა-ლოკომოტივი | 2:3 |
| სევერსტალი-სპარტაკი | 2:5 |
| ხიმიკი-დინამო (მნ) | 1:3 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| კერპეტი-მეტალურგი (მ) | 0:2 |
| ბერნი-კიეკო | 1:3 |
| ლინჩოპინგი-ციურიხი | 2:7 |
| ბუდეიოვიცე-სლოვანი | 5:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| პეტცშნერი-ვლიეგენი | 2:6, 3:6 |
| ანდრეევი-კოლშრაიბერი | 7:6, 6:7, 7:5 |
| ბეკერი-ბეკი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ბალდატისი-გრანოლერსი | 2:6, 6:4, 2:6 |
| ნიემინენი-შვანკი | 6:2, 6:4 |
| ბლეიკი-კიფერი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ფ. ლოპესი-ფიში | 7:6, 6:4 |
| **ATP. ლიონი** | |
| მიულერი-კ. როხუსი | 2:6, 4:6 |
| სიოდერლინგი-ასკიონე | 6:4, 6:1 |
| მატიო-კანიასი | 6:3, 6:4 |
| რობრედო-ბენეტო | 2:6, 2:6 |
| სიმონი-მონაკო | 2:6, 6:4, 6:1 |
| ლაპენტი-ოუანა | 3:6, 6:1, 3:6 |
| **ATP. სპ. პეტერბურგი** | |
| ვერდასკო-ლეინიექსი | 6:1, 6:3 |
| ო. როხუსი-გოლუბევი | 1:6, 4:6 |
| მიურეი-ტროიცკი | 6:3, 6:3 |
| შუტლერი-ჰრბატი | 6:3, 6:3 |
| საფინი-სტახოვსკი | 6:2, 6:4 |
| **WTA. ლინცი** | |
| ა. რადვანსკა-კანეპი | 6:2, 6:4 |
| პენეტა-შავაი | 6:1, 6:2 |
| სკიავონე-ბამერი | 5:7, 3:6 |
| კვიტოვა-პაშეკი | 6:3, 6:3 |
| კირილენკო-კორნე | 6:1, 2:6, 1:6 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| გრონეფელდი-ვიკმაიერი | 7:5, 6:4 |
| ნა ლი-კორიტცევა | 7:6, 6:3 |
| მედ. გარიგესი-რ. პასკუალი | 6:2, 6:1 |
| ჩაკვეტაძე-ბენეშოვა | 2:6, 4:6 |
| ვოზნიაკი-პენგი | 6:4, 6:4 |
| ერანი-კირსტეა | 4:6, 2:6 |
| ჰანტუხოვა-ლისიცკი | 6:0, 6:2 |
| მორესმო-გერლიაინი | 6:2, 3:6, 6:0 |

## TV სპორტი

### 23 ოქტომბერი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**08:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ატლეტიკო-ლივერპული.
**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-ვერდერი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჩელსი-რომა.
**14:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბაზელი-ბარსელონა.
**16:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:35** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ატლეტიკო-ლივერპული.
**18:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**18:55** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**19:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**20:05** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**22:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ეინდჰოვენი-მარსელი.
**00:20** საფეხბურთო კლუბი.
**00:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:05** სასტვენი.
**01:35** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბორუსია (დ).
**03:25** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**05:40** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-სევილია.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:05** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ბატე.
**08:50** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**09:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**10:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**11:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პორტუ-დინამო.
**12:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჩელსი-რომა.
**14:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბაზელი-ბარსელონა.
**16:20** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**16:25** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბორდო-კლუჟი.
**18:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-ვერდერი.
**20:00** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**20:15** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. შალკე-პსჟ (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ჰერტა-ბენფიკა (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. 1/4. ინტერნასიონალი-ბოკა ხუნიორსი.
**02:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-დალასი (LIVE).
**05:40** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**06:05** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**06:35** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

#### EUROSPORT

**21:30** მულტისპორტი.
**11:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ-ის გრანპრი.
**12:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონიის გრანპრი.
**13:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
**14:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრალიის გრანპრი.
**15:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალაიზიის გრანპრი.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. მჩატე წონა. ა. დე მარკო (მექსიკა)-ხ. რეიესი (პუერტო რიკო). აშშ.
**01:00** ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
**02:00** რალი. ახალი სერია IRC. შვეიცარია.
**02:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**14:30** ახალი ამბები.
**16:15** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
**18:00** მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ბრაზილია-ესპანეთი. ბრაზილია.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**21:45** სერფინგი. საფრანგეთი.
**22:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბარსელონა (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
**23:00** გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ინგლისი.
**23:30** არმრესტლინგი.
**00:00** ნარდი. მსოფლიოს სერია. დანია.
**01:00** ახალი ამბები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი

# დიეგო მარადონა თბილისში



დიეგო და მისი მეგობარი ნიკო პატარქალიშვილი



არჩილ არველაძე: ე, მართლა ჩამოვიდა!





დიეგოს აეროპორტში არ აწვიმდა



მატიას ალმეიდა



სერხიო გოიკოეჩეა

ავტოგრაფეში...





არგენტინის ნაკრებისა და დიეგო მარადონას დიდი გულშემატკივარი ბიძინა ზარათაშვილი